ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მერვე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდო მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—68
) ღამის მორიგეს 18—30.

მთავარი კანტორა
თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 84, ტელეფონი № 8—81.
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.
განცხადებები: საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

პარასკევი, 12 ოქტომბერი 1928 წ.
ყოველდღიური გაზეთი
ფასი 5 კაპ. № 237 (2280)

დღიური

- ლოძის ფეიქრები განაგრძობენ გაფიცვას.
- საფრანგეთის პრესის იერიშები იტალიის წინააღმდეგ.
- ნანკინის ახალი მთავრობის შემადგენლობა.
- საფრანგეთი ამაგრებს თავის კოლონიებს ჩრდ. აფრიკაში.
- ავსტრალიის დოკერების გაფიცვის გაფართოება.
- ლიტვის არმიის მოხალისეთა კრება კოვნოში.
- დაიწყო საბერძნეთისა და სამხრეთ-სლავიის მოლაპარაკება.
- მოსკოვში გაიხსნა საკავშირო და მოკავშირე რესპუბლიკების საგეგმო კომისიების პრეზიდიუმების ყრილობა.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის მორიგი ამოცანები

„სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის მუშაობის სისუსტისა, გლეხობის, განსაკუთრებით ღარიბი გლეხობის კოოპერაციაში ჩაბმის ნელი ტემპის გამო, აგრეთვე იმის გამო, რომ სრულიად არა საკმაოა კოოპერატიული შეკავშირება სპეციალური კულტურების (ჩაი, ბამბა, თამბაქო, ვენახი.) რაიონებში,—მიღებულ იქნა ზომები გლეხობის მეურნეობათა კოოპერაციაში ჩაბმის და კოლექტივიზაციის ტემპის გასაძლიერებლად, რისთვისაც პირველ რიგში გაფართოებულ იქნას მუშაობა გლეხობის მეურნეობათა პროდუქციის გადამუშავებისა და გასაღების საქმეში და კონტრაქტაციის დარგში" (საკავშირო კომპარტიის ცეკას რეზოლიუციიდან საქართველოს კომპარტიის მუშაობის შესახებ).

ეს დირექტივა განსაზღვრავს ჩვენი სასოფლო - სამეურნეო კოოპერაციის შემდგომ მუშაობას. სხვათა შორის, მის გატარების საქმეში საგრძნობი როლი უნდა შეასრულოს „სოფლის კავშირი"-ს ინსტრუქტორების და სას.-სამ. ბანკის ინსტრუქტორთა თათბირმა რომელიც ამჟამად მიმდინარეობს. ამ თათბირზე წარმოდგენილი მასალები მიღწევებთან ერთად გვიჩვენებენ სას.-სამ. კოოპერაციის სუსტ მხარეებს, რომელთა მოსპობისაკენ უნდა იქნეს ჩვენი საქმიანობა მიმართული.

სასოფლო - სამეურნეო კოოპერაცია ჩვენში უკვე აერთიანებს მთელ გლეხურ მეურნეობათა დაახლოებით ერთ მესამედს. ეს უეჭველად მიღწევაა, მაგრამ ამით დაკმაყოფილება, რა თქმა უნდა, არ შეიძლება. ჩვენ ენერგიული მუშაობა უნდა გავშალოთ მთელ მშრომელ გლეხობის გასაერთიანებლად კოოპერაციაში. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ამ მხრივ ჩამორჩენილ რაიონებს. თუ ერთი მხრივ გვაქვს ისეთი მაზრები, სადაც კოოპერატიულად შეკავშირებულ მეურნეობათა პროცენტი 50 ზევით აღის, სამაგიეროთ ზოგიერთ მაზრებში ამის ნახევარიც არ არის გაერთიანებული. ეს აიხსნება სხვადასხვა ადგილების არა მარტო თავისებური ეკონომიური პირობებით, არამედ სუსტი კოოპერატიული მუშაობითაც ჩამორჩენილ მაზრებში. უკანასკნელთა წინ წაწევა გლეხურ მეურნეობათა შეკავშირების მხრივ, სხვა რაიონებში მიღწეულ შედეგების გაფართოვება, სას.-სამ. კოოპერაციის ქსელის გადიდება და წევრთა ახალ-ახალ მასების მოზიდვა—ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა.

როცა ჩვენ ვლაპარაკობთ გლეხურ მეურნეობათა კოოპერატიულ შეკავშირებაზე, პირველ ყოვლისა და უმთავრესად, ცხადია, ყურადღებას ვაქცევთ ღარიბ და შემდეგ საშუალო გლეხობის მეურნეობებს. თუმცა ღარიბ მეურნეობათა კოოპერატიული გაერთიანება იზრდება, მაგრამ არა საკმაო ტემპით. ზევით ხსენებულ თათბირზე გაკეთებულ მოხსენებათა თანახმად, მაგ. ყოფ. თელავის მაზრაში, კოოპერაციაში გაერთიანებულ გლეხურ მეურნეობათა შორის ღარიბი მეურნეობანი შეადგენენ 41 პროც., საშუალო შეძლების მეურნეობანი—52 პროც. და შეძლებული მეურნეობანი —7 პროც. სენაკის მაზრაში: ღარიბები—35 პრ., საშუალო გლეხები—35,3 პროც. და შეძლებულნი—9,7 პროც. არიან ისეთი მაზრებიც, სადაც კოოპერაციაში გაერთიანებულ გლეხობაში საგრძნობლად სჭარბობენ ღარიბი გლეხები. მაგრამ მოყვანილი ციფრები მაინც საგულისხმოა და გადაჭრით გვეკარნახებენ იმას, რომ ღარიბ გლეხობის კოოპერატიულ შეკავშირებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს.

აქ ისმება ღარიბთა კოოპერატიული შეკავშირების ფონდის საკითხი. ეს ფონდი, ჯერ ერთი, ბევრგან მცირე რაოდენობით გროვდება და შემდეგ, რაც მთავარია, ის ხშირად არ ხმარდება თავის პირდაპირ დანიშნულებას: კოოპერატივები მას იყენებენ შესყიდვა-გასაღების ოპერაციების საჭიროებისათვის. ამ მოვლენას უნდა გამოეცხადოს სასტიკი ბრძოლა. ღარიბთა შესაკავშირებელ ფონდების გადიდება და მათი მხოლოდ და მხოლოდ მიზნობრივი მოხმარება—ეს ღონისძიება, რომლის მნიშვნელობა, როგორც სჩანს ჯერ კიდევ ვერ შეუგნიათ ზოგიერთ კოოპერატიულ მუშაკებს, აუცილებლად უნდა იქნეს გატარებული.

მშრომელ გლეხობის შეკავშირებასთან ერთად ჯეროვანი ყურადღება უნდა მიექცეს მის კოოპერატიულ აქტივობის გაზრდას. ამ მხრივ საქმე ჩვენში მოიკოჭლებს. აი, მაგ., რას ამბობს ინსტრუქტორი სენაკის მაზრის შესახებ: „სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობათა გამგეობების შემადგენლობა დაკმაყოფილებული არ არის კოოპერატიული გამოცდილების თვალსაზრისით. სარევიზიო კომისიები სრულ პასივობას იჩენენ. გამგეობების სისუსტით აიხსნება ამხანაგობათა წევრების უმოქმედობა და უდისციპლინობა. წევრთა მოზიდვა ამხანაგობებში წარმოებს ძველი წესით: წევრად ითვლება ის, ვისაც სესხი აქვს გატანილი. წევრთა საერთო კრებები იშვიათად ტარდება. გამგეობები არ ზრუნავენ ღარიბთა ფონდის შექმნაზე".

ასეთ მდგომარეობას ბოლო უნდა მოეღოს. ფართე კოოპერატიული საზოგადოებრიობის შექმნა, მასების აქტიური ჩაბმა კოოპერაციის საქმიანობაში, მისი ხელმძღვანელ ორგანოების გადახალისება, რათა იქ მოხვდენ ჩვენი კოოპერატიული პოლიტიკის მტკიცედ გამტარებელი და უმეტესად ღარიბთა მოწინავე ელემენტები, კოოპერატიულ მუშაკების მომზადება—აი რა უნდა შეადგენდეს ჩვენი ღონისძიებათა საგანს.

შემდეგი საკითხი, რომელსაც ჩვენ გვინდა შევეხოთ, ესაა კრედიტის განაწილება. აქა-იქ ხდება, რომ სესხის მიღებას ახერხებენ უფრო შეძლებული ელემენტები. საამისო ფაქტები ჩვენს პრესაში დროგამოშვებით არა ერთი და ორი ყოფილა მოყვანილი. ეს ნაკლი (მეტი რომ არა ვსთქვათ) აუცილებლად უნდა გამოსწორდეს და კრედიტს უნდა მიეცეს სათანადო სოციალური მიმართულება, ე. ი. სესხი უნდა ეძლეოდეს პირველ ყოვლისა ღარიბ გლეხობას და შემდეგ მასთან ახლო მყოფ საშუალო გლეხობას. კულაკურ ელემენტებს უნდა აღეკვეთოს კოოპერატიული კრედიტით სარგებლობის შესაძლებლობა.

ამასთან დაკავშირებით ერთი საყურადღებო საკითხი წამოიჭრა თათბირზე. ბევრმა თურმე არ იცის, თუ ვინ არის ღარიბი და ვინ საშუალო გლეხი. მართალია, ღარიბ და საშუალო მეურნეობათა განსაზღვრის საკითხს ერთი შაბლონური საზომით ვერ მიუდგებით. აქ მხედველობაშია მისაღები ამა თუ იმ რაიონის ეკონომიური მდგომარეობა . მაგრამ თუ ჩვენ გვესმის პარტიის კლასობრივი პოლიტიკა სოფლად, ამ საკითხის სწორი გადაჭრა შესაძლებელია. მით უმეტეს ადვილია კულაკურ მეურნეობის გამორჩევა. ის გაუგებრობა, რომელსაც ადგილი აქვს ღარიბთა ცნების განსაზღვრის საკითხში ზოგიერთ კოოპერატიულ მუშაკებ შორის, ბევრად აიხსნება საერთოდ ღარიბთა შორის მუშაობის სისუსტით. ამასთან, ჩვენი კოოპერაციის სოციალური შემადგენლობა ჯერ კიდევ არ არის რიგიანად შესწავლილი. აქედან არსებული სათანადო ციფრები უმეტესად პირობითი ხასიათისაა. ამ ნაკლის ასაცილებლად ნაბიჯები უნდა იქნეს გადადგმული.

ბოლოს, საჭიროდ მიგვაჩნია შევჩერდეთ სას.-სამ. კოოპერაციის სამეურნეო მუშაობის ხასიათზე. დღემდე იგი უმთავრესად ეწევა შესყიდვა-გასაღების ოპერაციებს. ამ დარგში მას საგრძნობი დიდი მიღწევები აქვს; კერძო ვაჭარი თითქმის განდევნილია. მაგრამ ამასთან ერთად საჭიროა, რომ სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციამ მტკიცე გეზი მიიღოს გლეხურ მეურნეობათა საწარმოო პროცესების გაერთიანებისა და სასოფლო მეურნეობის ინდუსტრიალიზაციისაკენ. ეს მისი ერთი ძირითადი ამოცანათაგანია. სპეციალურ სამეურნეო დარგების კავშირების შექმნა სხვადასხვა რაიონების ეკონომიური შესწავლის შემდეგ, საწარმოო კონტრაქტაციის ფართედ გავრცელება, სასოფლო მეურნეობის პროდუქციის პირვანდელ გადამუშავების საქმის მოწყობა—ამ მიმართულებით უნდა იქნეს მუშაობა გაძლიერებული. ამ გზით შეიძლება მომზადდეს პირობები სასოფლო მეურნეობის კოლექტივიზაციის დაჩქარებისათვის და კოოპერაცია გახდება სოფლის სოციალისტურად გარდაქმნის ნამდვილ ფაქტორად.

ყველა ამ ამოცანების გადასაჭრელად კოოპერაციას, ცხადია, დიდძალი საშუალებები ესაჭიროება. მაგრამ აღსანიშნავია, რომ სას.-სამ. კოოპერაციას ჯერ-ჯერობით საკუთარი თანხები მცირე გააჩნია. საპაიო გამოსაღებების დროზე და სრულიად შეკრება, შესყიდვა-გასაღების საქმის რაციონალიზაცია და სხვა სათანადო ღონისძიებები — კოოპერაციას შეუქმნიან მტკიცე მატერიალურ ბაზას, რომელიც მას შესაძლებლობას მისცემს ფართოთ გაშალოს მუშაობა.

ბრძოლა სწარმოებს

ის ცნობები, რომლებსაც უკანასკნელ დროს უცხოეთიდან ვღებულობთ, მოწმობენ, რომ მუშათა საგაფიცვო მოძრაობა თანდათან ვითარდება, ხოლო მრავალ ადგილას საგრძნობლად მწვავდება კიდეც. მუშათა კლასობრივი ბრძოლა კაპიტალისტური ექსპლოატაციის წინააღმდეგ, „რაციონალიზაციის" წინააღმდეგ, მონდის „სამრეწველო მშვიდობიანობის" წინააღმდეგ, ლეიპარტის „სამეურნეო დემოკრატიის" წინააღმდეგ განვითარების აშკარა ტენდენციას ატარებს. თავისი გაფიცვებით, რომლებიც კაპიტალისტური სისტემის მრავალ უმნიშვნელოვანეს ქვეყანაში ვრცელდებიან, და სხვა კლასობრივი გამოსვლებით საერთაშორისო პროლეტარიატი საქვეყნოდ ცხადჰყოფს, რომ ის მზად არის ენერგიული და აქტიური წინააღმდეგობა გაუწიოს კაპიტალისტებს, რომელნიც ეძყარებიან სახელმწიფოებრივი ხელისუფლების ძლიერებას და თავიანთი რეფორმისტული მოკავშირეებისა და ლაქიების დახმარებას და რომელნიც გააფთორებულ შეტევას აწარმოებენ მუშათა კლასის წინააღმდეგ.

მსოფლიო განვითარების ეხლანდელი პერიოდი, რომელიც მკაფიოდ და ამომწურავად დაახასიათა თავის გადაწყვეტილებებში კომინტერნის მე-6 კონგრესმა, თან ატარებს კლასობრივი ბრძოლის გამწვავების აუცილებლობას. კაპიტალისტური წყობილების წინააღმდეგობანი თანდათან უფრო საგრძნობი ხდებიან და კაპიტალიზმის კრიზისი, თუმცა ნელა, მაგრამ შეუჩერებლად ვითარდება. კაპიტალისტები მთელი ძალღონით სცდილობენ „რაციონალიზაციის" გატარებას, მაო. სურთ გადააქციონ ის იმ უებარ წამლად, რომელმაც უნდა იხსნას ისინი ყოველგვარი გასაჭირისაგან და „თავიანთ" წყობილების ბედზე, ზრუნვისაგან. სოციალ-დემოკრატები, რომელთა არსებობის წყაროს კაპიტალიზმის სტაბილიზატორული ტენდენციები წარმოადგენენ, სცდილობენ „მოხერხებული" გზა გაუკაფონ კაპიტალისტურ განვითარებას. ისინი გამოდიან ექსპლოატატორული რაციონალიზაციის მოწინავე მოციქულებად, ისინი ბორკილებით ბოჭავენ პროლეტარიატის ყოველსავე აქტივობას, თანდათან უფრო თვალსაჩინოდ ეხორცებიან ბურჟუაზიულ სახელმწიფოებრივ ორგანიზაციებს და საჩქაროდ უთანხმებენ მათ მთელ თავიანთ „იდეოლოგიას".

„ამ იდეურ გეზს (სოციალ - დემოკრატიის იდეურ გეზს. **რედაქცია**— ვკითხულობთ კომუნისტური ინტერნაციონალის მე-6 კონგრესის თეზისებში საერთაშორისო მდგომარეობისა და კომინტერნის ამოცანების შესახებ,—სავსებით შეეფერება სოციალ-დემოკრატიისა და რეფორმისტულ პროფკავშირთა ბელადების პრაქტიკული საქმიანობა და, პირველ რიგში, მათი კამპანია, რომ ყველგან დანერგონ „ამერიკული" მეთოდები კორუპციისა და მუშათა კლასის გახრწნისა. სოციალ - დემოკრატიისა და რეფორმისტულ პროფკავშირთა ბელადების მოღალატური როლს გაფიცვებისა და პოლიტიკური კრიზისების დროს, კოლონიებში წარმოშობილი კონფლიქტებისა და აჯანყებების დროს, მუშების წინააღმდეგ მიმართული ტერორის გამართლებას", ამჟამად ემატება გააფთრებული თავდასხმა კომუნისტებზე და რევოლიუციონურ მუშებზე (გამორიცხვის პოლიტიკა, მრავალ ქვეყანაში პროფკავშირების, კოოპერატივებისა და სხვა მასიური ორგანიზაციების გათიშვის პოლიტიკა).

მთელი საგაფიცვო ბრძოლა სავსებით ადასტურებს სოციალ-რეფორმიზმის ეხლანდელი პოზიციის ამ დახასიათებას. რეფორმიზმი მხარს უჭერს მუშათა ბრძოლის პირდაპირ ჩახშობას და ამ მხრივ მისი პრაქტიკული გეზი განსაკუთრებულ პერსპექტივებსა შლის პროლეტარიატის რევოლიუციონური ავანგარდების ბრძოლისათვის. რამდენადაც რეფორმისტები აშკარად ხელს უწყობენ კაპიტალისტურ რაციონალიზაციას, რამდენადაც ეს უკანასკნელი ხორციელდება მუშათა საარსებო და მატერიალურ-კულტურული დონის დაწევით, დამდენადაც რეფორმისტები საბოტაჟს ეწევიან და მუშათა ელემენტარულ ეკონომიურ ბრძოლასაც კი შლიან, იმდენად აქ ფართო ასპარეზი იშლება მასების ცოცხალი რევოლიუციონური ინიციატივისათვის და კომპარტიის წარმატებითი მუშაობისათვის. სწორედ აქ იმალება საგრძნობლად კომპარტიის უკანასკნელი დროის წარმატებათა „საიდუმლოება". ესევე გარემოება უდიდეს პასუხისმგებლობას აკისრებს მოძმე კომპარტიებს, რომლებიც გაათკეცებული ენერგიით, გაბედულად და გადაჭრით უნდა ჩაუდგნენ სათავეში მუშათა მასების ბრძოლას. მუშათა კლასს არავითარი ხალისი არა აქვს ხმა ამოუღებლად და მორჩილად აიტანოს კაპიტალისტური რაციონალიზაციის „მშვენიერებანი". ამიტომ გადამჭრელი და ულმობელი ბრძოლა კონტრრევოლიუციონური რეფორმიზმის წინააღმდეგ უნდა იყოს კომპარტიების მუშაობის ერთერთი უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ელემენტი.

დღევანდელი კლასობრივი ბრძოლებიდან უმთავრეს ყურადღებას იპყრობს ლოძის ფეიქართა გმირული გაფიცვა, რომელსაც ხელმძღვანელობს პოლონეთის მამაცი კომპარტია. ლოძში და სხვა ქალაქებში ერთბაშად შესწყვიტეს მუშაობა სართავმა და საქსოვმა დაზგებმა. გაფიცულთა ასიათასიანი არმია უშიშრად დაუპირისპირდა კაპიტალის, ფაშისტური, ხელისუფლებისა და სოციალ-ოხრანიკების შეერთებულ ძალებს. ამ ცეცხლის რკალში და მტრის შეუწყვეტელი იერიშების პირობებში ბრძოლის სიძნელენი ჭეშმარიტად უდიდესია. მაგრამ ლოძის ფეიქრები. რომლებიც არაერთხელ და ორჯერ გაუციათ პოლონეთის სოციალისტური პარტიის არამზადებს, გმირულად იბრძვიან. ლოძის გაფიცვა უეჭველად ააშკარავებს პოლიტიკურ მომენტებს. ამას მოწმობს არა მარტო მისი გრანდიოზული მასშტაბი და სწრაფი განვითარება, არამედ ის ფაქტიც, რომ მუშათა შორის უდიდესი პოპულიარობით სარგებლობენ ფაშიზმთან ბრძოლის და საბჭოთა კავშირის დაცვის ლოზუნგები. იმ მომენტში, როდესაც ეს სტრიქონები იწერება, ტელეგრაფმა მოიტანა ცნობა, რომ ლოძში შესაძლებელია საყოველთაო გაფიცვის გამოცხადება.

გააფთრებული ბრძოლა სწარმოებს ჩრდილოეთ საფრანგეთშიაც, საფეიქრო ბარონებმა, ბატონმა ლეიმ და კომპანიამ შეიარაღებული პოლიცია შეუსიეს გაფიცულ პროლეტარებს. ბატონი რეფორმისტები, რომლებიც მიწაზე ხოხავენ ლეიების წინაშე და მწარმოებელთა სრული მონა მორჩილნი არიან, მთელი ძალღონით სცდილობენ პროლეტარული ბრძოლის ჩაშლას და საბოტაჟს ეწევიან უნიტარული (რევოლიუციონური) პროფკავშირების წინააღმდეგ. ადგილ-ადგილ (მაგალითად, ტურკუენში) რეფორმისტებმა შესძლეს მუშების დამარცხება. მაგრამ მრავალ უდიდეს ცენტრში ბრძოლა გრძელდება.

გერმანიის პროლეტარიატიც, რომელიც კომპარტიის ხელმძღვანელობით ენერგიულად იბრძვის სოციალ-დემოკრატიის პოლიტიკის წინააღმდეგ, მონაწილეობას იღებს ეკონომიურ ბრძოლაში. გაფიცულია ჩრდილოეთ გერმანიის გემთსაშენების 50.000 მუშა.

დიდად მნიშვნელოვან სიმპტომად უნდა ჩაითვალოს ამერიკის ფეიქართა გაფიცვა, რომლის ჩაშლასაც ლამობენ რეფორმისტები.

შეერთებული შტატების, მსოფლიო რეფორმიზმის ამ უმტკიცესი ციხესიმაგრის, მუშათა მოძრაობაში, სადაც ბატონობენ ბინძური, საზიზღარი გრინები, უკანასკნელ პერიოდში საგულისხმო პროცესების მოწმენი ვხდებით. ყბადაღებული „პროსპერიტი"-ს (აყვავება) მიუხედავად, მუშათა მოძრაობა თანდათან მემარცხენდება. მემარცხენე პროფმოძრაობის წარმატება აშკარაა, თუ უკვე ბევრი რამ გაკეთდა შეუკავშირებელი მუშების დარაზმვის საქმეში. კომპარტიის მნიშვნელოვან წარმატებას ძალაუნებურად მისი დაუძინებელი მტრებიც კი აღიარებენ. ასე, მაგალითად, ამერიკის შრომის კონფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა პროფ-ბიუროკრატმა მეტიუ ულმა სიტყვა-სიტყვით განაცხადა შემდეგი:

„მათი (კომუნისტების) წარმატება აშკარა ორგანიზაციული მუშაობის დარგში იმდენად დიდია, რომ მოწმობს მსოფლიო რევოლიუციის კომუნისტური გეგმის განსაცვიფრებელსა და მოულოდნელ განვითარებას".

არ შეიძლება შემთხვევითად ჩაითვალოს უკანასკნელი დროის ბრძოლის თავისებური „საფეიქრო" ელფერი (საინტერესოა აღინიშნოს, რომ ინდოეთში მხოლოდ ამ რამდენიმე დღის წინად დამთავრდა ფეიქართა დიდი ხანგრძლივი გაფიცვა). კაპიტალისტებისათვის მომავალი მოგების ერთ-ერთ არსებით საკითხს წარმოადგენს საფეიქრო მრეწველობის რადიკალური რაციონალიზაციის საკითხი. ფართო მასების გაღატაკების ტენდენცია უაღრესად ამწვავებს ბრძოლას „მასიური" საფეიქრო საქონლის ბაზრებისათვის. „რაციონალიზაცია" და უწინარეს ყოვლისა სამუშაო ხელფასის შეკვეცა და სამუშაო დღის გაგრძელება კაპიტალისტებს წარმოდგენილი აქვთ ერთად-ერთ საშუალებად საბაზრო პოზიციების განმტკიცებისათვის. ამით აიხსნება ბრძოლის განსაკუთრებით გამწვავება მრეწველობის ამ დარგში.

მაგრამ ამ ბრძოლას უფრო ზოგადი ხასიათი აქვს. ანტიპროლეტარული „რაციონალიზაცია" ხომ ყველგან სწარმოებს. კაპიტალი სცდილობს ყველა ფრონტზე შეუტიოს მუშებს. პროლეტარიატი მას თანდათან უფრო ერთსულოვან კოლექტიურ წინააღმდეგობას გაუწევს. მებრძოლთა რიგები იზრდებიან, პროლეტარული მოძრაობის გაძლიერება და აზვირთება უფრო და უფრო აშკარა ხდება. ყოველგვარი სიძნელის მიუხედავად, რევოლიუციონური პროლეტარიატის წინაშე თანდათან უფრო ხელსაყრელი პერსპექტივები იშლება.

„პრავდა", 11 ოქტომბერი.

დიდი კლასობრივი ბრძოლები კაპიტალისტურ ქვეყნებში

ლოძის ფეიქრებმა უარჰყვეს მთავრობის წინადადება ხელფასის გადიდების შესახებ 5 პროცენტით

პოლონელი მემაღაროეები გაფიცვისათვის ემზადებიან--მელითონეები ხელფასის გადიდებას მოითხოვენ

პრაღის (ჩეხო-სლოვაკია) მუშა-მშენებლების საპროტესტო გაფიცვა

გაფიცვების ტალღა ძლიერდება

გაფიცვები პოლონეთში

მუშებმა უარჰყვეს მთავრობის წინადადება

ვარშავა, 10 ოქტომბერი. ლოძის მუშებმა არ მიიღეს მთავრობის წინადადება ხელფასის ხუთი პროცენტით გადიდების შესახებ. რეზოლიუცია მოუწოდებს მუშებს — განაგრძონ გაფიცვა გამარჯვებამდე. კავშირი წინადადებას აძლევს მუშებს, გააძლიერონ გაფიცვა დარაჯების, ცეცხლფარეშების და მანქანების მოხსნით სამუშაოდან.

პროფკავშირმა მიმართა ლოძის პროფკავშირთა საოლქო კომისიას და წინადადება მისცა, ფეიქართა გაფიცვისათვის ხელის შესაწყობად, გამოაცხადოს სოლიდარობის საყოველთაო გაფიცვა.

მელითონეები ხელფასის გადიდებას მოითხოვენ

ვარშავა, 10 ოქტ. მდგომარეობა ლოძში უფრო გამწვავდა იმის გამო, რომ მოთხოვნა ხელფასის გადიდების შესახებ მელითონეთა პროფკავშირმაც წარუდგინა დამქირავებლებს. თუ მოთხოვნას არ შეასრულებენ, პროფკავშირები გაფიცვით იმუქრებიან.

საყოველთაო გაფიცვის გამოცხადების საკითხი

ვარშავა, 10 ოქტომბერი. 11 ოქტომბერს შესდგა ლოძის პროფკავშირთა საოლქო კომისიის სხდომა საყოველთაო გაფიცვის საკითხების განსახილველად.

ფეიქართა საფაბრიკო დეპუტატების კრებამ დიდი აურ-ზაურით ჩაიარა.

პოლონეთის სოციალისტური პარტიის წევრებისაგან შემდგარმა პრეზიდიუმმა დაადგინა—არ შეუშვას სხდომის დარბაზში კომუნისტური დეპუტატები ბიტნერი და როსიაკი. ამის გამო ბიტნერმა და როსიაკმა სიტყვებით მიმართეს ეზოში შეგროვილ მუშებს.

პრეზიდიუმის მოქმედებით აღშფოთებული მუშები გაემართნენ სხდომის დარბაზისაკენ, გამოამტვრიეს კარები და დეპუტატებთან ერთად შეცვივდნენ დარბაზში. პრეზიდიუმმა დაუყოვნებლივ დახურა სხდომა. ამის შემდეგ დეპუტატმა როსიაკმა წარმოსთქვა სიტყვა. ხმის უმრავლესობით მიღებულ იქნა როსიაკის მიერ წარდგენილი რეზოლიუცია.

ვარშავის საღამოს ბურჟუაზიული პრესა იუწყება, რომ „კომუნისტური დეპუტატები როსიაკი და ბიტნერი მხნედ მუშაობენ ლოძში". და მუშების ქუჩაში გამოსვლებს და დემონსტრაციებს ამზადებენო (ადს).

პოლონეთის მემაღაროეთა გაფიცვა

ვარშავა, 10 ოქტომბერი. მემაღაროეთა პროფკავშირმა, შრომის სამინისტროსთან შეთანხმებით, რამდენიმე დღით გადასდეს გაფიცვის გამოცხადება. იმ მიზნით, რომ საშუალება მისცენ შრომის სამინისტროს საბოლოოდ მოელაპარაკოს ქვანახშირის მაღაროების პატრონებს. 17 ოქტომბერს მემაღაროეებმა უნდა მიიღონ პასუხი მოლაპარაკების შედეგების შესახებ. თუ სამინისტროს მოლაპარაკებამ დამქირავებლებთან უშედეგოდ ჩაიარა, 17 ოქტომბერს გამოცხადდება მემაღაროეთა გაფიცვა.

—:—

მემაღაროეთა პროფკავშირები დომბროვისა და კრაკოვის ქვა-ნახშირის რაიონებში მოითხოვენ ხელფასის გადიდებას 4—9 პროცენტით, რასაც ზემო-სილეზიის ქვანახშირის რაიონის მემაღაროეებმა უკვე მიაღწიეს. (ადს).

ჩეხო-სლოვაკიის მუშების ბრძოლა

გაფიცვა პრაღაში

პრაღა, 10 ოქტომბერი. დაიწყო პრაღის საამშენებლო მუშათა საპროტესტო გაფიცვა. მუშები აღშფოთებულნი არიან იმ კატასტროფით, რომელიც ამას წინად მოხდა შენობის აგების დროს. ისინი ამტკიცებენ, რომ კატასტროფა შედეგად მოჰყვა კაპიტალისტურ რაციონალიზაციას და მშენებლობაში შემოღებულ უაღრესად აჩქარებულ ტემპს. ასეთ ტემპს კაპიტალისტებმა მიმართეს იმ კანონის გამო, რომლის ძალითაც საგადასახადო შეღავათები ვრცელდება მხოლოდ ისეთ სახლებზე, რომელთა აგებაც დამთავრებული იქნება 1928 წლის დამლევამდე.

პრაღის მოსახლეობა აღშფოთებულია

პრაღა, 10 ოქტომბერი. მთელი მოსახლეობა პრაღისა აღშფოთებულია კატასტროფით. კომფრაქციამ პარლამენტის საღამოს სხდომაზე წინადადება შეიტანა კატასტროფის მიზეზების დაუყოვნებლივ გამოკვლევის შესახებ. პარლამენტმა უარჰყო კომუნისტების წინადადება და სოციალისტებისა და ბურჟუაზიული პარტიების ხმებით მიიღო სოციალისტების წინადადება, რომელიც მოითხოვს მხოლოდ მთავრობის მოხსენებას.

ჩეხო-სლოვაკიის კომპარტია და პროფკავშირების ეროვნებათა საბჭო (რევოლიუციონური პროფკავშირული ორგანიზაცია) გაკიცხვისაკენ მოუწოდებენ საამშენებლო მუშებს. პოლიციამ გაფანტა საამშენებლო მუშათა დელეგატების კონფერენცია. გაფიცვა-პროტესტი მაინც გრძელდება (ადს).

გაფიცვა კლადნოში

პრაღა, 10 ოქტომბერი. კლადნოს რაიონში მდგომარეობა რთულდება. 5 ოქტომბერს სხვადასხვა ადგილას დემონსტრაციები გაიმართა შტრეიკბრეხერების წინააღმდეგ. პოლიციამ დააპატიმრა დაახლოვებით 20 დემონსტრანტი, ერთს ძალიან სცემა. საგაფიცვო კომიტეტი მოუწოდებს მუშათა ორგანიზაციებს, რომ მხარი დაუჭირონ გაფიცვას.

საზოგადოებრივ სამუშაოთა სამინისტრო 10 ოქტომბრისათვის იწვევს თათბირს, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ მუშათა და წარმოების პატრონთა წარმომადგენელნი.

პრაღა, 10 ოქტომბერი. მემაღაროეთა გაფიცვა კლადნოს რაიონში გრძელდება. გაფიცულია 10.000-მდე მემაღაროე. გაფიცულნი მოითხოვენ ხელფასის 17 პროცენტით გადიდებას. მწარმოებლები ცდილობენ შტრეიკბრეხერების ძალებით დაიწყონ მუშაობა, მაგრამ ჯერჯერობით მხოლოდ 100 შტრეიკბრეხერის შეგროვება მოახერხეს. გაფიცულების წინააღმდეგ პოლიცია სასტიკ რეპრესიებს მიმართავს. რაიონში მოსალოდნელია საალყო წესების გამოცხადება. გაფიცულთ გადაწყვეტილი აქვთ განაგრძონ ბრძოლა ყველა წარდგენილი მოთხოვნილების სავსებით დაკმაყოფილებამდე.

კლადნოში, ქალაქის მოედანზე შესდგა მიტინგი, რომელშიც 10.000-ზე მეტმა მუშამ მიიღო მონაწილეობა. მიტინგი მქუხარე ტაშით შეხვდა პროფინტერნის მისასალმებელ დეპეშას. მიტინგმა მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც საჭიროდ სთვლის ბრძოლის გაგრძელებას საბოლოო გამარჯვებამდე და პროტესტს აცხადებს პოლიციის მოქმედების წინააღმდეგ. კომუნისტურ გაზეთებში ცენზურა შლის თითქმის ყველა ცნობას გაფიცვის მსვლელობის შესახებ (ადს).

ჩეხო-სლოვაკიის კომპარტიის მანიფესტი

პრაღა, 10 ოქტომბერი. ჩეხო-სლოვაკიის კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ჩეხო-სლოვაკიის მშრომელთ მანიფესტით მიმართა. მანიფესტი მიუთითებს მშრომელთ კლადნოს რაიონის მუშათა ბრძოლაზე, რომელიც დამახასიათებელია მომენტისათვის ,როდესაც ჩეხო-სლოვაკიის რესპუბლიკის არსებობიდან 10 წლის შესრულების დღესასწაულის დროს ბურჟუაზია ფიქრობს დემოკრატიული ილიუზიების გამოყენებას ის მ დროს, როდესაც კარტელებისა და საფინანსო კაპიტალის ბატონობა ძლიერდება, როდესაც კლასობრივი წინააღმდეგობანი მწვავდებიან.

მანიფესტი აღნიშნავს ცენზურის გაძლიერებას, გაფიცვისა და შეკრების თავისუფლების დარღვევას, საარჩევნო უფლებების ჩამორთმევას ჯარისკაცებისათვის და სხვა ამგვარ აქტებს. შემდეგ, მანიფესტი მოუწოდებს ჩეხო-სლოვაკიის სოფლისა და ქალაქის მშრომელთ და ჯარისკაცებს, გადამწყვეტი ბრძოლა აწარმოონ კარტელების პოლიტიკის წინააღმდეგ, მევახშეთა ბატონობისა და ომის საფრთხის წინააღმდეგ.

"14 და 28 ოქტომბერი,—ამბობს მანიფესტი,—უნდა გადაიქცეს იმეთ დღეებად, როდესაც მუშები აშკარად აჩვენებენ ყველას თუ როგორ უყურებენ ისინი მოგების მოტრფიალე კაპიტალისტურ სახელმწიფოს და რეფორმისტების გამყიდველ როლს რევოლიუციის დროს. მათ უნდა დაუმტკიცონ ყველას, რომ მათი ნამდვილი სამშობლო საბჭოთა კავშირია".

კონფისკაცია უყვეს „რუდე პრავო"-ს იმ ნომერს, რომელშიაც გამოქვეყნდა ცენტრალური კომიტეტის მანიფესტი. მანიფესტს არალეგალურად ავრცელებენ. (ადს).

გაფიცვები გერმანიაში

გემის მშენებელთა გაფიცვა

ბერლინი, 10 ოქტომბერი. ზღვის პირის ოლქის გემის მშენებელ მუშათა გაფიცვა გრძელდება. მწარმოებელთა და რეფორმისტული ლიდერების საწინააღმდეგო ღონისძიებათა მიუხედავად, გაფიცულებს განზრახული აქვთ განაგრძონ ბრძოლა. გემთსაშენების მეპატრონეები სცდილობენ შტრეიკბრეხერების დახმარებით იბრძოლონ გაფიცვის წინააღმდეგ. გაფიცულნი იბრძვიან ამ ცდებს პროფკავშირთა მემარცხენე უმცირესობის ხელმძღვანელობით. უკანასკნელ დღეებში მოხდა რამდენიმე შეტაკება გაფიცულებსა და შტრეიკბრეხერებს შორის. ჰამბურგის პოლიციპრეზიდენტი სოციალ-დემოკრატი შენფელდერი ყოველთვის იძლეოდა ბრძანებებს, რომ გაერეკათ და დაეპატიმრებინათ გაფიცულნი, კერძოდ, მათ მიერ დაყენებული პიკეტები. (ადს).

სამედიატორო გადაწყვეტილება ქვემო-სილეზიაში სამთომადნო მრეწველობაში აძრულ კონფლიქტის გამო

ბერლინი, 10 ოქტომბერი. გამოტანილია სამედიატორო გადაწყვეტილება ქვემო-სილეზიის სამთომადნო მრეწველობაში აძრული კონფლიქტის გამო. ქვემო-სილეზიაში გაფიცულია 27.000 მემაღაროე.

გადაწყვეტილების თანახმად მემაღაროეთა ხელფასი საშუალოდ უნდა გადიდდეს 8½ პროცენტით.

მემაღაროეთა პროფკავშირებმა ეხლავე უნდა გადასწყვიტონ ამ გადაწყვეტილების მიღებისა თუ უარყოფის საკითხი. მუშათა მასები მტრულად არიან განწყობილნი გადაწყვეტილების წინააღმდეგ, ვინაიდან საკმაოდ არ სთვლიან ხელფასის ასეთი რაოდენობით მომატებას. ისინი მოითხოვენ ბრძოლის გაგრძელებას (ადს).

ფეიქართა გაფიცვა საფრანგეთში

პარიზი, 10 ოქტომბერი. „ლიუმანიტე"-ს ცნობით, ტურკუენისა და არმანტიერის ფეიქართა გაფიცვის შეწყვეტას, რაც რეფორმისტების ტაქტიკის შედეგი იყო, გავლენა არ მოუხდენია ამ ქალაქების მუშათა განწყობილებაზე. ტურკუენისა და არმანტიერის ფეიქრები უნიტარული პროფკავშირის ხელმძღვანელობით ემზადებიან ახალი ბრძოლისათვის ხელფასის გასადიდებლად. ალუენისა და ლილის სხვა მიდამოებში გაფიცული 15.000 მუშა კვლავ მედგრად იბრძვის; არც ერთი მათგანი სამუშაოზე არ დაბრუნებულა. (ადს)

გაფიცვა ბელგიაში

პარიზი, 10 ოქტომბერი. ბრიუსელიდან გადმოცემული ცნობით, ხერსტალის გაფიცულ მეტალურგიულ მუშათა შორის მოხდა რეფერენდუმი, რომლის შედეგადაც გაფიცვა გამოცხადებულ იქნა დასრულებულად. დამქირავებლებმა იკისრეს ვალდებულება პატივი სცენ პროფკავშირთა თავისუფლებას, სანამ სოციალური დაზღვევის შესახებ კანონი გამოვიდოდეს, ავადმყოფობისა და დასახიჩრების შემთხვევებში, აძლიონ მუშებს დახმარება და სამსახურში მიიღონ ის მუშები, რომლებიც, გაფიცვასთან დაკავშირებით, დათხოვნილ იქნენ. (ადს)

ბომბეის ფეიქართა გაფიცვა

ლონდონი, 10 ოქტომბერი. ბომბეიში „სესუნ"-ის კამპანიის ფაბრიკების ფეიქრებმა, რომლებიც იანვრიდან გაფიცულნი არიან, უარი სთქვეს გაფიცვის შეწყვეტაზე, წინააღმდეგ საფეიქრო ფაბრიკების პატრონთა წარმომადგენლების და საგაფიცვო კომიტეტის კონფერენციის ამას წინად გამოტანილი დადგენილებისა. ეს კონფერენცია მოხდა ბომბეის მთავრობის წევრის თავმჯდომარეობით. (ადს)

დოკერების გაფიცვა ავსტრალიაში

ლონდონი, 10 ოქტომბერი. როგორც მელბურნიდან რეიტერის სააგენტო იუწყება, მეეტლეთა და შოფერების კავშირმა დაადგინა— არ შეუერთდეს დოკერების გაფიცვას. დატვირთვა- გადატვირთვის სამუშაოებს აწარმოებს 1.000-ზე მეტი მოხალისე—შტრეიკბრეხერი. მუშაობა სწარმოებს 22 გემზე.

ინგლის-საფრანგეთის შეთანხმების გარშემო

ინგლისის მთავრობა შეურიგდა ცნობების გამოქვეყნებას

ლონდონი, 10 ოქტომბერი. რეიტერის სააგენტო იუწყება:

„საგარეო საქმეთა მინისტრი აცხადებს, რომ მან უკვე მიიღო ყველა იმ სახელმწიფოს მოსაზრებანი, რომლებსაც ეუწყათ ინგლის-საფრანგეთის საზღვაო შეთანხმების პირობები. მთავრობათა პასუხი მაშინვე გამოქვეყნდება, როცა დაინტერესებული მთავრობანი ამაზე თანხმობას განაცხადებენ".

იტალია უკმაყოფილოა

პარიზი, 10 ოქტომბერი. პარიზის პრესა, რომელიც ჩვეულებრივად მეგობრულად იყო განწყობილი იტალიისადმი, ეხება იტალიის პრეტენზიებს საზღვაო ძალების საფრანგეთთან გათანაბრების შესახებ და ხაზგასმით აღნიშნავს იტალიის განმარტოვებით დარჩენას.

„ეკო დე პარი" აღნიშნავს, რომ ინგლის-საფრანგეთის დაახლოვება, რომელშიაც იტალია მონაწილეობას არ იღებს, მიუღებელია იტალიისათვის. იგი ეცდება ჩაშალოს პარიზ-ლონდონის საერთო გამოსვლებიო. (ადს).

ჩრდილოეთ- აფრიკის სანაპიროების თავდაცვის გაძლიერების გეგმა

პარიზი, 10 ოქტომბერი. გაზეთი „რიუმერ"-ს მოჰყავს „ჩრდილოეთ- აფრიკის სანაპიროების თავდაცვის გაძლიერების" გეგმა, რომელსაც ვითომ ამუშავებენ უმაღლესი სამხედრო საბჭო, გენერალური შტაბი და ალჟირისა, ტუნისისა და მაროკოს შტაბები.

გაზეთი აცხადებს, რომ ახალი გეგმის დამუშავება გამოწვეულია იტალიის მტრული გამოსვლებით და უცხოეთის ფლოტის მანევრებით ტუნისის ნაპირებთან. გაზეთი აღნიშნავს, რომ დასახულია დიდი აღმშენებლობითი პროგრამა ბიზერტისა და ტუნისის ნაპირების გასამაგრებლად. (ადს)

ვილნოს დაპყრობის 8 წლის თავი

ლიტვის არმიის მოხალისეთა კრება

კოვნო, 10 ოქტომბერი. ვილნოს ოკუპაციის წლის თავის გამო კოვნოში შესდგა ლიტვის არმიის მოხალისეთა კრება.

კრებაზე გამოვიდა ვოლდემარასი, რომელმაც თავის სიტყვაში აღნიშნა, . რომ „ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ლიტვის სახელმწიფოებრიობის ძირითადი კადრი ვილნოში სცდილობდა დამოუკიდებელი ლიტვის შექმნას,ვილნოში მოწვეულ იქნა პოლონელთა კომიტეტი, რომელიც მიზნად ისახავდა პოლონეთის აღდგენას 1772 წლის საზღვრებში, ე. ი. ლიტვისა და სხვა ქვეყნების მოქცევას პოლონეთის ფარგლებში. პოლონელებს ფულით, იარაღით და ამუნიციით ეხმარებოდნენ უცხოეთის სახელმწიფოები. მაშინ ცუდად შეიარაღებულმა და სუსტად შეკავშირებულმა ლიტველთა რაზმებმა მაინც დაუმტკიცეს პოლონელებს, რომ ლიტვის ერი მზად არის უკანასკნელ სისხლის წვეთამდის იბრძოლოს თავისი დამოუკიდებლობის დასაცავად და, რომ. პოლონელები ვერ შესძლებენ ლიტვის დაპყრობას".

პრემიერმა აღნიშნა ლიტვის მისწრაფება მშვიდობიანობისაკენ და განაცხადა: „ჩვენ მაინც უნდა მივეჩვიოთ იარაღის ხმარებას, რათა საჭიროების დროს გამოვიყენოთ იგი. თუ ჩვენ მზად ვიქნებით, პოლონელები იძულებულნი იქნებიან ანგარიში გაგვიწიონ, მაშინ იარაღი ზედმეტი იქნება. მაგრამ თუ საჭირო იქნება, ჩვენ უნდა გამოვიყენოთ იარაღი სიცოცხლისა და სახელის დასაცავად". (ადს).

პრეზიდენტ სმეტონას გამოსვლა

კოვნო, 10 ოქტომბერი. ვილნოს ოკუპაციის წლის თავზე ლიტვის დამოუკიდებლობისათვის დაღუპულთა ძეგლთან მოხდა მიტინგი, რომელზედაც გამოვიდა ლიტვის პრეზიდენტი სმეტონა. მან განაცხადა, რომ პოლონეთი დახმარებას უწევს პოლონეთის ტერიტორიაზე გაქცეულ ლიტველთა ბანდებს. მან აღნიშნა აგრეთვე პოლონელების ხშირი პროვოკაცია სადემარკაციო ხაზზე. სმეტონამ განაცხადა, რომ ლიტვა არავითარ პროვოკაციაზე არ წამოეგება. სმეტონამ ხაზი გაუსვა ლიტვის მშვიდობიან მისწრაფებებს, მაგრამ ამასთანავე სთქვა, რომ ლიტვა შეიარაღებული უნდა იყოს მტრის მოსაგერიებლად.

პოლონელი „სოციალისტ"-ფაშისტების ახალი ორგანო

პილსუდსკის ახალი ორგანო

ვარშავა, 10 ოქტომბერი. გამოვიდა ახალი ყოველდღიური სოციალისტური გაზეთის „ვან თიოდის" პირველი ნომერი. გაზეთი გამოდის პოლონეთის სოციალისტური პარტიის ყოფილი ლიდერის, ახლა საზოგადოებრივ სამუშაოთა მინისტრის მორაჩევსკისა და პილსუდსკის პირადი მეგობრის ჩარკოვსკის ხელმძღვანელობით. ჩარკოვსკიც პოლონეთის სოციალისტური პარტიის ყოფილი თვალსაჩინო მოღვაწეა და პილსუდსკის თანამშრომელი პოლონეთის სოციალისტური პარტიის მებრძოლი ორგანიზაციის საქმეში.

ახალი გაზეთი პილსუდსკის მომხრე სოციალისტების ორგანოა. პოლიტიკურ წრეებში ფიქრობენ, რომ იავორსკი ტაქტიკური მოსაზრებით რამდენიმე ხნით, უეჭველია, უარს ჰყოფს თავის კავშირს გაზეთთან. გაზეთის პირველ გვერდზე წამოყენებულია ორი ლოზუნგი: სოციალიზმისათვის ბრძოლა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა.

ახალი გაზეთის გამოსვლასთან დაკავშირებით, ვარშავის პრესა სწერს პოლონეთის სოციალისტური პარტიის გათიშვის შესაძლებლობის შესახებ. ამასთანავე აღნიშნავს, რომ გათიშვა შეიძლება მოხდეს უახლოეს დღეებში. (ადს).

სოციალ-დემოკრატების მანევრები

ბერლინი, 11 ოქტომბ. ბრანდენბურგის პროვინციისა და სანაპირო ოლქის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების კონფერენციაზე გამოვიდა პარტიის თავმჯდომარე ველსი, რომელმაც განაცხადა, რომ რეიხსტაგის სოციალ-დემოკრატიულმა ფრაქციამ შეიტანა წინადადება ჯავშნოსანის აგების შეწყვეტის შესახებ. ასეთი მანევრებით სოციალ-დემოკრატები სცდილობენ ახალი ილიუზიები შეუქმნან სოციალ-დემოკრატ მუშებს და მონაწილეობა არ მიაღებინონ მათ კენჭის ყრაში ჯავშნოსანის აგების შესახებ პლებისციტის მოსაწყობად. (ადს).

ნანკინის მთავრობის რეორგანიზაცია

შანხაი, 10 ოქტომბერი. ნანკინის მთავრობის დეპეშათა სააგენტო გომინი ოფიციალურად აცხადებს, რომ რეორგანიზაციის შემდეგ ნანკინის ახალი მთავრობის წევრები ფიცს მიიღებენ და თანამდებობის ასრულებას შეუდგებიან ხვალ, ჩინეთის რესპუბლიკის გამოცხადების დღეს (11 ოქტომბერს).

ჩანკაიში დაინიშნა ნაციონალური მთავრობის თავმჯდომარედ, **ტან ენ-კაი** (ნანკინის მთავრობის ყოფილი თავმჯდომარე)— აღმასრულებელი საბჭოს თავმჯდომარედ, **ხუ ხან-მინი**—საკანონმდებლო საბჭოს თავმჯდომარედ, **ვან ჩუენ-ხუი** (მემარჯვენე გომინდანელი, არაერთხელ ნამყოფი როგორც პეკინის, ისე ნანკინის მთავრობის იუსტიციის მინისტრად)—იურიდიული საბჭოს თავმჯდომარედ, **დაი ცზი-ტაო** (გომინდანის მემარჯვენე ფრთის თეორეტიკოსი, ჩან კაი-შის მომხრე)—საეგზამენაციო საბჭოს თავმჯდომარედ, **ცაი იუან-პე** (ნანკინის მთავრობის ყოფილი განათლების მინისტრი)—სახელმწიფო კონტროლის საბჭოს თავმჯდომარედ.

რეიტერის სააგენტოს ცნობით, ჩჟან სიუე-ლიანი დაინიშნა ნაციონალური მთავრობის საბჭოს წევრად ჩან კაი-შის, ხუ ხან-მინის, დაი ცზი-ტაოს, ფინ იუ-სიანის, სუნ-ფეს, ლი ჩუნ-ჟენს და ლი ტი-სინთან ერთად.

გომინის სააგენტოს ცნობით, ნაციონალური მთავრობის საბჭოს წევრად ჩჟან სიუე-ლიანის ამორჩევამ სენსაცია გამოიწვია ნანკინში. ნანკინის პოლიტიკურ წრეებში ძლიერმა მიმდინარეობამ მის წინააღმდეგ გაილაშქრა, რომელსაც ადგილი ჰქონდა როგორც გომინდანის აღმასრულებელ კომიტეტში, ისე ნანკინის მთავრობის ცენტრალურ პოლიტიკურ საბჭოში. ბოლოს გაიმარჯვა იმ მიმდინარეობამ, რომელიც ამტკიცებდა, რომ სახელმწიფოს მთლიანობის ინტერესები მოითხოვენ, ჩჟან სიუე-ლიანის აუცილებლად არჩევას ნაციონალური მთავრობის საბჭოს წევრად (ადს).

კომუნისტების ეშინიათ

შანხაი, 10 ოქტომბერი. 11 ოქტომბრისთვის განზრახულია ჩინეთის რესპუბლიკის წლის თავის დღესასწაული. ამის გამო შანხაის ჩინურ ნაწილებში გამოცხადებულია საგანგებო წესები ორი დღით „კომუნისტური არეულობის თავიდან ასაცილებლად" (ადს).

პროტესტი ბონკურის გამოსვლის წინააღმდეგ

პარიზი, 10 ოქტომბერი. სოციალისტური სამხრეთის დეპარტამენტის ორგანიზაციამ პროტესტი განაცხადა იმის გამო, რომ პოლ ბონკური ჟენევაში განიარაღების წინააღმდეგ გამოვიდა.

რეზოლიუცია ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „ბონკური ამ სიტყვაში ისეთივე სულისკვეთებით იყო გამსჭვალული, როგორითაც ბრიანი, როდესაც ეს უკანასკნელ გერმანიის კანცლერს უპასუხებდა".

ამიტომ ჩრდილოეთის სოციალისტები მოითხოვენ განხილულ იქნას საკითხი ბონკურის გაწვევის შესახებ საფრანგეთის წარმომადგენლობიდან ერთა ლიგაში. (ადს).

ბერლინის რადიო-სადგურზე მომხდარი ამბავის გარშემო

ბერლინი, 10 ოქტომბერი. ბერლინის პოლიცია კვლავ დაეძებს „ფორვერტსის" რედაქტორის შვარცის გამტაცებლებს (შვარცი, რომელსაც კვირას სიტყვა უნდა წარმოეთქვა რადიო-სადგურზე, ავტომობილით გაიტაცეს ქალაქ გარეთ; მის მაგიერ რადიო-სადგურზე სიტყვა წარმოსთქვა ლანდტაგის დეპუტატმა—კომუნისტმა შულცმა, რომელიც მოუწოდებდა მსმენელებს—მხარი დაეჭირათ საყოველთაო კენჭის ყრისათვის ჯავშნოსანის აგების წინააღმდეგ).

პოლიციამ გაჩხრიკა გერმანიის კომპარტიის სხვადასხვა თანამდებობის პირის ბინა. ჩხრეკამ უშედეგოდ ჩაიარა. პოლიციამ დააპატიმრა რადიკალური გაზეთის „ველტ ამ აბენდის" მთავარი რედაქტორი ჰელერი, რომელზედაც პოლიციას ეჭვი ჰქონდა, რომ მონაწილეობას იღებდა შვარცის გატაცებაში. მაგრამ შვარცთან პირისპირ დაყენების შემდეგ ჰელერი გაანთავისუფლეს. პოლიცია გაფაციცებით დაეძებს შოფერს, რომელიც მართავდა ავტომობილს.

გერმანიის პრესა კვლავ დიდ ყურადღებას აქცევს რადიო-სადგურზე მომხდარ ამბავს, გაზეთების უმრავლესობა ამ ამბავს კომენტარიებს უკეთებს იუმორისტული და სატირული კილოთი. ბურჟუაზიული პრესა დასცინის სოციალ-დემოკრატიულ „ფორვერტს" იმის გამო რომ მან დიდი ხმაურობა ასტეხა ამ შემთხვევის გამო. (ადს).

ვენიზელოსი სამხრეთ-სლავიაში

ვენა, 10 ოქტომბერი. ბელგრადიდან გადმოცემული ცნობით, სამხრეთ-სლავიის მეფემ მიიღო ვენიზელოსი. დაიწყო მოლაპარაკება სამხრეთ-სლავიის საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობის აღმასრულებელ შუმენკოვიჩსა და ვენიზელოსს შორის.

პრესის წარმომადგენლებთან საუბარში ვენიზელოსმა განაცხადა, რომ ბელგრადში მისი ჩამოსვლის მთავარი მიზანია—გააცნოს სამხრეთ-სლავიის მთავრობას თავისი მოგზაურობა რომში და აგრეთვე საბერძნეთ-იტალიის ხელშეკრულება. მასა და მარინკოვიჩს შორის პარიზში მიღწეულ იქნა პრინციპიალური ერთსულოვნება საბერძნეთ - სამხრეთ-სლავიის ხელშეკრულების დადების საკითხში გათვალისწინებულ იქნა შემდგომი მოლაპარაკების პროგრამა და წესრიგი. ვენიზელოსმა იმედი გამოსთქვა, რომ საბერძნეთ-სამხრეთ-სლავიის ხელშეკრულებას მალე მოაწერენ ხელს. (ადს).

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკანასკნელი ცნობები

ლოძის ფეიქართა გაფიცვა

ვარშავა, 11 ოქტომბერი. გაფიცვა ლოძში ფართოვდება. სამუშაოდან მოხსნეს მემანქანეები, ცეცხლფარეშები და ფაბრიკებისა და საწყობების დარაჯები. მუშები მხნედ არიან განწყობილნი. წარმოებს გაძლიერებული აგიტაცია საყოველთაო გაფიცვის სასარგებლოდ. გადაწყვეტილება საყოველთაო გაფიცვის შესახებ მიღებული იქნება 12 ოქტომბერს პროფკავშირთა საოლქო კომისიის სხდომაზე. ლოძის გაზეთმა „რესპუბლიკა“-მ პროფკავშირების ხელმძღვანელებს მიმართა შეკითხვით, თუ როგორ მოიქცევიან ისინი, როდესაც საგაფიცვო ფონდი გამოილევა. ეგრედ წოდებული კლასობრივი პროფკავშირის ხელმძღვანელმა ალტერმა უპასუხა, რომ კავშირი დახმარებისათვის მიმართავს ფეიქართა ლონდონის ინტერნაციონალს და სხვა ქვეყნების ფეიქრებს, საბჭოთა კავშირის გარდა. ნაციონალური მუშათა პარტიის კავშირის ხელმძღვანელმა კაზიმირჩიკმა განაცხადა, რომ მუშებმა დახმარებისათვის უნდა მიმართონ ლოძის მუნიციპალიტეტს, რომელმაც დახმარებაზე უარი არ უნდა სთქვას, ვინაიდან მას პოლონეთის სოციალისტური პარტიის წევრები ხელმძღვანელობენ. ფაბრიკების მეპატრონეებს ჯერ კიდევ არ გაუციათ პასუხი—თანახმა არიან თუ არა მთავრობის წინადადებაზე ფეიქართა ხელფასის 5 პროცენტით გადიდების შესახებ. ვარშავაში გაიფიცა 2 საფეიქრო ფაბრიკა. მუშები მოითხოვენ ხელფასის 20 პროცენტით გადიდებას. ლოძში ტრამვაის მუშებმა წამოაყენეს ეკონომიური მოთხოვნილებანი და იმუქრებიან, რომ 14 ოქტომბერს გაიფიცებიან (ადს).

ხელის მოწერა საყოველთაო კენჭისყრის მოსათხოვად

ბერლინი, 10 ოქტომბერი. 8 ოქტომბრის განმავლობაში საყოველთაო კენჭისყრის მოთხოვნას ბერლინში ხელი მოაწერა 22898 ამომრჩეველმა. 9 ოქტომბერს ხელი მოაწერა 99.080 ამომრჩეველმა. ცნობები ხელის მოწერის შეკრების შესახებ პროვინციიდან ჯერ არ მიუღიათ (ადს).

„ფორვერტს“-ი — კაპიტალისტების ხარჯზე

ბერლინი, 11 ოქტომბერი. ძველი სოციალდემოკრატიის (საქსონიის სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან გამოყოფილი უკიდურეს მემარჯვენე ფრთა) ორგანო „ფოლკშტატ“-ი, რომელიც დრეზდენში გამოდის, იუწყება, რომ „ფორვერტს“-მა ამ ცოტა ხნის წინად დარმშტადტის ნაციონალური ბანკის დირექტორის—მსხვილი ფინანსისტის გოლდშმიდტისაგან მიიღო სუბსიდია 800.000 მარკის რაოდენობით (ადს).

საბერძნეთ - სამხრეთ - სლავიის ხელშეკრულების გარშემო

ვენა, 10 ოქტომბერი. ბელგრადის პოლიტიკურ წრეებში ეჭვი ეპარებათ, რომ საბერძნეთ-სამხრეთ სლავიის შორის მეგობრობის ხელშეკრულება მალე იქნეს ხელმოწერილი, მიუხედავად იმისა, რომ საფრანგეთი მოითხოვს მოლაპარაკების დაჩქარებას. (ადს).

ფრიდრიხსჰაფენი — შეერთებული შტატები

ბერლინი, 11 ოქტომბერი. დირიჟაბლი „გრაფ ცეპელინ“-ი 11 ოქტომბერს ფრიდრიხსჰაფენიდან (ბადენის ტბასთან) გაფრინდა შეერთებულ შტატებში, სადაც უნდა მიაღწიოს 60-76 საათის შემდეგ. (ადს).

ჩან კაი-შის მოწოდება

შანხაი, 11 ოქტომბერი. ჩან კაი-შიმ, როგორც ნანკინის მთავრობის თავმჯდომარემ, მოწოდებით მიმართა ხალხს. მოწოდებაში ნათქვამია, რომ ერის საკეთილდღეოდ საჭიროა უარყოფილ იქნას „ცრუმოძღვრება კლასთა ბრძოლის აუცილებლობის შესახებ“. ნაციონალურმა მთავრობამ წინადადება მისცა ჩან სუე-ლიანს ჩავიდეს ნანკინში და ოფიციალურად დაიკავოს სახელმწიფო საბჭოს წევრის პოსტი (ადს).

ბრალდება ვუკიჩევიჩის წინააღმდეგ

ვენა, 10 ოქტომბერი. ზაგრებიდან მიღებული ცნობით, ოპოზიციონურ პრესაში გამოქვეყნებულია ბელგრადელი ჟურნალისტის იოვოვიჩის წერილი. იოვოვიჩი ბრალს სდებს ჩეხო-სლოვაკიის ყოფილ პრემიერ ვუკიჩევიჩს, რომ მან იდეურად მოამზადა ხორვატიის გლეხთა პარტიის ლიდერების მკვლელობა სამხრეთ-სლავიის პარლამენტში. ხორვატიის გლეხთა პარტიის ორგანო „ნაროდნი ვალ“, რომელშიაც მუშაობდა სტეფან რადიჩი მოითხოვს ვუკიჩევიჩის ყოფილი კაბინეტის ყველა წევრის დაპატიმრებას (ადს).

მემაღაროეთა გაფიცვა ჩეხო-სლოვაკიაში.

ახალგაზრდათა კომინტერნის ალმასკომი გერმანიის კომპარტიაში მომხდარი ამბების შესახებ

მოსკოვი, 11 ოქტომბერი. ახალგაზრდათა კომინტერნის ალმასკომის პრეზიდიუმმა მოისმინა ცნობა გერმანიის კომპარტიაში მომხდარი ამბების შესახებ და მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც სავსებით ეთანხმება კომინტერნის ალმასკომის რეზოლიუციას და მოუწოდებს გერმანიის კომკავშირს და მის ცეკას ყოველმხრივ შეუწყონ ხელი ამ რეზოლიუციის ცხოვრებაში გატარებას. ახალგაზრდათა კომინტერნის ალმასკომი მწუხარებით აღნიშნავს, რომ გერმანიის კომკავშირის ცეკამ შეცდომა დაუშვა, ვინაიდან გადაჭრით არ უკუაგდო გერმანიის კომპარტიის მემარჯვენე და შემარიგებელი ელემენტების გამოსვლა.

ამხ. სტეპანოვ-სკვორცოვის გარდაცვალების გამო

ნეშტის გადატანა

მოსკოვი, 11 ოქტომბერი. განსვენებულ სტეპანოვ-სკვორცოვის გვამს მოსკოვში მოასვენებენ 11 ოქტომბერს დილით.

ცხედრის მოსვენება დაგვიანდა იმ მიზეზით რომ ქ. ორიოლთან საქონლის მატარებელი ლიანდაგს გადასცდა. ლიანდაგის გაწმენდა შეფერხდა და მატარებელი, რომელსაც სამგლოვიარო ვაგონი ჰქონდა მობმული, მოსკოვში გვიან ღამე მოვიდა. ხოლო თვით სამგლოვიარო ვაგონი სერპუხოვის სადგურზე მოხსნეს და მოსკოვში მოვა 11 ოქტომბერს დილით, 9 საათზე, სპეციალური მატარებლით და იმ დელეგაციების თანხლებით, რომლებიც ცხედრის შესახვედრათ წავიდნენ. (ადს).

ამხ. სტეპანოვ-სკვორცოვის ცხედარი მოსკოვში მიასვენეს

მოსკოვი, 11 ოქტომბერი. 11 ოქტომბერს დილით მოსკოვში მოასვენეს საბჭოთა კავშირის ცაკის წევრის, „იზვესტია“-ს პასუხისმგებელი რედაქტორის და ლენინის ინსტიტუტის დირექტორის განსვენებული სტეპანოვ სკვორცოვის ცხედარი.

კურსკის სადგურზე მატარებელს შეეგებნენ ამხ. კალინინი, ენუქიძე, კაგანოვიჩი, ბრიუხანოვი, კრჟიჟანოვსკი, უნშლიხტი, ფელიქს კონი, ულიანოვა, კარახანი და სხვები. სადგურზე მოვიდნენ აგრეთვე „იზვესტია“-ს სტამბისა და რედაქციის, ლენინის ინსტიტუტის, ჟურნალისტიკის ინსტიტუტის, პლეხანოვის ინსტიტუტის, სოკოლნიკის რაიონული კომიტეტის და სხვ. დელეგაციები.

ვაგონიდან კუბო გამოიტანეს ამხ. ბუბნოვმა, ენუქიძემ, კაგანოვიჩმა, კარახანმა და განეცკიმ და კატაფალკაზე დაასვენეს. პროცესია მიასნიცკის ქუჩით და სვერდლოვის მოედნით კავშირთა სახლისაკენ გაემართა. ორკესტრი სამგლოვიარო მარშს უკრავდა. პროცესია კავშირთა სახლთან მივიდა 10 საათზე.

კავშირთა სახლში კუბო ხელით შეიტანეს ამხ. ბუბნოვმა, უნშლიხტმა, ხალათოვმა, ბონჩ-ბრუევიჩმა და გრონსკიმ. კუბო დაასვენეს კავშირთა სახლის მცირე დარბაზში სპეციალურ კვარცხლბეკზე. კუბოსთან დადგა საპატიო ყარაული საბჭოთა კავშირის ცაკის, სრულიად რუსეთის ცაკისა და „იზვესტია“-ს დროშებით. საპატიო ყარაული ყოველ 5 წუთში იცვლებოდა. პირველად საპატიო ყარაულში ჩადგნენ ამხ. კალინინი, მოლოტოვი, კაგანოვიჩი და სმირნოვი. მეორედ—ამხ-ბი: ბუბნოვი, ენუქიძე, შკირიატოვა და ხალათოვი; შემდეგ—ამხ-ბი: უნშლიხტი, განეცკი, კრასიკოვი, ულიანოვა, დოლეცკი, საველიევი, ბონჩ-ბრუევიჩი და სხვები.

11 საათზე დარბაზში თავისუფლად უშვებენ დელეგაციებს და მოქალაქეებს, რომელთაც სურთ გამოეთხოვონ განსვენებულს.

ამხ. სტაპანოვ-სკვორცოვის ხსოვნის უკვდავსაყოფად

ხარკოვი, 11 ოქტომბერი. უკრაინის ცენტრ. აღმ. კომიტეტის დიდი პრეზიდიუმის სხდომაზე ამხ. პეტროვსკიმ სხდომის დაწყებისას პრეზიდიუმის წევრებს მიმართა სიტყვით, რომელშიაც დაახასიათა განსვენებულის სტეპანოვ-სკვორცოვის პიროვნება.

პრეზიდიუმმა დაადგინა, სტეპანოვ-სკვორცოვის გარდაცვალების გამო თანაგრძნობა გამოუცხადოს საბჭოთა კავშირის ცაკს, ს.კ.პ. (ბ) ც. კ—ს და განსვენებულის ოჯახს. გადაწყდა, გვირგვინის ნაცვლად,—სტეპანოვ-სკვორცოვის სახელობის ფონდს გადაეცეს 500 მანეთი და განსვენებულის სურათი დაეკიდოს უკრ. ცაკის სხდომათა დარბაზში. დადგენილ იქნა, უკრაინის უმაღლეს სოციალ-ეკონომიურ სასწავლებლებში დაწესდეს განსვენებულის სახელობის ხუთი სტიპენდია. (ადს).

მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწ. საგეგმო კომისიების პრეზიდიუმების ყრილობა

მოსკოვი, 11 ოქტომბერი. გაიხსნა საბჭოთა კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო საგეგმო კომისიების პრეზიდიუმების ყრილობა. ყრილობას ესწრება 400-მდე საგეგმო საქმის მუშაკი, წარმომადგენელნი ცენტრალური და რესპუბლიკ. სახკომისარიატებისა და დაწესებულებებისა. ყრილობის თავმჯდომარის ამხ. კრჟიჟანოვსკის წინადადებით, ყრილობამ ფეხზე ადგომით პატივი სცა ახლად გარდაცვალებულის სტეპანოვ-სკვორცოვის ხსოვნას. ყრილობამ პირველად მოისმინა საკავშირო სახ. საგეგმო კომისიის თავმჯდომარის მოადგილის ამხ. გრინკოს ძირითადი მოხსენება საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის 1928—29 წლის საკონტროლო ციფრების შესახებ. (ადს).

არქიტექტორი ლე-კორბიზიე მოსკოვში

მოსკოვი, 11 ოქტომბერი. „ცენტროსოიუზ“-ის გამოწვევით პარიზიდან მოსკოვში ჩამოვიდა ცნობილი არქიტექტორი ლე-კორბიზიე.

როდესაც „ცენტროსოიუზ“-ის გამგეობამ განიზრახა „ცენტროსოიუზ“-ის დიდი შენობის აგება მიასნიცკაიას ქუჩაზე, მან გამოაცხადა კონკურსი და ამასთანავე პროექტების შედგენა შეუკვეთა გერმანიის, ინგლისის და საფრანგეთის საუკეთესო საამშენებლო ფირმებს. წარმოდგენილი პროექტებიდან ლე-კორბიზიეს პროექტმა იმდენად დააინტერესა „ცენტროსოიუზ“-ის გამგეობა, რომ მან გადაწყვიტა მოსკოვში მოეწვია ლე-კორბიზიე პირადი მოლაპარაკებისათვის.

ლე კორბიზიეს პროექტით, შენობა განირჩევა სიმსუბუქით და ჰაერისა და სინათლის სიუხვით. შენობა შესდგება სამი კორპუსისაგან, რომლებიც ერთმანეთთან შეერთებულნი არიან განსაკუთრებული გალერიებით. რომ ქუჩის ხმაურობამ მუშაობას ხელი არ შეუშალოს, შენობის წინ ბაღი გაშენდება. კორპუსებს კიბეები არა აქვთ. მისვლა-მოსვლა მათ შორის იწარმოებს სპეციალური მოძრავი გორაკებით, რომლებსაც ექნებათ 45 გრადუსის დაქანება. სართულიდან სართულში მისვლა-მოსვლისათვის მოეწყობა მოძრავი კიბეები.

მოლაპარაკება ლე-კორბიზიესთან ერთ კვირაში დამთავრდება (ადს).

პურის დამზადება

მოსკოვი, 11 ოქტომბერი. საბჭოთა კავშირის ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ცნობებით, ოქტომბრის პირველ ხუთდღეულში ძირითადმა პურის დამამზადებელმა ორგანიზაციებმა დაამზადეს 368.558 ტონა პური, წინა ხუთდღეულში დამზადებული 384.914 ტონას ნაცვლად. (ადს)

აზერბეიჯანის ცაკის დახურვა

ბაქო, 11 ოქტომბერი. 11 ოქტომბერს დაიხურა აზერბეიჯანის ცაკის სესია.

საბოლოო სხდომაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილებანი სესიაზე გაკეთებულ ყველა მოხსენების გამო და აგრეთვე დამტკიცებულ იქნა ის კანონები, რომლებიც მიიღო ცაკის პრეზიდიუმმა მესამე სესიიდან მეოთხე სესიამდე.

სხვათა შორის სესიამ დაამტკიცა დეკრეტი საყოველთაო დაწყებითი სწავლის შესახებ და დეკრეტი ახალი თურქული ანბანის შემოღების შესახებ.

სესიამ დაავალა განსაკუთრებულ კომისიას, ახალი თურქული ანბანი შემოიღოს 1929 წლის 1 იანვრისათვის. 1 იანვრიდან მთელი საქმის წარმოება, როგორც სახელმწიფო, ისე საზოგადოებრივ ორგანიზაციებში, გადაყვანილი იქნება ახალ ანბანზე. ახალ ანბანზე გადაყვანილი იქნება აზერბეიჯანის მთელი სახელგამი და აგრეთვე ყველა თურქული ტეხნიკური ბეჭდვითი ორგანო.

სესიის დახურვის წინ აზერბეიჯანის ს. ს. რესპუბლიკის ცაკის თავმჯდომარემ ამხ. აღამალი-ოღლიმ სთქვა, რომ მეოთხე სესიამ სავსებით დამაკმაყოფილებლად ჩაატარა თავისი მუშაობა და წარმატებით გადასჭრა მის წინაშე მდგომი ამოცანები (ადს).

გამოყენებითი მინერალოგიის ინსტიტუტის განყოფილება

ბაქო, 9 ოქტომბერი. ბაქოში ჩამოვიდა გამოყენებითი მინერალოგიის ინსტიტუტის წარმომადგენელი პროფ. ფედოროვსკი.

მისი მონაწილეობით აზერბეიჯანის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოში გაიმართა განსაკუთრებული თათბირი. თათბირზე დადებითად გადაწყდა საკითხი ბაქოში გამოყენებითი მინერალოგიის ინსტიტუტის განყოფილების გახსნის შესახებ. განყოფილებამ ხელი უნდა შეუწყოს ქიმიური მრეწველობის განვითარებას აზერბეიჯანში, სადაც მრეწველობის ეს დარგი მჭიდროდ არის დაკავშირებული ფერად ლითონებთან და სხვადასხვა მინერალებთან, რომლებითაც მდიდარია აზერბეიჯანის წიაღი. (ადს).

ამიერ-კავკასიის სავეტერინარო ინსტიტუტის გახსნა

ერევანი, 11 ოქტომბერი. 11 ოქტომბერს დილით მეცადინეობის დაწყების წინ მოხდა ამიერ-კავკასიის სავეტერინარო ინსტიტუტის ოფიციალური გახსნა.

სიტყვები წარმოსთქვეს ინსტიტუტის საორგანიზ. კომიტ. თავმჯდომარემ, სომხეთის მიწათ-მოქმ. სახალხო კომისარმა ამხ. ერზინკიანმა, სომხეთის კომპარტიის (ბ) ცეკას მდივანმა ამხ. ხანჯიანმა, ამ.-კავკასიაში საქონლის ჭირის წინააღმდეგ მებრძოლი კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. საკინციანმა, მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის სავეტერინარო სამმართველოს სახელით—ამხ. ქალანთარმა, სომხეთის სავეტერინარო ბაქტერიოლოგიური ინსტიტუტის სახელით—ამხ. თევზოევმა, ამ.-კავკასიის სავეტერინარო ინსტიტუტის მასწავლებელთა სახელით პროფ. ბედელიანმა და ექიმმა სტარიცკაიამ და სტუდენტების წარმომადგენელმა.

ინსტიტუტის ზეიმით გახსნა მოხდება ოქტომბრის დღესასწაულის დროს.

10 ოქტომბერს ჩამოვიდა 18 კაცი—სტუდენტების უკანასკნელი პარტია, აზ.ს.ს. რესპუბლიკის მიერ მივლენებული. (ადს).

საკავშირო თათბირი საბჭოების გადარჩევის შესახებ

კამათი ამხ. ენუქიძისა და კაგანოვიჩის მოხსენებების გარშემო

მოსკოვი, 11 ოქტომბერი. საბჭოების გადარჩევის შესახებ გამართულ საკავშირო თათბირზე 10 ოქტომბერს გაგრძელდა კამათი ამხ. კაგანოვიჩისა და ენუქიძის მოხსენებათა გარშემო.

ამხ. პონომარევი

(ჩრდილოეთ კავკასია)

ამხ. პონომარევი საჭიროდ სცნობს „რუდნიჩნიე პოსელკების“ საბჭოების ბიუჯეტის გაძლიერებას. ამხ. პონომარევი წინადადებას იძლევა, საბჭოების მოქმედების შესახებ, ძნელად მისაწვდომი დიდი ანგარიშების ნაცვლად, შედგენილ იქნას მოკლე პოპულიარული ანგარიშები პლაკატების მსგავსად.

ამხ. იბრაჰიმოვი

(შუა აზია)

ამხ. იბრაჰიმოვი ფიქრობს, რომ საბჭოების გადარჩევის კამპანიის დროს მასიურად უნდა შემოწმდეს ის, თუ რამდენად ანხორციელებენ საბჭოები კლასობრივ გეზს თავიანთ ყოველდღიურ მუშაობაში. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ავტონომიური რესპუბლიკების საბჭოთა აპარატის მუშაობას.

ამხ. უზნაძე

(საქართველო)

ამხ. უზნაძე ეხება საარჩევნო კამპანიის სხვადასხვა ტეხნიკურ უხერხულობას კავკასიაში: არ არის საკმაო ლიტერატურა ადგილობრივ ენებზე, არ არსებობს ფართო შენობები და სხვ. იგი აღნიშნავს, რომ პარტორგანიზაციებმა უნდა გააძლიერონ თავიანთი ხელმძღვანელობა საბჭოთა ქვედა აპარატის მუშაობაში.

ამხ. დანიელიანცი

(სომხეთი)

ამხ. დანიელიანცი ლაპარაკობს საარჩევნო კამპანიასთან დაკავშირებულ ტეხნიკურ სიძნელეთა შესახებ. მუშაობის მთავარ დაბრკოლებას შეადგენს ის, რომ ადგილობრივ საბჭოთა საორგანიზაციო განყოფილებებში მუშაკების რიცხვი მცირეა. შემდეგ ამხ. დანიელიანცი ეხება საარჩევნო კამპანიის გარეგან მხარეს: ცოტაა პლაკატები და ლიტერატურა, არჩევნები როგორღაც შეუმჩნევლად მიმდინარეობს.

ამხ. ზიავკინი

(ჩრდილოეთ კავკასია)

ამხ. ზიავკინის აზრით, საჭიროა ბრძოლის გაძლიერება კულაკური ელემენტების წინააღმდეგ. ამხ. ზიავკინი აღნიშნავს აგრეთვე პროფორგანიზაციების სუსტ მონაწილეობას საარჩევნო კამპანიებში.

ამხ. უშაკოვი

(ურალი)

ამხ. უშაკოვიც აღნიშნავს, რომ პროფკავშირები ყველგან სუსტ მონაწილეობას იღებენ საარჩევნო კამპანიებში. არც პრესა იჩენს საკმაო ყურადღებას ამ საქმისადმი.

ამხ. ბოშაროვი

(ბურიატო-მონღოლეთი)

ამხ. ბოშოროვი აღნიშნავს კულაკების აქტიურ სულიერ განწყობილებას მომავალ არჩევნებთან დაკავშირებით.

სამეცნიერო აკადემიის ახალი წევრების არჩევნები

ლენინგრადი, 11 ოქტომბერი. სამეცნიერო აკადემიის პრეზიდენტის კარპინსკის თავმჯდომარეობით მოკავშირე რესპუბლიკების სამეცნიერო დაწესებულებათა წარმომადგენლებისა და აკადემიის ყველა წევრის მონაწილეობით დაიწყო აკადემიის ახალი სრულუფლებიანი წევრების საარჩევნო კომისიების სხდომები.

ამხ. კარპინსკიმ წარმოსთქვა მისასალმებელი სიტყვა, რომელშიაც აღნიშნა მომავალი არჩევნების განსაკუთრებული მნიშვნელობა, დამტკიცებულ იქნა კომისიების მონაწილეთა და მათ თავმჯდომარეთა სია.

შემდეგ გაიმართა კომისიების თავმჯდომარეთა სხდომა მოკავშირე რესპუბლიკების წარმომადგენლებთან ერთად. სხდომამ განიხილა არჩევნებთან დაკავშირებული საკითხები. (ადს)

საკავშირო სამეცნიერო აკადემიის კანდიდატები

მარცხნიდან მარჯვენივ: პირველი რიგი—ამხ. მასლოვი, ამხ. ბუხარინი. პროფ. ოსადჩი.
მეორე რიგი—ამხ. ბაზაროვ-რუდნევი, ამხ. კრჟიჟანოვსკი.

მარცხნიდან მარჯვენივ: პირველი რიგი—პროფ. პოკროვსკი ამხ. რიაზანოვი, ამხ. ფრიჩე.
მეორე რიგი—ამხ. ლუკინი, ამხ. საკულინი, ამხ. დებორინი.

მოლაპარაკე კინო

ლენინგრადი, 11 ოქტომბერი. ცნობილმა გამომგონებელმა, სუსტი დენის ქარხანათა ტრესტის ინჟინერმა შორინმა გამოიგონა „მოლაპარაკე კინო“, სრულიად ორიგინალური კონსტრუქციისა, რომელიც თვალსაჩინოდ განსხვავდება საზღვ.-რგარეთ გამოგონებული ასეთივე აპარატების კონსტრუქციისაგან. მალე მოეწყობა მოლაპარაკე კინოს საზოგადოებრივი შემოწმება. (ადს).

„მალიგინის“ შეკეთება

ლენინგრადი, 11 ოქტომბერი. კარსკის ექსპედიციიდან დაბრუნებული „მალიგინ“-ი უკვე სავსებით შეკეთებულია და ამ დღეებში ზღვაში გავა. (ადს).

საქ. ფეიქართა მე-7 ყრილობა

მეორე და მესამე სხდომები

მეორე სხდომაზე ყრილობამ მოისმინა კავშირის ცენტრალური გამგეობის სარევიზიო კომისიის მოხსენება. კავშირის ფინანსიური მდგომარეობის შესახებ. სარევიზიო კომისიის წარმომადგენელმა ა. არუთინოვმა ყრილობას გააცნო კავშირის ფინანსიური მგომარეობა და აღნიშნა, რომ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ადგილი არა ჰქონია სახარჯთაღრიცხვო დისციპლინის დარღვევას და ან სხვა რაიმე მნიშვნელოვან დეფექტებს. საწევრო გადასახადის შეკრება დაუბრკოლებრივ სწარმოებდა და საერთოდ კავშირის ფინანსიური მდგომარეობა შეიძლება მტკიცედ ჩაითვალოს.

მოხსენების დასრულების შემდეგ გაიხსნა კამათი ცენტრალური გამგეობის საქმიანობის შესახებ. გამოსული ორატორები ცენტრალური გამგეობის საქმიანობის შეფასების დროს საჭიროდ სთვლიდენ მომავალში მეტი ყურადღების მიქცევას საფეიქრო მრეწველობაში მომუშავეთა კვალიფიკაციის გაუმჯობესებისათვის და ზომების მიღებას საფეიქრო სამრეწველოებისათვის კვალიფიციური მუშა-ხელის მოსამზადებლად.

გარდა ამისა კამათის დროს აღნიშნეს რომ მომავალისათვის საჭიროა წარმოებებთან არსებული პროფორგანოებისა და წარმოების ადმინისტრაციის შორის ურთიერთობის სისწორით გარკვევა. მოკამათეებს საჭიროდ მიაჩნიად აგრეთვე ყურადღება მიექცეს კავშირის წევრების კოოპერატივებში ჩაწერას, საკავშირო მასაში პროფცოდნის გაძლიერებას, საფეიქრო დარგის მუშებისათვის მუშფაკებში და სხვა სასწავლებლებში მიღების წესის გაუმჯობესება - გაადვილების საქმეს.

საღამოს სხდომაზე, საქართველოს საინჟინერო სატეხნიკო ძალთა ბიუროს სახელით ყრილობას მისალმა ინჟ. გ. ედიბერიძე, რომელმაც გამოსთქვა სურვილი, რომ საფეიქრო მრეწველობის მუშებსა და საინჟინერო-სატეხნიკო ძალებს შორის შეიქმნეს მტკიცე კავშირი რომ ამით უზრუნველყოფილი იქნეს რესპუბლიკის საფეიქრო მრეწველობის აღორძინება.

ინჟ. ედიბერიძის მისალმების შემდეგ ყრილობაზე წაკითხულ იქნა საფეიქრო მრეწველობის მუშაკთა ცენტრალური კომიტეტისა და სომხეთის ფეიქართა კავშირის ცენტრალური გამგეობის მისასალმებელი დეპეშები.

ანტირელიგიური დისპუტი

გუშინ საღამოს პროფსაბჭოს დიდ დარბაზში შესდგა დისპუტი სკოლებში ანტირელიგიური აღზრდის საქმის დაყენების შესახებ. დისპუტმა დიდძალი საზოგადოება მიიზიდა დამსწრეთა შორის უმრავლესობას შეადგენდენ მოსწავლენი და პედაგოგები.

ბავშთა ანტირელიგიური აღზრდის შესახებ მოხსენებით გამოვიდა პოლიტგანათლების მთავარი მმართველობის გამგე ამხ. ვ. იმედაძე, რომელმაც აღნიშნა, რომ მოზარდებს შორის ანტირელიგიური მუშაობა უნდა სწარმოებდეს მეტად ფრთხილად. მომხსენებელმა საჭიროდ აღიარა—სკოლებისთვის შემუშავებული იქნეს სპეციალურად შერჩეული პროგრამები. ამასთანავე საჭიროა, რომ სკოლებში მომუშავე პედაგოგიური პერსონალი შესაფერად იქნეს მომზადებული. მომხსენებელს მოყავს ფაქტები, რომ ხშირად, როდესაც მასწავლებელს მოწაფე აძლევს კითხვას ამა თუ იმ მოვლენის შესახებ („სად არის ღმერთი?“, „რატომ ხდება მიწის-ძვრა?“ და სხ.), მასწავლებელი მას გაურკვეველ პასუხს აძლევს ან კითხვა სულ უპასუხოთ რჩება. ბავშის ცნობისმოყვარე გონება კი ეძებს ახსნას და ასეთ „ახსნას“ მას აძლევენ ხშირად სახლში—ეს „ღმერთმა იცისო“.

მოხსენების გარშემო გაიმართა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო 10-მდე კაცმა.

პ ა რ ტ ი ა შ ი

მეხუთმეტე პარტყრილობის გადაწყვეტილებათა ურყევი გატარების ნიშან ქვეშ

გადამჭრელი ბრძოლა მემარჯვენე გადახრებისა და ტროცკისტული ოპოზიციის ნაშთების წინააღმდეგ

მოსკოვის პარტორგანიზაციები მოსკოვის კომიტეტისა და საკონტროლო კომისიის პლენუმის შედეგების შესახებ

ბაუმანის რაიონის პარტაქტივის რეზოლიუცია

საჭიროა გადამჭრელი ბრძოლა მემარჯვენე საფრთხისა და ტროცკისტული ოპოზიციის ნაშთების წინააღმდეგ მუშათა კომუნისტურ მოძრაობაში; საჭიროა ამ საფრთხის მნიშვნელობის მკაფიოდ, ბოლშევიკურად ახსნა-განმარტება

ბაუმანის რაიონის აქტივის კრებას დაესწრო 1.500 კაცი. ამხ. **ციფრინოვიჩის** მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო 13 ამხანაგმა (ჩაწერილი იყო 32). მიღებულია შემდეგი რეზოლიუცია:

„პარტიული აქტივის კრება, მოისმინა რა მან ამხ. ციფრინოვიჩის მოხსენება მოსკოვის კომიტეტისა და მოსკოვის საკონტროლო კომისიის გაერთიანებული პლენუმის შედეგებისა და რაიონული ორგანიზაციის მორიგი ამოცანების შესახებ, აღნიშნავს:

კომინტერნის მეექვსე კონგრესის გადაწყვეტილებანი გადაიქცნენ მკვეთრ იარაღად მთელი რაიონული პარტორგანიზაციის ხელში მუშათა და მუშა ქალთა ფართო ფენების ინტერნაციონალური აღზრდისათვის.

აქტივს საჭიროდ მიაჩნია კონგრესის გადაწყვეტილებების, განსაკუთრებით კონგრესის მიერ მიღებული პროგრამისა და პოლიტიკური რეზოლიუციის პოპულიარიზაცია ყველა პარტიულ და მუშათა საერთო კრებაზე, და აგრეთვე ამ გადაწყვეტილებათა შესწავლა პარტიული განათლების ქსელში.

ბაუმანის რაიონის პარტიული აქტივი ორგანიზაციის მთავარ ყურადღებას მიაქცევს იმას, რომ საჭიროა გადამჭრელი ბრძოლა მემარჯვენე საფრთხისა და ტროცკისტული ოპოზიციის ნაშთების წინააღმდეგ მუშათა კომუნისტურ მოძრაობაში და ამ საფრთხის მნიშვნელობის მკაფიოდ, ბოლშევიკურად ახსნა- განმარტება.

სამეურნეო მშენებლობის სიძნელენი სოციალისტური მშენებლობის განვითარებისა და განმტკიცების საერთო ფონზე მოითხოვენ მთელი პარტიის ენერგიულ მუშაობას ამ სიძნელეთა დასაძლევად, რისთვისაც მტკიცედ უნდა გატარდნენ ცხოვრებაში პარტიის მე-15 ყრილობის და ცეკას პლენუმების გადაწყვეტილებანი, რომლებმაც ნათლად განსაზღვრეს შემდგომი სოციალისტური მშენებლობის გზები.

საჭიროა დაუღალავი მუშაობა პარტიის ძირითად გადაწყვეტილებათა ახსნა- განმარტებისა და პოპულიარიზაციისათვის. ამასთანავე გადამჭრელი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს ყოველგვარ მერყეობას და ეჭვის შეტანას პარტიის მე-15 ყრილობის გადაწყვეტილებათა და ცეკას შემდგომი დირექტივების სისწორეში.

პარტაქტივის კრება აღნიშნავს ტროცკისტული ოპოზიციის ნაშთების აქტივობის გაძლიერებას და ტროცკისტული ოპოზიციის გადაქცევას კონტრრევოლიუციის აშკარა აგენტურად. კრებას საჭიროდ მიაჩნია, რომ ყოველმხრივ გაძლიერებულ იქნას ბრძოლა ამ ნაშთების წინააღმდეგ, რისთვისაც სისტემატიურად უნდა გამოვააშკარაოთ ტროცკისტების ცდები გადასინჯონ რევოლუციისა და სოციალისტური მშენებლობის მთავარი, ძირითადი საკითხები.

ბაუმანის რაიონის პარტიულ აქტივს საჭიროდ მიაჩნია ხაზგასმით აღნიშნოს მთელი პარტიული ორგანიზაციის წინაშე, რომ როგორც მუშათა კლასში, ისე პარტიულ ორგანიზაციებში საჭიროა ჩატარდეს სისტემატიური ბრძოლა ოპორტუნისტული ელემენტების წინააღმდეგ, რომლებიც ოცნებობენ მშვიდობიან განვითარებაზე, ყოველგვარი დაბრკოლებისა და სიძნელის გარეშე, რომლებიც ვერ ხედავენ კლასების არსებობას სოფლად, რომლებსაც არ სურთ აწყენინონ კულაკს და რომლებიც დაშინებულნი არიან სოციალისტური მშენებლობის სიძნელეებით აგრეთვე საჭიროა გადამჭრელი ბრძოლა და დაძლევა იმ ლმობიერი და შემარიგებელი დამოკიდებულებისა, რომელსაც იჩენს პარტიის ზოგიერთი წევრი პარტიის ლენინური ხაზიდან გადახრების და ყოველგვარი იდეოლოგიური მერყეობის მიმართ.

მომავალ პერიოდში, რაიონულ პარტიულ კონფერენციამდე, პარტიული ორგანიზაციის მუშაობაში უმთავრესი ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ ცხოვრებაში გატარდნენ პარტიის დირექტივები წარმოების რაციონალიზაციისა და ზედნადები ხარჯების შემცირების დარგში, ყოველმხრივ გაუმჯობესდეს მეურნეობის ხელმძღვანელობა პარტიული ორგანიზაციის მხრივ, გაუმჯობესდეს მუშათა მასების კოოპერატიულად შეკავშირება და მათი კულტურული მოთხოვნილებების დაკმაყოფილება.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მასიური მუშაობის ყველა ფორმისა და მეთოდის გაუმჯობესებას, პარტიული უჯრედებისა და ცალკე ხელმძღვანელების კავშირის გაძლიერებას მასებთან. გულდასმით უნდა ვადევნოთ თვალყური მუშათა მასების მოთხოვნილებებსა და საჭიროებებს, თავის დროზე განვუმარტოთ მათ პარტიის გადაწყვეტილებანი და სამეურნეო მშენებლობის სიძნელენი და ჩავაბათ ისინი ამ სიძნელეთა დაძლევის საქმეში.

წარმოებებში მასიურ მუშაობის განმტკიცებასთან ერთად პარტიულმა უჯრედებმა და პარტიის წევრებმა არ უნდა შეასუსტონ პარტიის ზრდის მიღწეული ტემპი, უნდა განაგრძონ სისტემატიური მუშაობა საუკეთესო და მოწინავე მუშებისა და მუშა-ქალების შესარჩევად და პარტიაში მისაღებად.

საფაბრიკო- საქარხნო კომიტეტებისა და უჯრედების ბიუროების მომავალი გადარჩევა, საწარმოო კონფერენციებისათვის, კოლექტიური ხელშეკრულებათა დადებისათვის, პროფკავშირთა საგუბერნიო კონფერენციებისათვის და სხვ. მზადება უნდა ჩატარდეს პარტიის დირექტივების შესრულების შემოწმების ნიშან ქვეშ. თვითკრიტიკის ლოზუნგის გაბედული ბოლშევიკური, პრაქტიკული გაშლა უნდა გახდეს იარაღად პარტიული რიგების შემდგომი შეკავშირებისათვის პარტორგანიზაციის ირგვლივ, რათა წარმატებით გატარდნენ ცხოვრებაში სამეურნეო, საბჭოთა და პარტიული მშენებლობის უმნიშვნელოვანესი ამოცანები.

აქტივს საჭიროდ მიაჩნია გადამჭრელი ბრძოლა კრიტიკის გამწევთა შევიწროვებისა და დევნის ყოველგვარი ცდის წინააღმდეგ, მუშების ყოველგვარი საქმიანი მითითებებისა და წინადადებებისადმი ბიუროკრატიული და უყურადღებო დამოკიდებულების წინააღმდეგ.

კრება დარწმუნებულია, რომ ბაუმანის რაიონის პარტიული ორგანიზაცია წარმატებით შეასრულებს მის წინაშე მდგომ ამოცანებს და მომავალ პარტიულ კონფერენციაზე მივა კიდევ უფრო განმტკიცებული მთლიანი ლენინური რიგებით“.

ხამოვნიკის რაიონის პარტაქტივი

საჭიროა ბრძოლა იმ ელემენტებთან, რომლებიც აფუჩეჩებენ კლასობრივ ბრძოლას სოფლად, არ სურთ აწყენინონ კულაკს და ოცნებობენ მშვიდობიან განვითარებაზე, ყოველგვარი დაბრკოლებისა და სიძნელის გარეშე.

28 სექტემბერს ხამოვნიკის რაიონის პარტაქტივის კრებამ, რომელსაც 1.300 კაცი დაესწრო, მიიღო შემდეგი რეზოლიუცია ამხ. **იაკოვლევის** მოხსენების გამო:

„ხამოვნიკის რაიონის პარტორგანიზაციის აქტივის კრება, მოისმინა რა მან ამხ. იაკოვლევის მოხსენება მოსკოვის კომიტეტისა და მოსკოვის საკონტროლო კომისიის გაერთიანებული პლენუმის შედეგებისა და პარტმუშაობის მორიგი ამოცანების შესახებ, სავსებით იწონებს მოსკოვის კომიტეტისა და მოსკოვის საკონტროლო კომისიის გადაწყვეტილებებს. კრება აღნიშნავს, რომ იმ სამეურნეო დაბრკოლებათა პირობებში, რომლებიც დაკავშირებული არიან სოციალისტური მშენებლობის სწრაფ ზრდასთან და პროლეტარიატისადმი მტრულად განწყობილი ელემენტების წინააღმდეგობის გაძლიერებასთან, განსაკუთრებით მნიშვნელობა ეძლევა მშრომელთა ყველა ძალის მობილიზაციას ამ სიძნელეთა დასაძლევად, დეფექტების თავის დროზე და გადაჭრით გამოსასწორებლად და მთელი ჩვენი პრაქტიკული მუშაობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

თვითკრიტიკის გაბედულად და გადაჭრით გაშლა და მუშათა ფართო მასების აქტიურ სოციალისტურ მშენებლობაში კიდევ უფრო ჩაბმა წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს პირობას წარმატებითი ბრძოლისათვის ბიუროკრატიზმისა და უყაირათობის ყველა გამოხატულების წინააღმდეგ და უზრუნველჰყოფს ყოველდღიური პრაქტიკული მუშაობის ყოველმხრივ გაუმჯობესებას.

ხამოვნიკის რაიონის პარტორგანიზაციის აქტივის კრება განსაკუთრებით აღნიშნავს, რომ საჭიროა გაძლიერებულ იქნას იდეური ბრძოლა ტროცკისტული ოპოზიციის გამოცოცხლებულ ნაშთებთან. საჭიროა გამოაშკარავებულ ქნას ტროცკისტული ოპოზიციის წვრილ - ბურჟუაზიული ბუნება, რომელიც იფარება მაღალფარდოვანი „მემარცხენე“ ფრაზეოლოგიით. აგრეთვე საჭიროა ჩამოვაშოროთ ტროცკისტულ ოპოზიციას ის საუკეთესო პროლეტარები, რომლებიც კიდევ მოიპოვებიან მის რიგებში.

ამასთან ერთად, აქტივის კრებას საჭიროდ მიაჩნია ენერგიული იდეური ბრძოლა იმ ელემენტების წინააღმდეგ, რომლებიც წვრილ - ბურჟუაზიული სტიქიის ზეგავლენით გამოხატავენ ბურჟუაზიულ - დემოკრატიულ განწყობილებებსა და იდეოლოგიას, აფუჩეჩებენ კლასობრივ ბრძოლას სოფლად, არ სურთ აწყენინონ კულაკს და ოცნებობენ მშვიდობიან განვითარებაზე, ყოველგვარი დაბრკოლებებისა და სიძნელის გარეშე.

აქტივის კრება ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საჭიროა გადამჭრელი ბრძოლა არა მარტო ასეთ განწყობილებათა წინააღმდეგ, არამედ ამ განწყობილებებისადმი შემარიგებელი დამოკიდებულების წინააღმდეგაც პარტიაში და მუშათა კლასში.

გადამჭრელი ბრძოლით ორ ფრონტზე, ლენინური ხაზის ყოველგვარი გამრუდების წინააღმდეგ, პარტიული რიგების ბოლშევიკური შეკავშირების საფუძველზე — ჩვენი პარტია შესძლებს უზრუნველჰყოს მის წინაშე მდგომ სიძნელეთა დაძლევა და განუხრელი წინსვლა.

აქტივის კრებას საჭიროდ მიაჩნია, რომ უჯრედების ბიუროების მომავალი გადარჩევა ჩატარდეს ბოლშევიკური რიგების შეკავშირებისა, შინაპარტიული დემოკრატიის კიდევ უფრო განვითარებასა და თვითკრიტიკის ლოზუნგის გაბედულად გაშლის ნიშან ქვეშ, პარტიის მე-15 ყრილობის და ცეკას შემდგომი პლენუმების გადაწყვეტილებებში დასახული სწორი პარტიული ხაზიდან ყოველგვარი გადახრის წინააღმდეგ ბრძოლის ნიშან ქვეშ“.

გაზ. „პრავდა“-ს კომუჯრედი

პარტია გადაჭრით იბრძოლებს გენერალური ლენინური ხაზიდან გადახრებისადმი შემარიგებელი დამოკიდებულების ანტიბოლშევიკური „თეორიის“ წინააღმდეგ.

29 სექტემბერს „პრავდა“-ს რედაქციის უჯრედის კრებაზე ირჩეოდა ამხ. **გლეზაროვის** (მოსკოვის კომიტეტი) მოხსენება მოსკოვის კომიტეტსა და მოსკოვის საკონტროლო კომისიის პლენუმის შედეგების შესახებ.

უჯრედის საერთო კრებას — ნათქვამია ერთხმად მიღებულ რეზოლიუციაში, — საჭიროდ მიაჩნია, რომ პარტიამ განაგრძოს გადამჭრელი ბრძოლა დამარცხებული ტროცკიზმის ნაშთებთან. ამასთან ერთად საჭიროა ენერგიული ბრძოლა ოპორტუნისტული, მემარჯვენე მერყეობის წინააღმდეგ, რომელსაც ვერ ფარავს მემარცხენე ფრაზეოლოგია. ეს მერყეობა გამოიხატება იმის ცდაში, რომ უკან დაახევინონ პარტიას მე-15 ყრილობის გადაწყვეტილებებიდან, მიაფუჩეჩონ კლასობრივი ბრძოლა სოფლად; ეს მერყეობა გამოიხატება პანიკაში სოციალისტური მშენებლობის სიძნელეთა წინაშე, ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის ამოცანების არასაკმაოდ შეფასებაში... საჭიროა ორ ფრონტზე ბრძოლა წვრილ - ბურჟუაზიულ მერყეობასთან. რამდენადაც,— ნათქვამია შემდეგ რეზოლიუციაში,— ტროცკისტული ტიპის შეცდომები უკვე სავსებით გამოაშკარავებულია ფართო მასების წინაშე, იმდენად ამჟამად საჭიროა უყოყმანოდ და განსაკუთრებით ენერგიულად გავილაშქროთ მეორე ტიპის შეცდომების, ლიკვიდატორული ტიპის შეცდომების წინააღმდეგ.

საჭიროა უფრო გაბედულად და ფართოდ გავშალოთ ბოლშევიკური თვითკრიტიკა ქვედა ფენებიდან; პარტია გადაჭრით უკუაგდებს თვითკრიტიკის ბიუროკრატიული შეზღუდვის ყოველგვარ ცდას. სავსებით უნდა გატარდეს ცხოვრებაში ცეკას ივნისის მოწოდების დირექტივა იმის შესახებ, რომ „საჭიროა უზრუნველყოფილ იქნას შინაპარტიული კრიტიკის თავისუფლება, რაც მოსპობს ისეთ მეთოდებს, როდესაც დამოუკიდებელ აზრს და ყოველ კრიტიკულ შენიშვნას წინდაწინვე უარყოფენ, როგორც „გადახრას“, „კინკლაობას“ და სხვ.“ მაგრამ პარტიამ არა ნაკლებ ენერგიულად და გადაჭრით უნდა იბრძოლოს იმ ცდების წინააღმდეგაც, რომ ცეკას ეს დირექტივა შეიცვალოს გენერალური ლენინური ხაზიდან გადახრებისადმი შემარიგებელი და ლმობიერი დამოკიდებულების ანტიბოლშევიკური „თეორიით“.

აგიტპროპ - ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა თათბირი

ს. კ. პ. (ბ) საოლქო, სამაზრო და სარაიონო კომიტეტების სააგიტ.-საპროპ. და ბეჭდვ. განყოფილებებს

ოქტომბრის ბოლო რიცხვებში მოწვეული იქნება აგიტაციის, პროპაგანდის და ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა სრულიად საქართველოს თათბირი. **დღის წესრიგში სდგას შემდეგი საკითხები:**

1. აგიტაციის, პროპაგანდის და კულტურულ მშენებლობის ძირითადი საკითხები საქართველოში; 2. პარტგანათლების საკითხები; 3. მასიური პოლიტგანმანათლებელი და კულტურულ აღმზრდელობითი მუშაობა

გარდა ამისა, სექციური დამუშავების წესით დასმული იქნება შემდეგი საკითხები:

ა) ანტირელიგიური მუშაობა; ბ) წ.-კ. უცოდინარობისა და მცირე მცოდნეობის ლიკვიდაცია; გ) ნაციონ. უმცირ. შორის მუშაობა' დ) ნებაყოფლობითი საზოგადოებათა მუშაობა; ე) ქოხ-სამკითხველოების მუშაობა; ვ) კინო და რადიო; ზ) კოოპერატიული და აგრონომიული განათლება; თ) პროფკავშირების კულტმუშაობა' ი) კულტაღმზრდელობითი მუშაობა საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში; კ) მუშათა განათლება;

ყველა ზემოხსენებულ საკითხზე პრესაში იწყება აზრთა გაცვლა-გამოცვლა (იხ. ამხ. კრინიცკის და მამულიას წერილები გაზ. „კომუნისტში“ № 235 ა.-წ. 10 ოქტომბრის, „რაბოჩაია პრავდა“ № 234 იმავე რიცხვის).

მოუწოდებთ ადგილობრივ პარტმუშაკებს, განსაკუთრებით აგიტაციის, პროპაგანდის, ბეჭდვის და კულტმუშაობის დარგში, მიიღონ აქტიური მონაწილეობა თათბირის დღის წესრიგში დასმულ საკითხების გაშუქებაში, როგორც ადგილობრივი, ისე ცენტრალური პრესის ფურცლებზე.

ს. კ. პ. (ბ) ც. კ. საგიტ. საპროპ. და ბეჭდ. განყ. გამგე: **ს. მამულია.**

ამხ. კახიანი ჭიათურის ორგანიზაციის კრებაზე

8 ოქტომბერს მოწვეულ იქნა ჭიათურის პარტ-ორგანიზაციის გაერთიანებული კრება, რომელზედაც ამხ. მ. კახიანმა გააკეთა მოხსენება საქართველოს კომპარტიის ცეკას სექტემბრის პლენუმის შედეგებზე, მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საქართველოს კომპარტიამ წარმატებით ჩააბარა გამოცდა საკავშირო კომპარტიის ცეკას ჩვენი ქვეყნის ბოლშევიკურ-ლენინურ ხელმძღვანელობაში.

შემდეგ ამხ. კახიანი შეჩერდა პურის დამზადების საკითხზე, და ყველა იმ საკითხებზე, რომლებსაც აყენებს ჩვენი ქვეყნის სოციალისტური მშენებლობა.

მოხსენების გამო კრებამ მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც ნათქვამია:

„მოისმინა რა ამხ. კახიანის მოხსენება საქართველოს კ.პ. (ბ) ცეკას პლენუმის შედეგების შესახებ ჭიათურის ორგანიზაციის გაერთიანებული კრება აღნიშნავს: ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ტემპის გაძლიერებას, მუშათა მასების განთავისუფლებას მენშევიკურ იდეოლოგიიდან, ნაციონალური პოლიტიკის სწორ გატარებას, პარტორგანიზაციების საერთო განმტკიცებას სოფლად და სხვა.

ამასთანავე კრება ღებულობს რა მხედველობაში საკავშირო კომპარტიის ცეკას მითითებებს, საჭიროდ სცნობს მიღებულ იქნეს ყოველგვარი ზომები—სოფლად სწორი კლასიური ხაზის გატარებასა და ღარიბი გლეხობის დარაზმვისათვის.

კრება ავალებს რაიონულ კომიტეტს გამოიმუშაოს ღონისძიებანი ცენტრალური კომიტეტის მიერ მითითებულ ნაკლთა გამოსასწორებლად. კერძოდ ჭიათურის საკონცესიო წარმოების მთავრობის ხელში გადასვლასთან დაკავშირებით საჭიროა მიღებულ იქნეს ღონისძიებანი წარმოების დაჩქარებით აღსადგენად და საწარმოო პროგრამის უკლებლივ შესასრულებლად.

კრება ავალებს ორგანიზაციის ყველა წევრებს დაწვრილებით შეისწავლონ პლენუმის დადგენილებანი და ხელი შეუწყონ მათ განხორციელებას.“

შ. ლვ—აძე.

კომკავშირში

საჩივართა ბიურო საკავშირო კომკავშირის ცეკასთან

მოსკოვი, 11 ოქტომბერი. საკავშირო კომკავშირის ცეკას დადგენილებით, ცეკასთან მოეწყობა საჩივართა ბიურო იმ განცხადებების, წერილებისა და საჩივრების განსახილველად, რომლებიც უმთავრესად კომკავშირის ცხოვრებასა და მუშაობას ეხებიან. საჩივართა ბიურო მიიღებს როგორც წერილობით, ისე სიტყვიერს განცხადებებს. ყველა წერილობითი საჩივარი უნდა გადაიგზავნოს ამ მისამართით: მოსკოვი, იპატიევის შესახვევი, 3, საკავშირო კომკავშირის ცეკა, საჩივართა ბიუროს. (ადს).

კომკავშირის კულტურული ლაშქრობა

საქართველოს კომკავშირის ცეკას პრეზიდიუმის დადგენილებით ამა წლის 15 ოქტომბრიდან კომკავშირის ორგანიზაციაში ჩატარდება კულტურული ლაშქრობა.

კულტურული ლაშქრობა საქართველოში ჩატარებულ იქნა პირველად თბილისის ორგანიზაციის მიერ. თბილისის ორგანიზაციის ლაშქრობამ საკმაო გამოცდილება მისცა საქართველოს ორგანიზაციას. ეს გამოცდილება მომავალ კულტურულ ლაშქრობის დროს უსათუოდ გამოყენებულ უნდა იქნეს.

კულტურული ლაშქრობის უმთავრესი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ მთელი მუშურ გლეხური ახალგაზრდობა გაერთიანდეს წამოყენებულ პრაქტიკულ ლოზუნგების გარშემო.

კულტურული ლაშქრობის მთავარი ლოზუნგებია:

როგორ ვაშენებთ.

მუშურ-გლეხური ახალგაზრდობის ფართო მონაწილეობით დათვალიერებულ უნდა იქნეს სხვადასხვა წარმოებების და დაწესებულებების მიმდინარე მუშაობა; ადგილი ხომ არა აქვს ბიუროკრატიზმს, პროტექციონიზმს, ადმინისტრაციის მიერ თანამშრომლებისადმი უხეშ მოპყრობას, უდისციპლინობას, როგორ მიმდინარეობს წარმოების სოციალისტურ რაციონალიზაცია, რა მონაწილეობას ღებულობს მასში მუშა-ახალგაზრდობა და სხვა.

ყველა ეს საკითხები კომკავშირის უჯრედებმა წინდაწინვე უნდა დაამუშაონ, რათა კულტურულ ლაშქრობის დროს, წარმოება დაწესებულებათა შემოწმების პერიოდში, შესაძლებელი იქნეს პრაქტიკული წინადადებების მიღება ამა თუ იმ დაწესებულების და წარმოების შესახებ.

ბრძოლა წერა-კითხვის უცოდინარობასთან.

კულტურულ ლაშქრობამ ამ მიმართულებითაც უნდა მოგვცეს სათანადო შედეგები. ლაშქრობის დროს უნდა განმარტებულ იქნეს, რომ:

წერა-კითხვის უცოდინარს არ შეუძლია აქტიური მონაწილეობა მიიღოს ქვეყნის სოციალისტურ მშენებლობაში;

წერა კითხვის უცოდინარი—ბრმა იარაღია წარმოებისათვის.

ამასთანავე არ შეიძლება გვერდი აუხვიოთ საკავშირო კომკავშირის მერვე ყრილობის მოთხოვნილებას: თვითეულმა კომკავშირელმა წერა-კითხვა უნდა შეასწავლოს ერთ კაცს მაინც“. ეს დადგენილება კომკავშირმა უსათუოდ უნდა გაატაროს ცხოვრებაში.

დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ალკოჰოლიზმთან ბრძოლის საკითხს. ამ მიმართულებით სათანადო ახსნა-განმარტება უნდა იქნეს ჩატარებული, სამიკიტნოებში და ღვინის სარდაფებში ხეტიალის მაგივრად, კომკავშირელებმა კოლექტიური ძალით უნდა შესძლონ მუშა-ახალგაზრდობის კულტურულ ცენტრებისაკენ მიზიდვა.

გარდა ამისა კულტურულ ლაშქრობის მონაწილეებმა უნდა დაათვალიერონ საერთო საცხოვრებლები, წითელი ყაზარმები, ინტერნატები, სკოლები, კლუბები; ქოხ-სამკითხველოები და სხვა. შესწავლილ და შემოწმებულ უნდა იქნეს თვითეულ კულტურულ დაწესებულების მუშაობა, მოწაფეთა და მუშა-ახალგაზრდობის ყოფა-ცხოვრება და სხვა.

კულტურულ მოლაშქრეებმა სასტიკი ბრძოლა უნდა გამოუცხადონ დროის არა რაციონალურად გამოყენებას, დაგვიანება-გაცდენას, უთავბოლო-გაუთვალისწინებელ ხარჯებს და სხვა.

კულტურულ ლაშქრობის წარმატებით ჩატარებაში კომკავშირს სათანადო დახმარება უნდა გაუწიონ პარტიულ, საბჭოთა, პროფესიონალურ და კულტურულ-განმანათლებელ ორგანიზაციებმა, იმათი დახმარების გარეშე კომკავშირის ორგანიზაცია ვერ შესძლებს იმ ამოცანების განხორციელებას, რომელიც კულტურულ ლაშქრობის წინაშე სდგას.

კომკავშირის ორგანიზაციები აქედანვე უნდა შეუდგნენ მოსამზადებელ მუშაობას ლაშქრობის წარმატებით ჩასატარებლად.

აკ. ქა—ნიძე.

საბჭოთა საქართველო

წერილები

ფლორიდინის მადანი სოფ. ასკანაში
(წერილი გურიიდან)

გურიაში უძველეს დროიდან მოსახლეობა ასკანის მიწას ხმარობდა თავის დასაბანად. ასკანელებისათვის (ასკანა გურიის სოფელია) ეს მიწა შემოსავლის წყაროც იყო, თუმცა უმნიშვნელო. მიწის პატარა ბურთულები გოდრებით იზიდებოდა ოზურგეთში, ფოთში და გურიის სხვადასხვა სოფლებში. მეფის მთავრობის დროს ერთ მოხერხებულ მოქალაქეს ეს მიწა, პატარა პაკეტებში დამზადებული, ეხლანდელ ლენინგრადშიაც გაეტანა როგორც საპონი და ამბობენ გასავალიც ქონდაო.

მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა. მეფის მთავრობა ისტორიის არქივს ჩაბარდა. მასვე მიყვა მენშევიკების ოპერეტული „ძლიერება" და ამჟამად საბჭოთა საქართველოში ასკანის მიწაზე, როგორც თავისაბან საშუალებაზე, აღარავინ ლაპარაკობს. მას იკვლევენ და ეცნობიან მხოლოდ და მხოლოდ როგორც ნავთის საწმენდ ნივთიერებას. ჟურნალ „საქართველოს ეკონომისტი"-ს ერთ-ერთ უკანასკნელ №-ში პროფ. თვალჭრელიძეს პატარა, მაგრამ მეტად საინტერესო წერილი ქონდა მოთავსებული ფლორიდინის (ასკანის მიწა—იგივე ფლორიდინია) ბუდობების შესახებ საქართველოში. ამ წერილში პროფესორი უფრო დაწვრილებით გუმბრის (ქუთაისის მაზრა) მიწას ეხებოდა, თუმცა გაკვრით ასკანის მიწასაც შეეხო, როგორც კარგ ხარისხოვანს.

გაკვრით შეხება ამ შემთხვევაში საკმარისი როდი იყო და აღნიშნულ წერილის დაბეჭდვის შემდეგ, ჩვენ მართლაც დავინახეთ, რომ ასკანას ეწვიენ (ამ დღეებში) პროფ. თვალჭრელიძე და გეოლოგი ილინი ფლორიდინის ბუდობების საფუძვლიანი გამოკვლევისათვის.

გამოკვლევის შედეგებზე ლაპარაკი ჯერ ნაადრევია. ამაზე წინასწარი ლაბორატორიული მუშაობის შესრულების შემდეგ თვით პროფ. თვალჭრელიძე იტყვის.

ჩვენ ამჟამად გვინდა აღვნიშნოთ მხოლოდ შემდეგი: ასკანა — ფლორიდინის უმდიდრესი წყაროა. ასკანა ძლიერ ახლოს არის იმ ადგილთან (ბათომი), სადაც ფლორიდინი უნდა დაიხარჯოს. გურიაში საგრძნობი უმუშევრობაა და ამიტომ ყოველივე ახალ სამუშაოს დაწყებას ჩვენში ზედმიწევნით დიდი ყურადღება უნდა მიექცეს.

ყველა ზემოაღნიშნულს თუ დაემატა ასკანის მიწის ანალიზის დამაკმაყოფილებელი შედეგი, — უნდა ვიფიქროთ, რომ მოკლე ხანში გურიის ამ პატარა სოფელში ფართოდ გაიშლება მუშაობა ფლორიდინის დასამუშავებლათ. ეს იქნება საბჭოთა საქართველოს მორიგი გამარჯვება რთულსა და სერიოზულ სამეურნეო ფრონტზე.

დ. ნიკოლაიშვილი.

რა აჩერებს ფულის ბარათებს?
(ს. ხეთა, ზუგდიდის მაზრა)

უნდა აღინიშნოს, რომ გადაგზავნილ ფულის ბარათების დაგვიანებით მიღებას ხშირად აქვს ადგილი. მაგალითად: 1927 წ. ივლისის ბოლო რიცხვებში ლიუქსენბურგიდან გადმოგზავნილი ფული ს. ხეთაში მიღებულ იქნა კობახიძე და ბუკიას სახელზე 31 აგვისტოს, ს. ხეთიდან ლიუქსენბურგში 8 სექტემბერს გაგზავნილი ფული მიღებულ იქნა 25 ოქტომბერს. მიმდინარე წლის 5 იანვარს გაგზავნილი ფული ლიუქსენბურგი—ხეთა, მიღებულია მარტის უკანასკნელ რიცხვებში.

ცხადია, აქ ერთგვარ ბოროტებას აქვს ადგილი. თორემ ფულის ბარათებს გზაში რა გააჩერებს, როცა უბრალო წერილები მეორე-მესამე დღეს უკვე თავის ადგილასაა, უნდა აღინიშნოთ, რომ ამ შემთხვევაში ფულის გამგზავნელი სახალხო მასწავლებელი გახლავთ, რომლის მატერიალური მდგომარეობა ყველას მოეხსენება და ისიც, თუ რას ნიშნავს მისთვის ფულის დაგვიანება. მაგრამ „კვაჭები", რომლებიც ფ. ტ. უწყებაში მოკალათებულან, ამას როდი უწევენ ანგარიშს. მათთვის ალბად ხელსაყრელია ფულების თვეობით დანიშნულებისამებრ გადაუცემლობა.

ვიმედოვნებთ მუშლეხინის მახვილი თვალი მისწვდება ხეთის ფ. ტ. უწყებაშიაც და გამოასწორებს ასეთ ნაკლს.

მასწავლებელი.

მუშაობა გამოცოცხლდა
(წერილი ყარაიაზიდან)

ყარაიაზის საცდელი სადგურის ადგილკომის მუშაობა ა-წ. აპრილამდე მოისუსტებდა, მაგრამ ამ ბოლო დროს საგრძნობლად გამოცოცხლდა. მოეწყო წითელი კუთხე, მოგვდის სისტემატიურად ჟურნალ-გაზეთები, მოეწყო სამი ექსკურსია, თბილის-კოჯორში, ბორჩალოს მაზრაში და ყარაიაზის მთავარ სარწყავ არხის სათავეში. იმართება აგრონომიული საუბრები როგორც სადგურის კლუბში, ისე მახლობელ სოფ. მიხაილოვკაში. დავდგით რადიო, საიდანაც ყოველ საღამოს სადგურის მუშები და მახლობელ სოფლის გლეხები ისმენენ მოხსენებებს სხვადასხვა თემებზე და კონცერტებს. მუშები კმაყოფილნი არიან ადგილკომის ასეთი ნაყოფიერი მუშაობით.

კლ. ძაგნიძე.

განზრახ შეთხზული ჭორები
ველისციხე, კახეთის მაზრა

ველისციხის საკრედიტო ამხანაგობის გამგეობამ მტკიცე კურსი აიღო თავის წევრთა შორის საკრედიტო პოლიტიკის სისწორით გატარებისათვის. მან დაჰყო წევრები ფენებად და კრედიტის მთელი რიგი უპირატესობა მიანიჭა კოლექტიურ, ღარიბ და საშუალო გლეხურ მეურნეობებს. ამის გამო ნაწყენი დარჩა თემის ის შეძლებული და კულაკური ელემენტები, რომლებიც წარსულ ხანებში შემთხვევით სარგებლობდნენ ამხანაგობიდან ფულადი, სამეურნეო იარაღ-მანქანებით და სხვა საჭირო მასალით.

სწორედ ამშია ჩამარხული ველისციხის კულაკების მიერ ქვემოდ მოყვანილი უმსგავსო და გამხრწნელი სისინი. ველისციხის საკრედიტო ამხანაგობაზე ბოროტმა ჯგუფმა განიზრახა თავდასხმა ფულის გატაცების მიზნით. ეს ხმა მივიდა ადგილობრივ ადმინისტრაციის ყურამდე. ადმინისტრაცია ალმასკომის თავმჯდომარის და საკრედიტო ამხანაგობის გამგეობის თავმჯდომარესთან ერთად 12 სექტემბერს ღამით ჩაუსაფრდნენ საკრედიტო ამხანაგობის შენობაში ბოროტმოქმედთა შესაპყრობათ. ამით შეიქნა მეორე დღეს ჯანგალი, თითქოს თემალმასკომის და საკრედიტო ამხანაგობის თავმჯდომარეები დაესხნენ ველისციხის საკრედიტო ამხანაგობას და გაიტაცეს რვა ათასი მანეთი. ეს ჭორები შეთხზულია კულაკების და სხვა ნაწყენი ელემენტებ-ს მიერ, რათა სახელი გაუტეხონ ადგილობრივ ადმინისტრაციას და თვით საკრედიტო ამხანაგობის ხელმძღვანელთ. ადგილობრივ და სამაზრო ადმინისტრაციამ ასეთ ბოროტ სისინს, რასაც ხშირად აქვს ადგილი ჩვენს თემში, ბოლო უნდა მოუღოს.

უჩა.

წერილებიდან

ს. მუხრანი (თბ. მაზრა). რამოდენიმე წელიწადია მუხრანში მუშაობდა საქონლის ექიმი, რომელიც ემსახურებოდა სახ. უნივერსიტეტის მამულსაც. აქ დღეში 50 საქონელი იკვლება, არის საქონლის ავადმყოფობის შემთხვევებიც. ასეთ დროს კი ექიმი მოხსნეს. კვირაში ერთხელ მაინც უნდა მოდიოდეს ექიმი, რომ გაიგოს მდგომარეობა და უწამლოს ავადმყოფ საქონელს.

გლეხკორი.

კორცხელის თემი (ზუგდ. მაზრა). ადგილობრივი სამომხმარებლო კოოპერატივი აერთიანებს 550-მდე წევრს. კოოპერატივი საკმაოდ აკმაყოფილებს პირველ მოთხოვნილების საგნებით მომხმარებლებს. აგრეთვე დაარსებულია წრე, სადაც გლეხობა ეცნობა კოოპერატიული მოძრაობის საკითხებს. კოოპერატივის ნოქარი ენერგიულად მუშაობს.

თ. ბულია.

სურამი (გორის მაზრა). ამ ექვსი თვის წინად აქ დაარსდა მეხანძრეთა რაზმი ალმასკომის თავმჯდომარის ამხ. მ. ქიტიაშვილის ხელმძღვანელობით. რაზმის წევრები პირნათლად ასრულებდნენ ნაკისრ მოვალეობას. ამხ. ქიტიაშვილის წასვლის შემდეგ, ალმასკომი რაზმს არავითარ ყურადღებას არ აქცევს. ამრიგად რაზმს დაშლა მოელის, თუ დროზე არ მიაქციეს ჯეროვანი ყურადღება.

კონჯო.

მუშათა ცხოვრება

სამქრო. ბიუროების ნაკლი და მიღწევები

სამქრო ბიურო, ეს არის ცალკე საამქროების მუშებთან ყველაზე უფრო ახლო მდგომი პროფესიონალური ორგანიზაცია. ამიტომ სამქრო ბიუროების მუშაობის სათანადო დონეზე დაყენება, ერთი მთავარი საშუალებათაგანია მუშათა მოთხოვნილებების თავის დროზე დასაკმაყოფილებლად და მათი პროფესიონალურ და სხვა თავისუფალ ორგანიზაციების მუშაობაში ჩასაბმელად. მასიური მუშაობის გაცხოველება უმთავრესად სამქრო ბიუროების საქმეა. მათი საშუალებით მუშა ებმება სხვა და სხვა მასიურ მუშაობაში და ხელს უწყობს საერთოდ მუშათა გათვითცნობიერების საქმეს. უფრო სწორედ სამქრო ბიურო, ეს არის პირველი საფეხური მუშათა კულტურული დონის ამაღლებისა და დაწინაურებისა.

მაგრამ კითხვა იბადება, ასრულებენ თუ არა სამქრო ბიუროები თავის დანიშნულებას? არის თუ არა იგი მართლა საამქროს მუშებთან ყველაზე უფრო ახლო მდგომი ორგანიზაცია და აკმაყოფილებს თუ არა მუშათა მოთხოვნილებას? თუ გადავავლებთ თვალს სამქრო ბიუროების საქმიანობას, ვნახავთ, რომ მათმა არსებობამ და მუშაობამ საკმაოდ გააუმჯობესა და გამარტივა პროფესიონალური მუშაობა; მუშას აღარ სჭირდება უბრალო საკითხის გამო ადგილკომებში რბენა და ლოდინი. ყველა ისეთი საკითხები, რომლებიც შეეხებიან საამქროს ყოფა-ცხოვრებას, საამქროებშივე სწყდება. მუშაობის ასეთმა წესმა მუშათა დიდი ნაწილი ჩაითრია პროფესიონალურ მუშაობაში. მაგრამ სამქრო ბიუროების მუშაობას ჯერ კიდევ ბევრი ნაკლი აქვს.

მთავარი ნაკლი სამქრო ბიუროების მუშაობისა ეს არის საწარმოო თათბირებში სუსტი მონაწილეობა. ზოგიერთი სამქრო ბიურო, რატომღაც არ ხდის თავის თავს ვალდებულად დაესწროს საწარმოო თათბირს და მიიღოს მის მუშაობაში მონაწილეობა. გარდა ამისა სამქრო ბიურო ვერ აქცევს სათანადო ყურადღებას ახალ გამოგონებებს. ის კმაყოფილდება იმით, რომ აცნობოს საწარმოო თათბირს, ან ადგილკომს გამოგონების შესახებ. შემდეგში რა ბედი ეწევა, ამას აღარ კითხულობს. ეს ითქმის განსაკუთრებით ისეთ დიდი ქარხნების სამქრო ბიუროებზე, როგორიც არის რკ. გზის მთავარი სახელოსნო, 26 კომ. ქარხანა, ტრამვაის სახელოსნო და სხვ.

საჭიროა პროფესიონალურმა ორგანოებმა მეტი ყურადღება მიაქციონ სამქრო ბიუროებს და გაუწიონ მათ სწორი ხელმძღვანელობა, რაც ხელს შეუწყობს სამქრო ბიუროების მუშაობის უფრო გაცხოველებას.

ქარხნელი.

განათლების მუშაკთა შორის

9 ოქტომბერს, ორჯონიკიძის სახელობის კლუბში შესდგა მეორე რაიონის განათლების მუშაკთა კავშირის წევრთა საერთო კრება.

დღის წესრიგში იყო: მოხსენება კავშირის ცენტრალურ გამგეობის მუშაობის შესახებ და დელეგატების არჩევა სრულიად საქართველოს განათლების მუშაკთა კავშირის მეშვიდე ყრილობაზე.

პირველი საკითხის შესახებ მოხსენება გააკეთა კავშირის ც. გამგეობის წარმომადგენელმა ამხ. ხუნდაძემ, რომელმაც დაწვრილებით აღნიშნა ცენტრალურ გამგეობის, როგორც მიღწევები საორგანიზაციო, სატარიფო და კულტურულ დარგებში, ისე ნაკლიც. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ცენტრალურ გამგეობას უკანასკნელ ხანში დიდი მიღწევები აქვს მასიურ მუშაობის დარგში.

მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი, კამათში მონაწილენი მიუთითებდენ გამგეობას ნაკლზე, და მოითხოვდენ მომავალში მის გამოსწორებას. კრებამ, თავის რეზოლიუციაში წინადადება მისცა ც. გამგეობას, რათა მასწავლებლების ერთი სკოლიდან მეორე სკოლაში გადაყვან-გადმოყვანა ადგილობრივ კომიტეტების დაუკითხავად არ ხდებოდეს.

დასასრულ კრებამ სრ. საქართველოს განათლების მუშაკთა კავშირის მე-7 ყრილობისათვის გამოჰყო 6 დელეგატი.

ჭალარა.

საქმე გაჭიანურეს
(წერილი ოზურგეთიდან)

ქრისტოფორე მაღულარია, 24 წლის განმავლობაში დარაჯად მსახურობდა საჯევახო-ოზურგეთის გზატკეცილზე. რამდენიმე ხნის წინად, სიბერის გამო, იგი განთავისუფლეს სამსახურიდან, რისთვისაც მაღულარიამ მიმართა ოზურგეთის დამზღვევ სალაროს, რათა დაენიშნათ მისთვის პენსია. აქედან იწყება მაღულარიას წამების ისტორია: დამზღვევ სალაროში პირველად მას მოსთხოვეს 24 წლის ნამსახურის მოწმობა, რომლის მიღებაც მან ვერ შესძლო, რადგან ყველა საბუთები, მისი სამსახურში მიღების შესახებ, ინახება ყოფილ ქუთაისის საგუბერნიო სამმართველოს არქივში.

ეს კარგად იცოდენ ოზურგეთის სოცდაზღვევის მუშაკებმა, მაგრამ ანგარიში არ გაუწიეს. მოითხოვეს ისეთი საბუთი, რომლის აღებაც შეუძლებელია.

მაღულარიამ სთხოვა დამზღვევ სალაროს, რათა ასეთი მოწმობის უქონლობის გამო დაკმაყოფილებულიყვნენ ადგილობრივი ხელისუფლების დადასტურებით იმის შესახებ, რომ იგი ნამდვილად მსახურობდა 24 წლის განმავლობაში, მაგრამ მისი მუდარა არ იქნა შეწყნარებული. ბოლოს როგორც იქნა დაარწმუნეს სოცდაზღვევის ორგანოს „ჩინოვნიკები", რომ საკმარისია ადგილობრივ ხელისუფლების მოწმობა, თუ ხუთი მოქალაქეს დადასტურება.

მაღულარიამ წარუდგინა ასეთი მოწმობა 1-ლ ივნისს, მაგრამ დღემდე დაზღვევას მაინც ვერ ეღირსა.

მაღულარია სცხოვრობს სოფელში, ოზურგეთიდან 25 ვერსის მანძილზე, საიდანაც თვეში ორჯერ უხდება ოზურგეთში ჩამოსვლა დამზღვევ სალაროდან უკანასკნელი პასუხის მისაღებად, მაგრამ ყოველთვის რაღაც ახალ „საბუთებს" სთხოვენ. უკანასკნელად კი პასუხის გაუცემლობის მიზეზად ასახელებენ სოცდაზღვევის გამგის ავადმყოფობას. მაღულარიამ აღარ იცის ვის მიმართოს, როგორ მოიქცეს, რომ მიიღოს დამზ. სალაროდან დახმარება და არჩინოს თავისი ოჯახი.

მუშათა და გლეხთა ინსპექცია უნდა ჩაერიოს ამ საქმეში და გამოაკვლიოს ამ პატარა საქმის ასე გაჭიანურების მიზეზი.

გამვლელი.

მუშკორთა წერილებიდან

ვინ არის სახლის პატრონი? პლეხანოვის პროსპექტზე მდებარე სახლი № 172, ფორმალურად სამხედრო უწყებას ეკუთვნის, მაგრამ ფაქტიურად სახლს არავინ პატრონობას არ უწევს. ჰყავს კომენდანტი, რომელსაც ფეხი არ შემოუდგამს სახლში. ვინ არის სახლის პატრონი?

ვ. ელიმბორელი.

დაპირება შეასრულეთ (ქუთაისი). ქუთაისის სადგურის ნიშან სვეტთან, ძერჟინსკის ქუჩის თავში, ალმასკომის დაპირებით უნდა გაკეთებულიყო ხიდი, მაგრამ დაპირება დღესაც შეუსრულებელია. მთელი მოძრაობა, რიონჰესის სამუშაოებზე ამ გზით სწარმოებს, მაგრამ ხიდი უქონლობის გამო ფერხდება მოძრაობა. ალმასკომო, შეასრულე დაპირება.

ეკალვარდი.

ქურდი დაფარეს. „რიონჰესი"-ს ერთ-ერთ მუშას, სახელდობრ მოქ. ფურცხვანიძეს, ბინაზე უპოვეს „რიონჰეს"-ში დაკარგული ნივთები, რომლის მოპარვაში ფურცხვანიძე გამოტყდა კიდეც, მაგრამ პასუხი არავის მოუთხოვია მისთვის. ის ისევ არხეინად განაგრძობს „რიონჰეს"-ში მუშაობას და ვინ იცის შემდეგში კიდევ რას მოიპარავს. მუშკომო, ნუ დაფარავ ქურდს, მოსთხოვე მას სათანადო პასუხი.

ახლობელი.

ქეიფის მოყვარული (სად. წიფა). სად. წიფის არტელის უფროსი მოქ. კოსტა მაზეროპულო, ქეიფის მოყვარული კაცია. ვაი არტელის იმ წევრს, რომელიც არ გაუმართავს მას კამპანიას და არ გამოაძღობს, არტელიდან აუცილებლივ განიდევნება. ეს ვაჟბატონი ხშირად დღიურ მუშებს თავის პირად საქმეზედაც კი ამუშავებს. ადგილკომის თავმჯდომარე არავითარ ყურადღებას არ აქცევს მაზეროპულოს საქციელს. მას ღვინის სმისა და ლოთობის მეტი არაფერი ახსოვს. ვფიქრობთ კავშირი მიაქცევს ყურადღებას და ადგილკომის თავმჯდომარესაც და მაზეროპულოსაც მიუჩენს სათანადო ადგილს.

რკ. გზელი.

„სოფლის კავშირი"-ს ინსტრუქტორთა და სას.-სამ. ბანკის ინსპექტორთა თათბირი

სას.-სამ. საკრედიტო ქსელის მდგომარეობა საქართველოში

თბილისის მაზრა
მომხსენებელი ამხ. კიკვაძე

თბილისის მაზრაში სას.-სამ. საკრედიტო ამხანაგობათა რიცხვი ამჟამად უდრის 14-ს. ამხანაგობებს ყავთ 9.210 წევრი, ანუ მასში გაერთიანებულია მთელი მაზრის მეურნეთა 29,1 პროცენტი. შეკავშირებულ ღარიბთა რაოდენობა უდრის წევრთა საერთო რიცხვის 65 პროცენტს, საშუალო შეძლების 31 და შეძლებულთა 4. გაცემულ სესხის საერთო ჯამიდან ღარიბებს მიღებული აქვთ 69 პროც. საშუალო შეძლებულს 28 პროც. და შეძლებულს 3 პროცენტი. ამხანაგობათა გამგეობის შემადგენლობა დამაკმაყოფილებელია სამი ამხანაგობის გამოკლებით. საბჭოები და სარევიზიო კომისიები თბილისის მაზრაში, როგორც ყველგან, ინერტიულობას იჩენენ. რადგან მათ შემადგენლობაში იშვიათია მცოდნე პირები. გამოცოცხლება დაეტყო წევრთა დამოკიდებულებას ამხანაგობებისადმი. თუ წინათ ისინი არავითარ მონაწილეობას არ იღებდნენ ორგანიზაციულ საქმეებში, ამჟამად ეს ნაკლი უმრავლეს რაიონებში გამოსწორებულია. საზოგადო კრებაზე დამსწრე წევრთა რიცხვი უდრის 40-დან 70 პროცენტამდე.

ამხანაგობათა ბალანსში მთავარი ადგილი უჭირავს აღებულ სესხს, რომელიც 28 წლის 1-ლ ივლისისათვის უდრიდა 537.000 მანეთს. (საერთო ბალანსის 5,4 პროცენტი). წინა წლებთან შედარებით აღებული სესხის ხვედრითი წონა ბალანსში მაინც კლებულობს, რაც მიეწერება ამხანაგობათა საკუთარ თანხების ზრდას.

ამხანაგობათა ანაბარების ჯამი უდრის 38.814 მანეთს, (ბალანსის 3,5 პროცენტს) ანაბარი საშუალოდ თვითეულ წევრზე მოდის 4 მან. 20 კაპ. რაც წინა წლებთან შედარებით გადიდებულია, გადიდებულია აგრეთვე ანაბარების ხვედრითი წონა საერთო ბალანსში.

უფრო მნიშვნელოვან როლს ძირითად ქსელის ფინანსიურად გამაგრების საქმეში თამაშობს საკუთარ საშუალებათა სიდიდე. ამ მხრივ თბილისის მაზრის საკრედიტო ამხანაგობის ძირითად ქსელის მდგომარეობა შემდეგია: საპაიო თანხა უდრის 82.755 მანეთს, ძირითადი-საკუთარი 17.838 მან. სპეციალური —14.800 მანეთს და სათადარიგო 6.269 მანეთს. სულ საკუთარი თანხები შეადგენენ 131.553 მანეთს. საშუალოდ თვითეულ წევრზე მოდის 14,3 მან. საკუთ. თანხა.

საკუთარ თანხების დაგროვება თბილისის მაზრის ამხანაგობებში მიმდინარეობს შედარებით უფრო ჩქარი ტემპით, ვიდრე საქართველოს სხვა რაიონებში.

ამხანაგობათა ოპერატიულ საქმიანობაში მთავარი ადგილი უჭირავს სესხების ოპერაციას. 1-ლი ივლისისათვის გაცემულ ნაშთის სესხი უდრიდა სულ 485.048 მან. აქედან გრძელვადიანი სესხი იყო 211.888 მ., მოკლევადიანი 273.160 მან. მიუხედავად იმისა, რომ სოფლის მეურნეობაში დაბანდებულ სესხის რაოდენობა ყოველ წლიურად მატულობს, სოფლის მეურნეობის მოთხოვნილების დიდი ნაწილი ჯერ კიდევ დაუკმაყოფილებელი რჩება. სესხის გაცემის საკითხი ჯერ კიდევ საკმაოდ ვერ არის მოგვარებული. სესხების ვადები ხშირად არ არის შეფარდებული მოსავლის დროსთან, რის გამო გლეხს ხშირად საშუალება არა აქვს თავის დროზე დაფაროს სესხი. ეს გარემოებაა მიზეზი, რომ ვადაგადაცილებულ სესხების პროცენტი ჯერ კიდევ მნიშვნელოვანია. 28 წლის 1-ლ ივლისისათვის იგი უდრიდა 485.048 მანეთს, ე. ი. საერთო სესხის 7,7 პროცენტს.

ღარიბის გლეხთა კოოპერაციაში შესაკავშირებლად ამხანაგობები ყოველ წლიურად ახდენენ გადარიცხვას უღარიბეს გლეხთა ფონდში მოგების 10 პროცენტს, მაგრამ შეკავშირება სწარმოებს მეტად დაგვიანებით, რაც განმანაწილებელი კომისიების დაუდევრობას მიეწერება. უღარიბეს გლეხთა საკრედიტო ამხანაგობებმა მიიღეს საბიუჯეტო სახსრებიდან სულ 28.300 მანეთი, რომელიც ღარიბ წევრებს შორის მეტად დაგვიანებით ყოფილა განაწილებული. მიზეზი ისევ კომისიების დაუდევრობა და ამ საკითხისადმი ადგილობრივ ხელისუფლების წარმომადგენელთა უყურადღებობაა.

სხვა მაზრებთან შედარებით თბილისის მაზრის ამხანაგობები ნაკლებად აწარმოებენ გასაღებელ და დასამზადებელ ოპერაციებს, რომელთაც საერთო ბალანსში უჭირავს 4.1 პროცენტი. ეს სიმცირე აიხსნება ობიექტიური პირობებით.

ყველა ამხანაგობათა შემოსავალი 1-ლ ივლისისათვის უდრიდა 131 603 მან. საშუალოდ თვითეულ ამხანაგობაზე მოდის 8.774 მანეთი შემოსავალი, თვითეულ წევრზე 14 მან. 30 კაპ. ამავე რიცხვისათვის გასავლის საერთო ჯამი უდრიდა 107.659 მანეთს, თვითეულ ამხანაგობაზე მოდის 7.164 მან., გასავლის, თვითეულ წევრზე 11 მან. 60 კაპ. ბალანსის და ბრუნვის ზრდასთან ერთად იზრდება შემოსავალ-გასავალი. რენტაბელობის მხრით ქსელის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

შორაპნის მაზრა
მომხსენებელი ამხ. ძაგნიძე

მაზრაში არსებული 8 სას.-სამ. საკრედიტო ამხანაგობა 1928 წ. 1 ივლისისათვის აერთიანებდა 5.608 მეურნეს ე. ი. კომლთა 15,4 პროც. 1927 წლ. ოქტომბ. შედარებით წევრთა რიცხვი. ღარიბი გლეხები შეადგენდენ წევრთა 70 პროც.; საშუალო 26 პროც., და შეძლებულნი 4 პროც. მოსახლეობის მეტი წარმატებით შეკავშირებას ამხ-ებში და ამხ-თა საკრედიტო და სამეურნეო საქმიანობას ხელს უშლის ამხანაგობათა რაიონის სიდიდე და დასახლებულ რაიონებიდან ამხ-თა. სიშორე. გამგეობებს საერთოდ ემჩნევათ მეტი აქტივობა წინა წლებთან შედარებით: გამოდიან მოხსენებებით გლეხობაში და აღვიძებენ მასში ინტერესს საკრედიტო ამხანაგობისადმი. თვით წევრებისაგან გამოყოფილია ღარიბთა აქტივი, რომელიც აქტიურ მონაწილეობას იღებს სესხის განაწილებასა და სხვა საქმიანობაში. საანგ. პერიოდში კოოპერატ. შეკავშირების ფონდიდან გამოყენებულია 425 მანეთი, რომლის საშუალებით წევრად შეყვანილია 80 ღარიბი მეურნე. ამხანაგობათა ფინანსიური მდგომარეობა ასეთია—საპაიო თანხას ჯამი უდრის—80.922 მანეთს, თვითეულ წევრზე მოდის 5 მან. 63 კაპ.; რაც ძალიან მცირეა, ანაბარების ჯამი 31,098 მან. თვითეულ წევრზე მოდის დაახლოებით 6 მანეთამდე,—ძირითადი საკუთარი თანხა—18.360 მან. სათადარიგო—5000 მანეთამდე და განსაკუთრ. დანიშნულების 21260 მან. საერთოდ საკუთარი თანხების მდგომარეობა ისეთია, რომ ერთს საკუთარ მანეთზე მოდის 4 მან. 50 კაპეიკი ნასესხი თანხა. ამხანაგობათა საკრედიტო მუშაობას ახასიათებენ შემდეგ ციფრები: 1 ოქტომბრ. 1928 წ. 1 ივლისამდე ამხანაგობებს მიუღიათ 95.247 მანეთი გძელვადიანი სესხის შესაცემად, თუ გასულ წელთან შედარებით 9 პროცენტით ნაკლებია, მოკლევადიანი სესხის გასაცემად 136.450 მან. გაცემულ მოკლევადიან სესხის ბრუნვა უდრის—194 483 მან., ხოლო გრძელვადიანის 30.965 მან. ვადაგადაცილებულ სესხების ჯამი პირველ ივლისისათვის უდრიდა—36.847 მანეთს. ინდივიდ. მეურნეობაზე გაცემულთა ორივე სახის სესხი 211.264 მან. კოლექტ. მეურნეობებზე—2431 მანეთი. კოოპერატ. ორგან-ზე—644 მან. სულ გაცემულ სესხის ჯამი უდრის—236.321 მან. აქედან გრძელვადიანია 66.220 მან.

პირველ ივლისისათვის ამხანაგობების მიერ მისაწოდებლად მომარაგებულ საქონლის ბრუნვა უდრიდა 926.788 მან., საკუთრად დამზადებულ გასასაღებელ საქონლის ბრუნვა 148.750 მანეთს; საკომისიოდ დამზადებულ საქონლის—2.093; სულ საქონლის ბრუნვის ოპერაციები შეადგენენ 1.077.632 მანეთს. ზესტაფონის ამხანაგობას აქვს ერთი წარმოება—სახერხი ქარხანა, რომელსაც გასულ წელს გადაუმუშავებია 4.395 მანეთის ხე-ტყის მასალა, ხოლო წელს პირველ ივლისამდე 10.617 მანეთის.

ამხანაგობების მიერ საანგარიშო წელს გაწეული ხარჯები შეადგენენ 84.558 მან. აქედან საკრედიტო ოპერაციებზე დახარჯულია—21384 მანეთი, სავაჭრო ოპერაციებზე—9108 მან., წარმოებაზე—9333 მან. მართვა-გამგეობაზე—38341 მან. აგრიკულტურულ მუშაობაზე—143 მან. ამხანაგობის შემოსავალი ამავე წლის სამ კვარტალში შეადგენს 113.162 მანეთს. საკრედიტო ოპერაციებიდან შემოსულია 19570, სავაჭრო ოპერაციებიდან—73098 მან., წარმოებიდან—1302 მან. და სხვ.—18606.

ზუგდიდის მაზრა
მომხსენებელი ამხ. კოპალეიშვილი

ზუგდიდის მაზრის საკრედიტო ამხანაგობები აერთიანებენ ამჟამად 8115 მეურნეს, ანუ მთელი რაიონის კომლთა 31 პროცენტს. წევრთა სოციალური მდგომარეობა არ არის გამორკვეული. გამგეობებმა არც იციან, რომელ ფენებს აძლევენ კრედიტს და ვის ემსახურებიან, საერთოდ, მაზრაში ორგანიზაციული მუშაობა მოისუსტებს. გამგეობებს არ ყავს სპეციალურად გამოყოფილი წევრი ორგანიზაციული მუშაობისათვის. მეტ წილად ამხანაგობის მთელი საქმიანობა აწევს ერთ აქტიურ წევრს, რომელიც სხვათა შორის, საორგანიზაციო მუშაობასაც ეწევა. სამ ამხანაგობის გარდა, არც ერთ დანარჩენ ორგანიზაციებში არ მოიპოვებიან კოოპერატიულად მომზადებულნი გამგეობების წევრები. ამხანაგობათა საპაიო თანხის ჯამი პირველი სამი კვარტალის დამლევს (1928 წ. 1 ივლ.)—შეადგენდა 56635 მანეთს. ე. ი. საშუალოდ თითო წევრზე მოდიოდა 6 მან. 96 კაპ. შემოტანილი პაი თუმცა იზრდება, მაგრამ არა საკმაოდ. პირველი ივლისისათვის ამხანაგობებს ჰყოლიათ სულ 452 კერძო მოანაბარე 15827 მანეთ. საანაბარო თანხით და 24 მოანაბარე ორგანიზაცია 11271 მან. თანხით. საერთოთ ანაბარების ჯამი იზრდება, მაგრამ ადგილი აქვს იძულებასაც. გლეხს ანაბარს ატოვებინებენ ანგარიშის გასწორების დროს. ამხანაგობათა ფინანსიური მდგომარეობა წინა წელთან შედარებით გაუმჯობესებულია. ამხანაგობის საბრუნავი საშუალებები შეადგენენ საერთო ბალანსის 32,2 პროცენტს. ნასესხი თანხა 90,7 პროც. საკუთარი 90,2 პროც. ყოველ საკუთარ მანეთზე მოდის 9 მან. 80 კაპ. ნასესხი. ვადა გადაცილებულ სესხებს რაოდენობა ა.-წ. პირველ ივლისისათვის უდრიდა 72960 მანეთს. ანუ გაცემული სესხის 13,7 პროც. საერთოთ საკრედიტო დისციპლინა მოისუსტებს. ამხანაგობათა მიწოდების დებეტი უდრის 218079 მანეთს. კრედიტი—184.233 მან. გასაღების დებეტი—303833 მან. მიწოდების ოპერაციების დროს ადგილი აქვს სამომხმარებლო საგნებით ვაჭრობას, რაც არანორმალურია. საკრედიტო ამხანაგობათა საქმიანობას აბრკოლებს რაიონში სხვა სამეურნეო ორგანიზაციების პარალელური მუშაობა. წელს ამხანაგობებმა ვერ შესძლეს თამბაქოს კონტრაქტაციის ჩატარება, რასაც ხელი შეუშალა მუდმივმა წვიმებმა და სიმშილობამ.

სამხრეთ-ოსეთი
მომხსენებელი ამხ. ბ. გელოვანი

სამხრეთ-ოსეთში მოქმედობს ოთხი ამხანაგობა, რომელიც ა. წ. პირველ ივლისისათვის აერთიანებდა 1710 მეურნეს ანუ, კომლთა 13,2 პროც. წევრთა ასეთი სიმცირე უმთავრესად აიხსნება გამგეობათა უმოქმედობით. გამგეობის წევრები თავისი მომზადებით მეტ წილად არ შეეფერებიან დანიშნულებას. გარდა ამისა საკრედიტო ამხანაგობათა ზრდას აბრკოლებს სას.-სამ. კოოპერატიულ ორგანიზაციათა პარალელური არსებობა. ამხანაგობათა საპაიო თანხის ჯამი უდრის 10150 მან. პაი შეტანილი აქვს წევრების მხოლოდ ორ მესამედს. ძირითადი საკუთარი თანხა უდრის 3240, სპეციალური 3362 მან. სულ საკუთარი საშუალებანი 13500 მანეთს არ აღემატება. ნასესხი თანხების ჯამი შეადგენს 114000 მანეთს. ასე, რომ ერთ საკუთარ მანეთზე მოდის 8 მან. ნასესხი. ანაბარების ჯამი უდრის 12.000 მანეთს. (ბალანსის 6,5). საშუალოდ თვითეულ წევრზე მოდის 7 მანეთი ანაბარი. ანაბარები თითქმის მთლიანად ეკუთვნის ცხინვალის ამხანაგობას. გაცემულ სესხების ჯამი უდრის 59000 მან. აქედან გრძელვადიანია 26000 მანეთი. მოკლევადიანი 33000 მან. საშუალოდ ერთ წევრზე გაცემულია 35 მანეთი. ვადაგადაცილებულ სესხის ნაშთი შეადგენს 16000 მანეთს, ე. ი. მთელი სესხის 27,1 პროცენტს, რაც განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს: დაუყოვნებლივ უნდა იქნეს ღონისძიებები მიღებული ვადაგადაცილებულ სესხების შესამცირებლად და აგრეთვე სესხის დანიშნულებისამებრ გამოყენებისათვის. ამხ.-ბათა შემოსავალი 1-ლ ივლისისათვის უდრიდა 10941 მან. გასავალი 11.400 მან. ზარალი შეადგენს 1223 მან.

ახალქალაქის, ახალციხის და ბორჩალოს მაზრები
მომხსენებელი ამხ. შ. ფოფხაძე

ზემოხსენებულ მაზრებში სას.-სამ. საკრედიტო ქსელი შემდეგნაირად არის განაწილებული: ახალქალაქის მაზრაში მოქმედობს 4 ამხანაგობა, რომელიც აერთიანებს 3552 მეურნეს (21 პროც.). ახალციხის მაზრაში სამი ამხანაგობა—აერთიანებს 2141 წევრს (12 პროცენტს); ბორჩალოს მაზრაში 5 ამხანაგობა 5132 წევრით (30,5 პროც.). წევრთა სოციალური მდგომარეობა ამხანაგობებს სწორად არა აქვთ შესწავლილი. დაახლოვებით შეიძლება ითქვას, რომ ახალქალაქ-ახალციხის ამხანაგობების წევრთა 50 პროცენტს შეადგენენ ღარიბები, 47 საშუალო შეძლების და 3 პროც. შეძლებულნი. ახალქალაქის ამხ.-თა საპაიო თანხა უდრის 24481 მანეთს. (თითო წევრზე მოდის 6 მან. და 60 კაპ.); ახალციხის—15860 მან. (წევრზე 6 მან. 60 კაპ.); ბორჩალოსი—45.569 მან. (წევრზე 8 მან. 85 კაპ.). საკუთარ საშუალებათა დაგროვებაში პირველი ადგილი უჭირავს ბორჩალოს, რომელსაც 1927 წლის 1-ლ ოქტომბრს ქონდათ დაგროვილი 60900 მან. ახალციხის ამხ-თა საკუთარ თანხის ჯამი ა. წ. 1-ლ ივლისისთვის შეადგენდა 13353 მანეთს, ხოლო ახალქალაქის—40348 მან. ანაბარების სახით მოზიდულ საშუალებათა მოძრაობა შემდეგ სურათს იძლევა: ბორჩალოს ამხ-ებს მოზიდული ქონიათ 2947 მან. (ბალანსის 0,5 პროც.), ახალციხის—12455 მანეთს. (ბალანსის 4 პროცენტს), ახალქალაქის—22856 მან. (7,3 მან.). ანაბარები მომატებულად შემოაქვთ დაწესებულებებს, ვიდრე გლეხებს.

რაც შეეხება საკრედიტო ოპერაციებს, ყველა მაზრებში ადგილი აქვს გაცემული სესხების ზრდას 50 პროცენტით. ზრდის ტემპი უფრო საგრძნობია ახალციხის მაზრაში, სადაც ამხანაგობებს ა. წ. ივლისისათვის გაუციათ 37006 მან. გრძელვადიანი სესხი და 70408 მან. მოკლევადიანი. მეორე ადგილი უჭირავს ახალქალაქის ამხანაგობებს, რომელთაც გაცემული აქვთ გრძელვადიანი სესხი 104696 მან. და მოკლევადიანი სესხი 135361 მან. ბორჩალოს ამხანაგობებს სულ გაცემული აქვთ 187775 მანეთის სესხი, აქედან გრძელვადიანია 78451 მან. მოკლევადიანი 109255 მან. თითო წევრზე გაცემულია ახალ ქალ. 68 მან. ახალციხის—47 მან. ბორჩალოს—36 მან და 50 კ. ვადაგადაცილებული სესხების ჯამი ახალქალაქში შეადგენდა 5774 მანეთს, (2,3 პროც. საერთო სესხისას), ახალციხეში—19300 მან. (17 პროც.) და ბორჩალოში 11040 მან. (5,7 პროც.). ზემოხსენებულ მაზრებში შეუსწავლელია გაცემულ სესხების დანიშნულებისამებრ მოხმარების საკითხი.

ამხანაგობათა ბალანსის ზრდასთან ერთად იზრდება საქონლის ოპერაციების ხვედრითი წონა. საქონლიანობა უმთავრესად ახასიათებს ახალციხის მაზრას, სადაც ამხ-ბები ჩაბმულნი არიან ხილისა და კარტოფილის კონტრაქტაციის საქმეში. ახალქალაქის ამხ-ბები ეწევიან რძის ნაწარმოების დამზადება-გასაღებას; მისაწოდებელ-მომარაგებელ საქონლის ოპერაციებს და სასოფლო პროდუქტების დამზადება-გასაღებას აწარმოებს ბორჩალოს მაზრის ამხანაგობებიც. ახალქალაქის ამხ-თა სავაჭრო ოპერაციების ბალანსი 1-ლ ივლისისათვის უდრიდა 323468 მან. ახალციხის—308285 მან. და ბორჩალოს 583280 მან. ყველა მაზრების ამხანაგობებს გასული წლის მესამე კვარტალი დაუმთავრებიათ მოგებით, რომლის საერთო ჯამი უდრის 28.272 მან. აქედან ახალქალაქის ამხანაგობათა მოგება უდრის 6673 მან. ახალციხის—8372 მან. და ბორჩალოს—13187 მან. დასასრულ მომხსენებელი ეხება რა მართველ ორგანოების მუშაობას, აღნიშნავს გამგეობათა წევრების მეტისმეტ დატვირთვას სხვადასხვა საქმეებით, რაც აფერხებს ამხ-თა წარმატებას.

რაჭა-ლეჩხუმი
მომხს. ამხ. ყიფიანი

1-ლ ივლისისათვის რაჭა-ლეჩხუმში მოქმედებდა 9 სას. სამ. საკრედიტო ამხანაგობა, რაც ძალიან მცირედ უნდა ჩაითვალოს ამ ორი მაზრის ტერიტორიასა და მცხოვრებთა რაოდენობასთან შედარებით. ამხანაგობებში გაერთიანებულია სულ 6.026 მეურნე, ანუ მცხოვრებთა (28,8 პროც.). წევრთა ზრდა ა. წ. 1-ლ სამ კვარტალში 67,4 პროც. უდრის. ამხანაგობის წევრთა 51 პროცენტს შეადგენენ ღარიბები, 43 პროც. საშუალო შეძლების და 5 პროც. შეძლებულნი. ამხანაგობათა მართველი ორგანოების კოოპერატიული მომზადება მოისუსტებს, სუსტია აგრეთვე სარევიზიო კომისიების მუშაობა, რადგან მასში უმთავრესად შედიან სხვა საქმეებით დატვირთული სოფლის ინტელიგენტები. ამხანაგობათა ტეხნიკურ შტატის შემადგენლობა კვალიფიკაციის მხრით დამაკმაყოფილებელია.

ამხანაგობათა ფინანსიური მდგომარეობა შემდეგ სურათს იძლევა: საპაიო თანხების ჯამი უდრის 50.960 მან. საპაიო თანხა გადიდებულია 47,4 პროცენტით, თუმცა მისი ზრდა ჩამორჩება წევრების ზრდის ტემპს. თვითეულ წევრზე საპაიო გამოსაღები მოდის 8 მან. 45 კაპ. ანაბარების ჯამი ამავე რიცხვისათვის უდრიდა 19.180 მან. აქედან ინდივიდუალური ანაბარები — 6.286 მან. და ორგანიზაციების —12.324 მან. ამხანაგობათა საერთო თანხები უდრის 136.837 მან. აქედან ნასესხი შეადგენს 53.130 მან., სპეციალური—16.042 მან. და ძირითადი სათადარიგო—13.241 მან. ამას უნდა დაემატოს საპაიო და მოგება, რომელიც 1-ლ ივლისისათვის უდრიდა 3.464 მან. საკუთარი თანხების შეფარდება ნასესხთან ასეთია: ყოველ საკუთარ მანეთზე მოდის 5 მან. 74 კაპ. ნასესხი. რაჭა-ლეჩხუმის ამხანაგობათა მუშაობაში მთავარი ადგილი უჭირავს საკრედიტო ოპერაციებს. 1-ლი ივლისისათვის მათ გაცემული ქონიათ 267.074 მანეთის სესხი, რაც საერთო ჯამის 59,6 პროცენტს შეადგენს. დამზადება-გასაღების ოპერაციებში ამავე რიცხვისთვის მოთავსებული ყოფილა 11.204 მან.; ხოლო საქონლის მიწოდება-მომარაგების ოპერაციებში 100.670 მან. (22,4 პროც.). საწარმოო წამოწყებებში მოთავსებულია 20.376 მან. (4,5 პროც.) აგრი-კულტურულ მუშაობაში 19.184 მან. (4,2 პროც.). როგორც ამ ცნობებიდან სჩანს დამზადება-გასაღების ოპერაციებს მართველი ორგანოები ნაკლებათ აწარმოებენ, რაც მიზანშეწონილი არ არის, რადგან ამ ოპერაციებს მაზრისათვის არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს საკრედიტო ოპერაციებზე. რადგან ამხანაგობები ქალაქისა და სოფლის ნაწარმოებთა გაცვლა-გამოცვლის გაძლიერებით ქმნიან მჭიდრო კავშირს მათ შორის.

ოზურგეთის მაზრა
მომხს. ამხ. დედაბრიშვილი

სას. სამ. საკრედიტო ქსელი ოზურგეთის მაზრაში შეიცავს 14 ამხანაგობას, რომელნიც აერთიანებენ 11.697 მეურნეს, რომელნიც პროც. შეადგენენ ღარიბი გლეხები, 40 პროც. საშუალო და 7 პროც. შეძლებულნი. მართველი ორგანოები შედარებით სხვა მაზრებთან იჩენენ მეტ აქტივობას. სისტემატიურად იწვევენ წევრთა კრებებს, სადაც გლეხობა ეცნობა საკრედიტო ამხანაგობათა საქმიანობას.

ამხანაგობათა ფინანსიური მდგომარეობა შემდეგ სურათს იძლევა: საპაიო თანხის ჯამი უდრის 63.928 მანეთს, რაც 1927 წ. 1-ლ ოქტომბერთან შედარებით 26 პროც. ზრდას იძლევა. ამხანაგობის ძირითადი თანხა შეადგენს 147.529 მანეთს, რაც ბალანსის 7,6 პროცენტს უდრის. ანაბარის ამხანაგობებს სულ შეკრებილი აქვთ 71.164 მანეთის რაოდენობის. თვითეულ წევრზე მოდის 6 მან. და 80 კაპ. 1-ლ ოქტომბერთან შედარებით ანაბარების ჯამი 95 პროცენტით არის გადიდებული. ამხანაგობებს 1-ლ ივლისისათვის მოკლევადიანი სესხის სახით აღებული ქონდათ 558.938 მანეთი, ე. ი. გასულ წელთან შედარებით 226 პროც. მეტი, ხოლო გრძელვადიანი სესხის სახით—150.868 მანეთი. გასულ წელთან შედარებით 89 პროცენტით მეტი. ამხანაგობებს გლეხობაზე გრძელვადიანი სესხის სახით გაცემული ქონდათ 392.266 მან. ანუ 206 პროცენტით მეტი შარშანდელზე, მოკლევადიანი სესხის სახით 453.866 მან. ე. ი. 43 პროცენტით მეტი. გრძელვადიან კრედიტების ასეთი ზრდა გამოწვეულია ჩაის პლანტაციების მოსაწყობათ გაღებულ თანხების ზრდით ა. წ. 1-ლი ივლისისათვის ვადაგადაცილებულ სესხის რაოდენობა უდრიდა 81.580 მან. ე. ი. მთელი გაცემული სესხის 9,1 პროც.

საკრედიტო ამხანაგობების მუშაობაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სავაჭრო-საშემოსავლო ოპერაციებს, რომელთა ზრდა შემცირებულია პირველი სამი კვარტალის განმავლობაში, რაც აიხსნება, ამით რომ ეს დრო გურიაში სას. სამ. პროდუქტების დამზადებისათვის მკვდარ სეზონს წარმოადგენს. 1-ლ ივლისისათვის გასასაღებლად დამზადებული სას. სამ. პროდუქტების ღირებულება უდრიდა 373.746 მან. ხოლო მისაწოდებლად მომარაგებული საქონლის ღირებულება 102.585 მან. 1-ლ ოქტომბერთან შედარებით პირველი ხასიათის ოპერაციები გადიდებულია 31 პროცენტით, ხოლო მეორე ხასიათის ოპერაციები 57 პროცენტით. საერთოდ ბალანსის ზრდა საანგარიშო პერიოდში უდრის 64 პროცენტს.

კამათი ადგილებიდან გაკეთებულ მოხსენებათა გარშემო

საქართველოს სას. სამ. საკრედიტო ქსელის მდგომარეობის გარშემო (ადგილებიდან გაკეთებულ მოხსენებების მიხედვით) გაიმართა გაცხოველებული კამათი. კამათში გამოსული ამხანაგები უმთავრესად შეჩერდენ საკრედიტო ქსელის უარყოფით მხარეებზე. პირველ ყოვლისა, აღნიშნეს ღარიბთა კოოპერატიულად შესაკავშირებელ ფონდის და ღარიბთა საკრედიტო ფონდის სუსტი გამოყენება მათი დანიშნულების მიხედვით. ზოგიერთი ამხანაგები ამ მოვლენას ხსნიან იმ გარემოებით, თითქოს ღარიბები გაურბოდენ სესხის აღებას. იმ მოსაზრებით, რომ ამხანაგობებიდან მიღებული მცირე სესხი მაინც და მაინც ბევრს ვერაფერს მისცემს მათ სუსტ მეურნეობას. ამ ამხანაგებს უმჯობესად მიაჩნიათ ეს ფონდი მოხმარდეს ღარიბთა შემაკავშირებელ კოლექტიურ მეურნეობათ. ღარიბთა ფონდის განაწილებას აბრკოლებს აგრეთვე თვით წევრთა სოციალური შემადგენლობის გაურკვევლობა: არ არსებობს სწორი საზომი იმის გამოსარკვევად, თუ ვინ ჩაითვალოს ღარიბათ და ვინ მდიდრათ. მეორე დიდი ნაკლი ამხანაგთა დასკვნით,—არის საკრედიტო საქმიანობის სისუსტე სხვა ხასიათის ოპერაციებთან შედარებით: ამხანაგობები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ საკუთარ საშუალებათა დაგროვებას, კერძოთ, გლეხობის თავისუფალ თანხების (ანაბარების სახით) მოზიდვას და გატაცებულნი არიან სავაჭრო-საშემოსავლო ოპერაციებით. ამხანაგობათა დამახასიათებელი ნაკლია აგრეთვე ვადაგადაცილებულ სესხების დიდი პროცენტი, რომლის სალიკვიდაციოთ საჭიროა უფრო ენერგიული ღონისძიებები.

შემდეგ ამხანაგები აღნიშნავენ, რომ სესხის განაწილება ვერ არის სათანადოთ მოგვარებული. ცენტრალური ორგანიზაციების მიერ სესხების განაწილების მკაცრი რეგლამენტაცია ხშირად აბრკოლებს გაცემული სესხების მიზანშეწონილ განაწილებას. მათი აზრით,—ამხანაგობებს უფრო მეტი თავისუფლება უნდა მიენიჭოთ, რომ სესხის გამოყენება შეუფარდონ ადგილობრივ პირობებს. წევრთა და მოზიდულ თანხების ზრდის ნელი ტემპის მიზეზათ ამხანაგებს მიაჩნიათ საკრედიტო ქსელის ადგილობრივი აპარატის სისუსტე: გამგეობები ვერ აინტერესებენ გლეხებს თავიანთი საქმიანობით, რადგანაც საამისოდ მათ არა აქვთ საკმაო მომზადება-გამოცდილება. იმ მიზნით, რომ ჩვენი საკრედიტო ქსელი შეივსოს კვალიფიციურ ამხანაგებით, — ბოლო უნდა მოეღოს გამგეობის წევრთა ხშირ ცვალებადობას, მათ დატვირთვას სხვა—გარეშე საქმეებით და ამავე დროს მიღებულ იქნეს ზომები კვალიფიციურ პირთა მოსამზადებლად საკრედიტო ქსელისათვის. ქსელში ანგარიშ-წარმოების სათანადო სიმაღლეზე დასაყენებლად საჭიროა ერთხელ და საბოლოოდ გამომუშავდეს ანგარიშ წარმოების ფორმა. საჭიროა აგრეთვე ბოლო მოეღოს ამხანაგობათა დაუსრულებელ რევიზიებს, რომელთაც აწარმოებენ საკრედიტო ქსელის მოქმედებით დაინტერესებულნი ყველა ორგანიზაციები, რადგან ეს მეტის-მეტად აფერხებს ამხანაგობათა ნორმალურ მუშაობას და ზომაზე მეტად ტვირთავს მოანგარიშეებს. ამხანაგობათა საშუამავლო ოპერაციებს ბევრ ადგილებში ხელს უშლის რამდენიმე სამეურნეო ორგანიზაციების პარალელური მოქმედება, რასაც ბოლო უნდა მოეღოს. საშუამავლო ოპერაციები უნდა დაეკისროს სას.-სამ. საკრედიტო ქსელს. ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე ამხანაგობათა დაარსებას რაციონალურ ორგანიზაციის (ცალკე რაიონების მიხედვით. ზოგან მცირე რადიუსზე არსებობს რამდენიმე ამხანაგობა მაშინ, როცა ბევრგან ამხანაგობა სრულიად არ არის. საჭიროა აგრეთვე სამოქმედო ტერიტორიების გამიჯვნა საკრედიტო ამხანაგობებს შორის. ორატორები მოითხოვენ აგრეთვე გაძლიერდეს კულტურული მუშაობა, რომელიც ამჟამად ძალიან მოისუსტებს. ამ საქმისათვის ამხანაგობებს არ უნდა დაენანოთ თანხები, რადგან გლეხობის კოოპერატიულ შეგნებაზეა დამოკიდებული ანაბარების მოზიდვა, ვადაგადაცილებულ სესხების რაოდენობის შემცირება, საშემოსავლო ოპერაციების გაძლიერება და სხვა.

კამათის დასასრულს არჩეულ იქნა კომისია რეზოლიუციის დასამუშავებლად.

საქ. სახკომსაბჭოში

ღონისძიებანი სახელმწიფო სესხების განაღდების მოსაწესრიგებლად

სახელმწიფო სესხების საქმის მოწესრიგების მიზნით სახკომსაბჭომ და ეკ. საბჭომ საჭიროდ სცნეს შემდეგი ღონისძიებათა გატარება:

ა) მოეწყოს ფინრწმუნებულებსა და სამაზრო საფინგანებთან სავალიუტო უჯრედები თითო ინსპექტორის შედგენილობით;

ბ) წინადადება მიეცა ავტონომიურ რესპუბლიკებსა და სამაზრო ალმასკომებს, რათა მათ მიერ სესხის რეალიზაციის საქმეში ადმინისტრატიული ზომები არავითარ შემთხვევაში არ იქნეს გამოყენებული;

გ) დაევალა ფინსახკომს სისტემატიურად ჩაატაროს საგიტაციო კამპანია სახ. სესხის მნიშვნელობისა და მიღწეულ შედეგების განმტკიცების შესახებ.

დ) დაევალა ფინსახკომს, რათა სესხის საქმეში სამაზრო ერთეულებსა და თემებს შორის დამაკმაყოფილებელი კავშირი არსებობდეს;

ე) საკავშირო ფინსახკომს ა.-კ. სახკომსაბჭოს საშუალებით ეთხოვა შემდეგში დროებითი მოწმობების ნაცვლად გამოგზავნოს საჭირო რაოდენობის ობლიგაციების დედნები.

სახანძრო საქმის გაუმჯობესება

სახკომსაბჭომ და ეკ. საბჭომ საჭიროდ სცნეს ეთხოვოს ა-კ სახკომსაბჭოს გაიღოს თბილისის ალმასკომის განკარგულებაში, სახანძრო საქმის გასაუმჯობესებლად. ა.-კ. სახელმწიფო დაზღვევის სამმართველოსთან არსებულ სპეციალურ ფონდიდან, უპროცენტო სესხის სახით 200.000 მან. თბილისის სახანძრო რაზმის მეორე ნაწილისათვის საჭირო შენობის ასაგებად და სახანძრო სიგნალიზაციის მოსაწყობად.

ნავთის სინდიკატის დამატებითი რეზერვუარების აგების შესახებ

სახკომსაბჭომ და ეკ. საბჭომ გამოჰყო კომისია ამხ. ავაქოვის (თავმჯდომარე), კალანდაძის, ლუნკევიჩის და აჭარისტანის სახალხო კომისართა საბჭოს ორი წარმომადგენლის შედგენილობით, რომელსაც დაევალა ადგილობრივ გამოიკვლიოს საკითხი ნავთის სინდიკატისათვის ბათომში დამატებითი რეზერვუარების ასაგებად მიწის ნაკვეთის დათმობის შესახებ.

ახალი კანონი გამოგონებათა შესახებ

გამომგონებლობისათვის ხელის შემწყობმა ცენტრალურმა ბიურომ და საკავშირო სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს უფლებრივმა განყოფილებამ შეიმუშავეს ახალი კანონი გამოგონებათა შესახებ, რომელიც საგრძნობათ ამარტივებს პატენტების გამოცემის არსებულ სისტემას.

პროექტი სრულიად ახალ სოციალურ-უფლებრივ ბაზას უქმნის არსებულ საპატენტო კანონმდებლობას. პატენტების გაცემის არსებული სისტემა მოითხოვდა გამოგონების სიახლის ხანგრძლივ და რთულ შემოწმებას, ეს იწვევდა გადაუწყვეტელ საქმეების დაგროვებას და პატენტის აღების სიძვირეს. ამავე დროს, გამოგონების სიახლის გამორკვევა სრულიად არ იძლევა გამოგონების სარგებლიანობის გარანტიას და უარყოფილ განცხადებათა შორის ბევრი მეტად სასარგებლო წინადადებებია ხოლმე.

ამიტომ, ახალი კანონი —აგებული იქნება მხოლოდ და მხოლოდ ამა თუ იმ გამოგონების ტეხნიკურ და ეკონომიურ სარგებლიანობის პრინციპზე. ამ სარგებლიანობას გამოარკვევს გამომგონებლობისათვის ხელისშემწყობი ცენტრალური ბიურო, ამრიგად, ახალი კანონი შეეხება გამომგონებლობის მთელ პრობლემას (და არა მხოლოდ პატენტების და სამრეწველო ნიმუშების საკითხს) და, თავისთავად ცხადია, მთელ იმ ღონისძიებათა სისტემასაც, რომელიც მიზნათ ისახავს გამომგონებლობის საქმის განვითარებას და გამომგონებელის მოთხოვნილება-საჭიროებათა დაკმაყოფილებას.

თვით დაპატენტებას მოახდენს პატენტების გამცემი სპეციალური კომიტეტი, დანიშნული საკავშირო სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს მიერ. კომიტეტი არ აწარმოებს გამოგონების სიახლის ან სარგებლიანობის შემოწმებას, მაგრამ, თუ პატენტის გაცემის დროს გამოირკვა, რომ გამომგონებელის განცხადება შეეხება შემცდარ, განუხორციელებელ ან აშკარად მოძველებულ გამოგონებას, პატენტი არ იქნება გაცემული. ამ შემთხვევაში გამომგონების ავტორს შეუძლია დადგენილება მისი გამოგონების შესახებ გაასაჩივროს სპეციალურ ორგანოში—საჩივართა კოლეგიაში და მაშინ უკვე დანიშნული იქნება ექსპერტიზა, ასეთი წესის შემოღების წყალობით, ორწლიანი ვადა, რომელიც საჭირო იყო დადგენილების გამოსატანად პატენტის გაცემის შესახებ, მოკლდება ორ თვემდე. მაგრამ, ამ შემთხვევაში. შესაძლებელია მოხდეს, რომ პატენტი გაცემული დარჩება აშკარად ძველ გამოგონებაზე, რომელიც უკვე გამოყენებულია ამა თუ იმ პირის ან დაწესებულების მიერ. ამიტომ ახალი კანონის პროექტის მიხედვით, იმ პირებსა და დაწესებულებებს, რომელთა ინტერესებს ირღვევა გაცემული პატენტით, ხუთი წლის ვადაში შეუძლიათ განასაჩივრონ საქმე საჩივართა კოლეგიაში. ამრიგად, გამოგონების სიახლის ექსპერტიზა მოხდება მხოლოდ მხარეთა მოთხოვნით.

შემოდგომის თესვა

თესვის შეფერხებისათვის

როგორც სიღნაღიდან იტყობინებიან სიღნაღის სასოფლო-სამეურნეო საწარმოო ტრესტს ყოფ. სიღნაღის მაზრაში არსებულ 33 ტრაქტორის მობილიზაცია მოუხდენია შირაქის საბჭოთა მეურნეობის 1500 დესეტინა მიწის მოსახნავათ.

შემოდგომის თესვის კამპანიის ჩამტარებელ რესპუბლიკანურმა კომისიამ განიხილა რა ეს ფაქტი, დაადგინა ყოფ. სიღნაღის მაზრის სასოფლო-სამეურნეო ტრესტის მოქმედება ჩათვალოს თესვის კამპანიის საზიანოთ და დაუშვებლად. აღნიშნულმა ტრესტმა ტრაქტორების ერთ ადგილზე თავის მოყრით საფრთხეში ჩააგდო ადგილებზე თესვის კამპანიის წარმატებით ჩატარების საქმე, ამიტომ რესპუბლიკანურმა კომისიამ წინადადება მისცა ტრესტს დაუყოვნებლივ დააბრუნოს ადგილებზე მობილიზაციქმნილი ტრაქტორები.

თესვის კამპანია კახეთის მაზრაში

კახეთის მაზრიდან მიღებული ცნობით მაზრაში მიწების დახვნა წარმატებით სწარმოებს. სათესლე მასალის მიწოდება დამთავრდება ამ დღებში. ზოგ ადგილებში თესვა უკვე დაწყებულია.

სათესლე მასალის მოსაწამლავათ სულ მიღებულია 509 კილოგრამი ფორმალინი, რომელიც დანაწილებულია რაიონებს შორის.

გარდა ამისა საჩვენებელ ნაკვეთების მოსაწყობათ მიწსახკომიდამ მიღებულია 485 კილოგრამი საქონლის საკვები ბალახების თესლი.

საქ. აბრეშუმის ტრესტში

გადასვლა 7 საათის სამუშაო დღეზე

ტრესტს განზრახული აქვს მიმდინარე წლის პირველ კვარტალში გადაიყვანოს შვიდი საათის სამუშაო დღეზე თელავის აბრეშუმის ქარხანა, სადაც 250 მუშა მუშაობს.

ქუთაისის ქარხანა

აბრეშუმის ძაფის სალები ქარხანა ქუთაისში ნაწილობრივ მზად იქნება ასამუშავებლად ნოემბრის პირველ რიცხვებში. ქარხანა იმუშავებს ორ წყებათ, ჰყავნილი იქნება სამუშაოდ 720 მუშა. ქარხანაში იდგმება 96 ავზი, ს. მ. უ. ს. ლითონტრესტში დამზადებული. დანარჩენი 48 ავზი კი გადატანილია ხონიდან. სულ იმუშავებს 144 ავზი.

ნედლი მასალით ქარხანა უზრუნველყოფილია პარკის ახალ მოსავლამდე.

სატრიკოტაჟო ქარხანა

„საქართველოს აბრეშუმი"-ს ტრესტმა გამოიწერა გერმანულ სატრიკოტაჟო ქარხნის მთელი მოწყობილება. მანქანები მიღებული იქნება მოკლე დროში. განზრახულია თბილისში მოეწყოს აბრეშუმის ტრიკოტაჟის დასამზადებელი ქარხანა. ქარხანა გამოიმუშავებს უმაღლესი ხარისხის ჩულქებს. ქარხანაში იმუშავებს ას მუშამდის.

აბრეშუმის საქსოვი ქარხნის გაფართოება

აბრეშუმის საქსოვი ქარხნის გაფართოების მიზნით აბრეშუმის ტრესტმა მოსკოვში შეიძინა ახალი 80 საქსოვი დაზგა. დაზგები ნაწილობრივ უკვე გამოიგზავნა თბილისში, დანარჩენი მოკლე დროში გამოიგზავნება.

ახალი ქარხნის მოწყობა განზრახულია თამბაქოს ტრესტის მესამე ქარხნის შენობაში (ყოფილი ბოზარჯიანცის ქ-ნა). იქვე იქნება გადატანილი საბჭოთა ქუჩაზე არსებული ქარხანა. ამრიგად მიმდინარე საბიუჯეტო წელში თბილისში მოეწყობა ერთი დიდი საქსოვი ქარხანა 100 დაზგით.

ორი წყება მუშებით ქარხანაში იმუშავებს 500 მუშა და წლიურად მოიქსოვება 440,000 მეტრი აბრეშუმის ქსოვილი.

საქ. ცაკის პრეზიდიუმში

არქივის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად

საქართველოს ცაკის პრეზიდიუმმა განიხილა საქართველოს ცენტრალურ არქივის მდგომარეობა და მის დაწვრილებით შესასწავლად გამოყო ცალკე კომისია ამხ. **ვარძიელის** (თავმჯდომარე), **კანდელაკის, იობიძის** და **თ. ჟღენტის** შემადგენლობით. კომისიას აგრეთვე დავალებული აქვს შეიმუშაოს კონკრეტიული ღონისძიებები ცენტრ. არქივის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

მეხანძრეთა რაზმის დაჯილდოება

საქ. ცაკის პრეზიდიუმმა დაადგინა თავდადებული და ენერგიულ მუშაობისათვის თბილისის მეხანძრეთა რაზმი დაჯილდოებული იქნეს შრომის ორდენით, ხოლო რაზმის უფროსი ამხ. ბერიძე საათით.

დამსახურებული მხატვარი

განათლების კომისარიატის შუამდგომლობის თანახმად, საქ. ცაკის პრეზიდიუმმა დაადგინა მხატვარ **გიგო გაბაშვილს** მიენიჭოს დამსახურებული მხატვარის სახელწოდება. მისი ნივთიერათ უზრუნველყოფის საკითხი გადაეცა საქ. სახალხო კომისართა სა-

წითელ ჯარში მორიგ გაწვევის შედეგები

(საუბარი საქ. ტერიტორიალურ სამმართველოს უფროსთან ამხ. ს. ბუაჩიძესთან)

1906 წელში დაბადებულ ახალგაზრდების წითელი ჯარის რიგებში გაწვევის დამთავრების გამო, ჩვენი გაზეთის თანამშრომელი ესაუბრა საქართველოს ტერიტორიალურ სამმართველოს უფროსს ამხ. ს. ბუაჩიძეს, რომელმაც გაწვევის შედეგების შესახებ განაცხადა შემდეგი:

მორიგი გაწვევა წითელი ჯარის რიგებში, შედარებით გასული წლის გაწვევასთან, ჩატარდა წარმატებით.

წინასწარი სამზადისი გაწვევისათვის ტერიტორიალურმა სამმართველომ დაიწყო მიმდინარე წლის თებერვალში. ჩატარებულ იქნა კამპანია გასაწვევთა შეღავათების გამოსარკვევად. ამ კამპანიაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს თვით გასაწვევ ახალგაზრდობამ და ადგილობრივმა ხელისუფლებამ.

გაწვევამდე გამორკვეულ იქნა გასაწვევთა 80 პროცენტის ოჯახურ-ქონებრივი მდგომარეობა და შესაძლებელი შეიქნა შეღავათების სათანადოთ განაწილება, დანარჩენმა 20 პროცენტმა ვერ მოასწრო სხვადასხვა მიზეზების გამო შეღავათების საკითხის მოგვარება. ასეთებს ნება დაერთო კენჭის ამოღებამდე მოაგვარონ შეღავათების საკითხი, რადგან ჯარის ნაწილში ჩარიცხვის შემდეგ დიდათ გაძნელდება განთავისუფლება სამსახურიდან ოჯახურ ქონებრივ მდგომარეობის გამო.

წარმატებით ჩატარდა აგრეთვე გამორკვევა ზურგის ნაწილებში ჩასარიცხავ მოქალაქეთა, რომლებიც საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის ძალით მოკლებულნი არიან არჩევნების უფლებას, უნდა აღინიშნოს, რომ მთელი მუშაობა ხსენებულ მოქალაქეთა გამოსარკვევად და მათ გადასარიცხათ ზურგის ნაწილებში მიმდინარეობდა მხოლოდ გაწვევის პროცესში.

საგიტაციო-საპროპაგანდო და პოლიტიკური მუშაობა გასაწვევ პუნქტებზე კარგათ იყო დაყენებული.

გაწვევის დაწყებამდე ადგილებზე შექმნილ იქნა სათანადო კომისიები, რომლებმაც შესძლეს გასაწვევთა მთელი ასი პროცენტის ჩაბმა პოლიტმუშაობაში, ამით აიხსნება ის გარემოება, რომ გამოცხადება გაწვევაზე იყო დამაკმაყოფილებელი და ადგილი არ ჰქონია გაწვევის თავიდან აცილების ცდას და დამალვა-დეზერტირობას.

მე თვითონ დავათვალიერე რამდენიმე გასაწვევი პუნქტი და დავრწმუნდი, რომ მუშაობა გასაწვევთა შორის კარგათ იყო დაყენებული. ამ მუშაობაში უახლოესი და აქტიური მონაწილეობა მიიღეს პარტ. და კომკავშირის ორგანიზაციებმა.

მოსახლეობისათვის, რომ გაადვილებული ყოფილიყო გაწვევაზე გამოცხადება, შემოღებულ იქნა გასაწვევ კომისიების გაგზავნა ცენტრიდან რაიონებში. სათანადო თანხების სიმცირის გამო, გვიხდებოდა ადგილობრივი ალმასკომების თანხებით სარგებლობა. აქაც ადგილობრივი ხელისუფლება გვიწევდა მატერიალურ დახმარებას და გვიადვილებდა მუშაობის წარმოებას.

პარტიული და კომკავშირის ორგანიზაციები იღებდნენ მხურვალე მონაწილეობას აგრეთვე გამწვევი კომისიების მუშაობაში. ასევე არ ითქმის თავდაცვა-ავიაქიმზე და ჯარის ნაწილებზე, რომელთა მონაწილეობა გაწვევაში იყო არა დამაკმაყოფილებელი. ეს უკანასკნელნი არ აწარმოებდნენ თითქმის არავითარ საგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობას.

ლოზუნგი: „100 პროცენტით გამოცხადება გაწვევაზე"—თითქმის მთლიანად არის გატარებული ცხოვრებაში. მიმდინარე გაწვევაზე არ გამოცხადებულა მხოლოდ გასაწვევთა 7 პროცენტი. ამაში მთლიანად შედიან მოსწავლენი, რომელთა საკითხი ჯერ-ჯერობით არ არის გამორკვეული. მოსწავლენი მიემგზავრებიან რა თბილისში უმაღლეს სასწავლებლებში შესასვლელად, არ ცხადდებიან კომისარიატში აღრიცხვიდან მოსახსნელად, რაც დიდათ ართულებს საქმეს.

დიდათ უშლის გაწვევას ხელს ის გარემოებაც, რომ გაწვევა წითელ ჯარში და გამოცდები სასწავლებლებში სწარმოებს ერთ და იმავე დროს. საჭიროა ან გაწვევის, ან გამოცდების გადატანა სხვა რიცხვებში. ეს საკითხი შეთანხმებული იქნება მომავლისათვის განათლების სახალხო კომისარიატთან.

ჩატარებულმა გაწვევამ მისცა წითელ ჯარს სავსებით ჯანმრთელი ახალგაზრდობა, რაც იმის შედეგია, რომ გასაწვევთა საქმეზე შემოწმება სწარმოებდა გულდასმით. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ 1906 წ. დაბადებულთა შორის მეტი წილი იყო სავსებით ჯანმრთელი და მაგარი აგებულებისა.

ჯარში გაწვეულთა შორის კომკავშირელთა რიცხვი აღწევს თითქმის 40 პროცენტს. დიდია აგრეთვე წერა-კითხვის მცოდნეთა რიცხვიც.

მომავლისათვის საჭიროა მიექცეს ყურადღება შემდეგ გარემოებას: ადგილობრივი ალმასკომები გასაწვევ ახალგაზრდებს ხშირად აძლევენ ისეთ მოწმობებს, სადაც სწორად არ არის აღნიშნული გასაწვევის ოჯახურ-ქონებრივი მდგომარეობა, ასეთ მოწმობებს გამწვევი კომისიები შეჰყავთ შეცდომაში. საჭიროა შემოღებული იქნეს მოქალაქეების ოჯახური მდგომარეობის მკაცრი აღრიცხვა.

უნდა მიექცეს ყურადღება ზურგის ნაწილებში გადასარიცხავ მოქალაქეების აღრიცხვას, რაც შეადგენს ადმინისტრატიულ ორგანოების მოვალეობას. წრეულს ზურგის ნაწილებში ჩარიცხულია გასაწვევთა თითქმის 3 პროცენტი, მაშინ, როდესაც გასულ წელს ეს პროცენტი იყო სრულიად უმნიშვნელო.

ადმინისტრატიულ ორგანოებმა უნდა წინასწარ შეადგინონ იმ მოქალაქეების სია, რომელნიც მოკლებულნი არიან არჩევნების უფლებას.

გაწვევის მთავარი პერიოდი—დასძინა ამხ. ბუაჩიძემ—დამთავრებულია. 20 ოქტომბრიდან დაწყება კენჭის ამოღება. იმ გაწვეულებს, რომლებიც დაინიშნებიან საკადრო ნაწილებში, მიეცემათ ორი კვირის შვებულება შინაურ საქმეების მოსაწესრიგებლად. რის შემდეგაც დაიწყება გაწვეულთა გაგზავნა ნაწილებში.

საკადრო ნაწილებში ჩაირიცხებიან ისინი, ვისაც არ აქვთ არავითარი შეღავათი ოჯახურ-ქონებრივ მდგომარეობის მიხედვით. კენჭის ამოღების დროსვე იწარმოებს შეღავათიანების მიწერა ტერიტორიალურ ნაწილებზე.

ტყვარჩელის ქვანახშირის დამუშავების დაწყების წინ

მუშა ხელი ტყვარჩელის მაღაროებისათვის

რადგან აფხაზეთში ადგილობრივი მუშების უმრავლესობა მომზადებული არ არის სამთო მუშაობისთვის, ამიტომ საქართვ. სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა საჭიროდ სცნო მუშებმა წინასწარ შეისწავლონ მუშაობა დონბასის მაღაროებში. იმ დროისთვის, როდესაც ტყვარჩელში მუშაობა დაიწყება, ე. ი. 1930-31 წლისთვის, მზად უნდა იყოს კვალიფიციურ მუშათა საკმაო კადრი. სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს აზრით, მუშათა და ტეხნიკური პერსონალის მოსამზადებლად საჭიროა ხუთი წლის განმავლობაში 500.000 მანეთი. (ადს).

ნახშირის დაკარგვის წინააღმდეგ

ტყვარჩელის ქვა-ნახშირის მაღნების დამუშავების პროექტის მიხედვით ,ფიქრობენ ქვა-ნახშირის ამოღების დროს ტყვარჩელში დაიკარგება მთელი მარაგის ერთ მესამედამდე. ეს დანაკლისი მთელ ტყვარჩელში შეადგენს 33 მილიონ ტონა ქვა-ნახშირს, ე. ი. იმდენს, რამდენიც საკმარისი იქნება ამ.-კავკ. ს.ფ.ს. რესპუბლიკისათვის 80 წლის განმავლობაში. რადგანაც ეს დანაკლისი მეტად დიდია ,ამიტომ საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმმა საჭიროდ სცნო დამატებითი დამუშავება საკითხისა ნახშირის ამოღების უფრო რაციონალური სისტემების შესახებ.

საკითხის დამუშავებაში ჩაბმულნი იქნებიან საბჭოთა კავშირისა და უცხოეთის ცნობილი სპეციალისტები (ადს).

მასწავლებელთა შრომის დაცვა

ამიერ-კავკასიის შრომის სახალხო კომისარიატმა რესპუბლიკანურ შრომის სახალხო კომისარიატებს დაუგზავნა შემდეგი შინაარსის ცირკულიარული წერილი: ამიერ-კავკასიაში ხშირია შემთხვევა, როცა ესა თუ ის მასწავლებელი ერთი ადგილიდან სრულიად უმიზეზოთ გადაყავთ სხვა ადგილზე. არის მასწავლებელთა სამსახურიდან უკანონოთ მოხსნის შემთხვევებიც, რაც იწვევს მასწავლებელთა შორის სამართლიან უკმაყოფილებას და ერთგვარი არევდარევა შეაქვს მათ მუშაობაში.

მასწავლებელთა ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე გადაყვან-გადმოყვანა და სამსახურიდან მოხსნა ხდება უმთავრესად არა საქმის ინტერესების მიხედვით, არამედ პირადი ინტრიგებისა და მიზეზების გამო.

ამ არანორმალურ მდგომარეობის მოსასპობათ და შემდეგში მასწავლებელთა უდანაშაულოთ დასჯის თავიდან ასაცილებლად, ადგილობრივ შრომის ორგანოებს ევალებათ გააძლიერონ მეთვალყურეობა და მიიღონ ზომები, რათა ადგილი აღარ ექნეს მასწავლებელთა უმიზეზოთ გადაყვან-გადმოყვანას და მათ სამსახურიდან უსაფუძვლოდ მოხსნას.

რესპუბლიკანურ შრომის კომისარიატებს ევალებათ გააუქმონ მასწავლებელთა უკანონოთ სამსახურიდან მოხსნისა, ან ერთი ადგილიდან მეორეზე უმიზეზოთ გადაყვანის შესახებ საკონფლიქტო კომისიების მიერ გამოტანილი დადგენილებები და დამნაშავენი გადასცენ პროკურატურას.

თბილისის საბჭოს სექციების მუშაობის გასაცხოველებლად

თბილისის საბჭოს პრეზიდიუმმა მოისმინა რა ამხ. აკოფოვის მოხსენება სექციების მუშაობის გაცხოველების შესახებ, დაადგინა: სექციების მუშაობის გაცხოველებისა და მათი რიცხვობრივათ გაზრდის მიზნით მიღებულ იქნეს ზომები სექციებზე მუშა-მოსამსახურეების, სტუდენტების, უკანასკნელ ჯგუფის მოსწავლეების, ექიმების და კოოპერაციის დარგში მომუშავეთა მისამაგრებლად.

სექციების ბიუროების შემადგენლობაში გაყვანილი უნდა იქნეს რაც შეიძლება მეტი მუშური ელემენტი და ბიუროს თავმჯდომარეებს დაენიშნოთ მოადგილეები.

სექციების მუშაობასთან ფართო მასების დაახლოვების მიზნით, პრეზიდიუმის დადგენილებით სექციების აპარატში ამიერიდან მუშაობა იწარმოებს დილის 12 ს. საღამოს 6 ნახ. საათამდე.

გარდა ამისა განსაზღვრულ დღეებში შემოღებული იქნება ბიუროების თავმჯდომარეთა და მათი მოადგილეთა მორიგეობა.

ვინაიდან ორშაბათი სექციების მასიური მუშაობის დღეა, პრეზიდიუმმა დაადგინა: ეცნობოს ყველა წარმოება - დაწესებულებებს—ორშაბათობით არ დანიშნონ კრებები, რათა სექციების წევრებს და სექციებზე მიმაგრებულებს საშუალება ექნეს მონაწილეობა მიიღონ სექციების მუშაობაში.

განყოფილებებს დაევალა თავიანთი მუშაობის გეგმა შეუთანხმონ სათანადო სექციების მუშაობას და განყოფილებების კოლეგიებში გაყვანილი იქნენ სექციის თავმჯდომარეები, ან მათი მოადგილეები ურთიერთ შორის მჭიდრო კავშირის დამყარების მიზნით.

განყოფილებების გამგეებს ევალება სისტემატიურათ დაესწრონ ბიუროების სხდომებს.

პრეზიდიუმმა დაადგინა აგრეთვე, რომ სექციის პასიური წევრები გამორიცხულნი იქნენ საბჭოს შემადგენლობიდან და ამის შესახებ ეცნობოს ამომრჩევლებს.

სექციის წევრებს ევალებათ გააკეთონ მოხსენებები წარმოება - დაწესებულებებში სექციების მუშაობის შესახებ.

პრეზიდიუმის დადგენილების ცხოვრებაში გატარებას უკვე შეუდგა ალმასკომის საორგანიზაციო განყოფილება.

თბილისის ბაზრების მოწესრიგება

თბილისის საბჭოს სავაჭრო-კოოპერატიულმა სექციამ მოახდინა თბილისის ბაზრების მდგომარეობის გამოკვლევა. გამოკვლევამ ნათელჰყო, რომ ბაზრები ჯერ კიდევ კერძო ვაჭრების ხელშია და კოოპერაციას უჭირავს მხოლოდ უმნიშვნელო ადგილი.

იმ ადგილებში, საიდანაც სოფლებიდან შემოდის სანოვაგე, ჩარჩები გზაში ხვდებიან გლეხებს და ჩალის ფასად აცლიან ხელიდან საქონელს, შემდეგ კი ორმაგ ფასებში ჰყიდიან.

ბაზრები ადრე იხურება და გვიან ჩამოსული გლეხები იძულებულნი არიან სანოვაგე იაფად მიჰყიდონ კერძო ვაჭრებს. გარდა ამისა ბაზრებზე ვაჭრობის ადრე შეწყვეტის გამო მუშა-მოსამსახურეებს საშუალება ესპობა უშუალოდ შეიძინოს გლეხებისაგან მათთვის საჭირო პროდუქტები.

აღსანიშნავია, რომ მაზრიდან შემოსულ საქონელს დიდი გადასახადი ედება, რაც ხელს უწყობს საქონლის გაძვირებას.

გამოკვლევის დროს აღმოჩნდა აგრეთვე, რომ არც ერთი ბაზარი არ არის კეთილმოწყობილი და იმყოფება ანტისანიტარულ მდგომარეობაში.

სექციამ დაადგინა: მიღებული იქნეს ზომები ბაზრების დაჩქარებით და ყოველმხრივ კეთილმოსაწყობათ, დაევალოს კოოპერატიულ ორგანიზაციებს ბაზრებში გაადიდონ თავიანთი სავაჭრო პუნქტების ქსელი და მთლიანად დაიპყრონ ბაზარი. წინადადება მიეცეს ვაჭრობის მომწესრიგებელ განყოფილებას შეუდგეს ბაზრების მოწესრიგების საქმეს და ამ მიზნით დაარსოს საბაზრო კომიტეტები, უკანასკნელთა მუშაობის ზედამხედველობა და ხელმძღვანელობა დაეკისროს სავაჭრო კომისიას.

ვინაიდან თბილისის ბაზრები სრულებით მოკლებულია სანიტარულ ხელმძღვანელობას, ჯანმრთელობის განყოფილებას უნდა დაევალოს მოახდინოს ბაზრების ანტისანიტარული მდგომარეობის სრული გამოკვლევა და მიიღოს ენერგიული ზომები ანტისანიტარულ პირობების მოსასპობად.

სექციის წინადადებით ალმასკომთან არსებული ვაჭრობის მომწესრიგებელ კომისიამ გადასწყვიტა ახლო ხანში მოიწვიოს სასოფლო-სამეურნეო და სამომხმარებლო კოოპერაციის წარმომადგენელთა თათბირი თბილის. ბაზრების მდგომარეობასთან დაკავშირებულ საკითხების განსახილველად. თათბირზე აგრეთვე მოწვეულნი იქნებიან დაინტერესებულ ორგანიზაციათა წარმომადგენლებიც.

ქრონიკა

ამხ. გ. კუჭაიძის დაბრუნება

ჯანმრთელობის სახალხო კომისარი ამხ. გ. კუჭაიძე დაბრუნდა შვებულებიდან და შეუდგა თავის მოვალეობის შესრულებას.

ამხ. ჩხენკელის დაბრუნება

ამ დღეებში მოსკოვიდან თბილისში დაბრუნდა ამიერ-კავკ. სასოფლო-სამ. ბანკის გამგეობის თავმჯდომარე ამხ. ჩხენკელი.

წითელი ჯვრის სამაზრო კომიტეტების კონფერენცია

მიმდინარე წლის 15 ოქტომბერს საქართველოს წითელი ჯვრის ცენტრალური კომიტეტი იწვევს ავტონომიურ რესპუბლიკების წითელი ჯვრების და წითელი ნახევარი მთვარის და სამაზრო კომიტეტების თავმჯდომარეთა კონფერენციას. კონფერენცია განიხილავს შემდეგ საკითხებს: წითელი ჯვრის საზოგადოების ეკონომიური მდგომარეობა, 1928—29 წლის ბიუჯეტი და მასიური მუშაობის საკითხები.

მატყლის დამზადება

სოფლის კავშირი მიმდინარე წლისათვის დაამზადებს 63.450 ფუთ შემოდგომის მატყლს.

ამინდი კურორტებზე

საკურორტო სამმართველოში მიღებული ცნობებით კურორტ-წყალტუბოში 7 ოქტომბრიდან კარგი დარები დაიჭირა. 1-ლიდან 7 ოქტომბრამდე კურორტზე არ მუშაობდენ აბანოები. ამინდების გამოკეთების გამო კურორტს დიდძალი მოაგარაკე მიაწყდა.

საკურორტო სეზონი წყალტუბოში დაიხურება 20 ოქტომბერს.

აბასთუმანში წვიმიანი და ღრუბლიანი ამინდებია.

სკოლის შენობის ტიპი

თბილისის აღმასკომის საგეგმო კომისიამ დაამტკიცა თბილისის მაზრაში ასაგებ ახალ სასკოლო შენობების ტიპი, რომლის მიხედვით სკოლის შენობებს ექნება 5 სასწავლო დარბაზი, ოთახები კანცელიარიისათვის, ბიბლიოთეკისათვის და სამასწავლებლო ოთახი. გარდა ამისა სკოლას ექნება ბინები გამგისათვის და დარაჯისათვის. სკოლასთანავე მოწყობილი იქნება სამზარეულო, საიდანაც ბავშვებს მიეცემათ ცხელი საუზმე.

ფიზკულტურისა და საცდელ სასწავლო მუშაობის საჭიროებისათვის სკოლასთან მოეწყობა სპეციალური მოედნები.

პროექტის მიხედვით მთელი სკოლის შენობა აგებული იქნება გიგიენური პირობების სრული დაცვით და აგრეთვე იმ ვარაუდით, რომ მისი გაფართოება შესაძლებელი იქნეს საჭიროების მიხედვით.

თბილისის აღმასკომში

◆ რადიოფიკაცია. აღმასკომის პოლიტგანი თბ. მაზრაში წელს გახსნის 14 ახალ მიმღებ რადიო-სადგურს.

◆ გლეხთა ახალგაზრდობის სკოლები. განათლების განყოფილებას გადაწყვეტილი აქვს ერწოში გახსნას გლეხთა ახალგაზრდობის სკოლა.

◆ ბრძოლა წერა-კითხვის უცოდინარობასთან. თბილისის აღმასკომის ხარჯზე თბილისში ამ დღეებში გაიხსნება 30 ლიკსკოლა.

◆ რაციონალიზაციის სექცია. აღმასკომთან არსებული რაცბიურო უქმდება. მის ნაცვლად საგეგმო კომისიასთან არსდება რაციონალიზაციის ჩამტარებელი სექცია.

სხვადასხვა

◆ განათლების მუშაკთა კრება. დღეს, 12 ოქტომბერს დილის 1-ლ საათზე სახ. უნივერსიტეტის ქიმიურ აუდიტორიაში შესდგება სახელმწიფო უნივერსიტეტის ადგილკომში შემავალ განათლების მუშაკთა კავშირის წევრების საერთო კრება.

დღის წესრიგშია: 1) მოხსენება განათლების მუშაკთა კავშირის ცენტრალური გამგეობის განვლილ მუშაობის შესახებ და 2) საქართველოს ყრილობისათვის დელეგატების არჩევა. კრებაზე დასასწრებლად 1 საათისათვის ყველა თანამშრომლები განთავისუფლებულნი არიან სამსახურიდან.

—:—

შემთხვევები

მკვლელობა

თბ. მაზრის სოფ. ძეგნაკორაში ამავე სოფლის მცხოვრებმა ვანო როსტიაშვილმა თოფით მოკლა დარო მიტროს ასული დრიაშვილი. მკვლელობის მიზეზი გამოურკვეველია. მკვლელი შეიპყრეს.

ჯიბგირობა

10 ოქტომბერს, ღამის 12 საათზე მოქალაქე სოლო გასიევი ჯორჯიაშვილის ქუჩაზე პაპიროსის მოსაკიდებლად შეაჩერა უცნობმა მოქალაქემ, რომელმაც პაპიროსის მოკიდების დროს გასიევს ჯიბიდან ამოართვა 30 მანეთი და მიიმალა.

თავის მოწამვლა

10 ოქტომბერს, ღამით კონსტანტინე ალექსანდრეს ძე ლორთქიფანიძემ (მცხოვრები ლერმონტოვის ქ. 7) სიმთვრალის დროს გამოსაფხიზლებელ წამლის მაგიერ შეცდომით დალია სხვა წამალი და მოიწამლა. ლორთქიფანიძეს სასწრაფოდ აღმოეჩინა საექიმო დახმარება, რის შემდეგ დატოვებული იქნა თავის ბინაზე.

ქურდობა

10 ოქტომბერს (მეტეხის შესახვევი 4) გაქურდეს ეკატერინე ეგიაზაროვის ბინა;—მორგებული გასაღების საშუალებით გაქურდეს გიორგი დევდარიანის ბინა (არსენალის შესახ. 1);—გიორგი მამინოშვილს ბინიდან მოჰპარეს 100 მ. ღირებული ხალიჩა.

სასამართლო

გამფლანგველი სახკინმრეწვში

ალექსანდრე პეტრესძე ივანოვი ა-წ. თებერვლამდე მსახურობდა საქართველოს კინო-მრეწველობის სააქციო საზოგადოებაში ადმინისტრატორის თანამდებობაზე.

ადმინისტრატორობა სახკინმრეწვში საკმაოდ საპასუხისმგებლო თანამდებობაა, რაც თუნდაც იქიდანაც სჩანს, რომ ივანოვს პირად ანგარიშის ქვეშ ეძლეოდა საკმაოდ მოზრდილი თანხები, რომლებიც მას უშუალოდ უნდა გამოეყენებია სხვა და სხვა სურათების დადგმის საჭიროებისათვის.

ივანოვი იმთავითვე დაადგა პირადი სარგებლობის, ე. ი. „გამოსარჩენის“ მიღების გზას.

საქვეანგარიშო თანხებიდან ალექსანდრე ივანოვმა გაფლანგა 1065 მანეთი და როცა სარევიზიო კომისიამ და ექსპერტებმა დაუმტკიცეს მას ამ თანხის მითვისება, ივანოვმა იმდენი „ვაჟკაცობა“ გამოიჩინა, რომ აღიარა თავისი დანაშაული, მხოლოდ ერთი შესწორებით: ამ თანხიდან მხოლოდ 933 მანეთი მაქვს გაფლანგული, ეს კარგად მახსოვს, დანარჩენის კი არაფერი ვიციო.

ალექსანდრე ივანოვის საქმე დანიშნულია გასარჩევად თბილისის სამაზრო სასამართლოში 23 ოქტომბრისათვის.

—:—

გაფლანგვა

ალექსანდრე მიხეილისძე ოსიპოვი 1926 წ. მარტიდან „ზაკგოსტორგ“-ის არდებილის სააგენტოს კანტორის გამგედ ითვლებოდა.

მის მოვალეობას წარმოადგენდა „ზაკგოსტორგ“-იდან საქონლის მიღება და რეალიზაცია ადგილობრივ ბაზარზე.

ოსიპოვს თავისი მუშაობა უნდა შეეთანხმებია „ზაკგოსტორგ“-ის თავრიზის კანტორასთან, რომლისთვისაც უნდა ჩაებარებია მის მიერ გაწეულ სავაჭრო ოპერაციის ანგარიში.

მაგრამ ამას ოსიპოვი არ სჩადიოდა. ის ანგარიშს არ უწევდა თავრიზის კანტორას, მუშაობდა დამოუკიდებლად, ეწეოდა ისეთ ხარჯებს, რომლის გაწევის უფლება მას არ ჰქონდა, რითაც საგრძნობი ზარალი მიაყენა დაწესებულებას.

გასული წლის ივნისში ალექსანდრე ოსიპოვი მოხსნეს, როგორც უვარგისი და მოსთხოვეს ანგარიშის ჩაბარება.

შემოსავალ-გასავლის საბუთების გადასინჯვის შემდეგ ოსიპოვს აღმოუჩინეს გაფლანგული 1.683 მანეთი, რისთვისაც ის პასუხისგებაში იქნა მიცემული.

საქმე გუშინ გაარჩია თბილისის სამაზრო სასამართლომ.

ბრალდებულს დაუმტკიცდა ზემოდ აღნიშნული თანხის მითვისება და მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა ერთი წლით სასტიკი იზოლიაციით.

მსჯავრდადებულზე გავრცელდა გასული წლის ამნისტია, რომლის ძალით პატიმრობისაგან განთავისუფლებულ იქნა.

ოსიპოვმა უნდა გადაიხადოს „ზაკგოსტორგ“-ის სასარგებლოდ 1.683 მანეთი, რომელიც პირად საჭიროებისათვის მოიხმარა.

სასამართლოს შემადგენლობა: თავმჯდომარე—**რ. კალანდაძე**, სახალხო მსაჯულები—**ვასიუკი და გვასალია**, პროკურორი—**შონია**, მდივანი—**გოგორიშვილი**.

—:—

ყაჩაღების გასამართლება

აჭარისტანის უზენაესი სასამართლო შეუდგა ცნობილ ყაჩაღების: **სერგო კუნჭულიას, ბებურა ნაჭყებიას, გიორგი რუხაძის და მელიტონ სარიშვილის** გასამართლებას.

მათ ბრალად ედება ბანდიტური ორგანიზაციის მოწყობა და სისტემატიური ყაჩაღობა.

გასული წლის 5 მარტს ისინი შეიარაღებულნი თავს დაესხენ გერმანიის ქვეშევრდომ **ლიუდოვიგ ბეკერს**, რომელსაც წაართვეს 300 მანეთამდე.

იმავე წლის 16 მაის მათ კვლავ განიმეორეს თავდასხმა იმავე მოქალაქეზე და წაიღეს 1.300 დოლარი და 10 ჩერვონეცი.

გათავხედებული ყაჩაღები მესამეჯერ თავს ესხმიან მოქ. ბეკერს და მიაქვთ 200 მანეთი ფული. ფულისაგან რომ გასცალეს მოქ. ბეკერი, ყაჩაღებმა ამა წლის 27 იანვარს მეოთხეჯერ მოაწყვეს თავდასხმა იმავე პირზე საოჯახო ნივთების წასართმევად: გაიტანეს რაც კი რამ ძვირფასი გააჩნდა მოქალაქე ბეკერს.

ბათომის სისხლის სამართლის მილიციის მიერ მიღებული ზომებით შესაძლებელი გახდა ყაჩაღების შეპყრობა.

ყაჩაღების ბანდის ორგანიზატორი აღმოჩნდა **სერგო კუნჭულია**, რომელსაც ბათომში ჰქონდა რესტორანი, სადაც თავს იყრიდენ ყაჩაღები და ადგენდენ თავდასხმების მოწყობის გეგმას. ამავე რესტორანში ხდებოდა „ნადავლის“ განაწილებაც.

გაჩხრეკის დროს **კუნჭულიას** და **სარიშვილს** აღმოაჩნდა ნაქურდალი ნივთები.

ყაჩაღების გასამართლებას დიდძალი ხალხი ესწრება.

სასამართლოს თავმჯდომარეობს **ს. ფირცხალავა**. ბრალს სდებს პროკურორი — **ე. მეგრელიძე**. ბრალდებულებს იცავენ დამცველთა კოლეგიის წევრები: **ან. ბებურიშვილი და აკ. ცქიტიშვილი.**

გერ.

ხელოვნება

თბილისის რუსულ დრამის დასის შემადგენლობა

მუშათა რუსულ თეატრის დასი საბოლოოდ ჩამოყალიბდა. დასში შედიან: ე. ბელეცკაია, ნ. ვიქტოროვა, ე. გალაქტიონოვა, ა. დუქტოვსკაია, ა. კროტკოვა, ე. კოვალევა, ო. ლაკონსკაია, ნ. ლეშჩინსკაია, მ. ლიტვინოვა, ე. მურადოვა, ზ. მუროვა, ნ. ოგონ-დოგანოვსკაია, რ. ორეჰკინა, ნ. ორლოვა, ტ. პოლიაკოვა, ა. სმირნოვა, და ნ. სნეჟინა, ო. იაკიმოვიჩ, ა. არკადინი, მ. ბორინი, ვ. ვასილიევი, ნ. ვოლხოვსკი, ა. ღლონტი, ვ. გრანატი, ვ. ზუბკოვი, ვ. ირლატოვი, ნ. კოლომენსკი, ვ. კუზნეცოვი, კ. ლავრეცკი, ა. ლიპნიცკი, ვ. ლიუბიმოვი, ვ. მატოვი, ე. მარცევიჩი, ი. ოლეგო, ვ. ორლენსკი, ე. ორლოვი, ვ. ოტრადინსკი, ბ. სამანოვი, მ. ტალანოვი და ხანდამიროვი. სამხატვრო ნაწილის გამგე—**ვლ. შვეიცერი** (ვესიმისტი). რეჟისორები: **ტატიშჩევი და შვეიცერი**. მხატვრები—**ვ. ივანოვი და ვ. როზბერგ**. სეზონი გაიხსნება ამ თვის შუა რიცხვებში.

სოხუმის ქართული დრამა

აფხაზეთის ს.ს.რ. მთავრობამ გადასწყვიტა მიმდინარე 1928—29 წ. სეზონში იყოლიოს ქართული დრამა და დაარსოს აფხაზეთის დრამსტუდია. ქართული დრამის მთავარ რეჟისორად, სამხატვრო ნაწილის გამგედ და აფხაზეთის დრამსტუდიის ხელმძღვანელად მოწვეულია ვახტანგ გარრიკი. დასის შემადგენლობაში შედიან—ქალები: მარო მდივანი, ელ. სიბილლა, ივერიელი, ო. შენგელაია, თ. ქუთათელაძე, ლ. ფოჩხუა, თ. მელაძე, ე. ბალთურია და ე. გუგუშვილი; ვაჟები: მ. ჟუჟელი (თანარეჟისორი), ფ. მატარაძე, ვ. ალულიშვილი, მ. ჭავჭანიძე, ალ. ჯულელი, მ. ხოჭოლავა, დ. სანიკიძე, ბ. ჩოჩია, ვ. ნუცუბიძე, შ. ჯიჯეიშვილი, ლ. ინაშვილი, გ. კალანდია, ლ. ჭავჭანიძე, მ. ჭელიძე, ნ. კოტუა, არ. კაკუბერი, ვ. წერეთელი, ი. პერტაია და სხვ. დასის გამგე—მ. ანჩაბაძისა. ცალკე დადგმებისათვის მიწვეულია რეჟ. ალ. წუწუნავა. საგასტროლო წარმოდგენებზე—რესპ. სახ. მსახ. ნ. გოცირიძე.

რეპერტუარში შეტანილია შემდეგი პიესები. ორიგინალური: „ყარაბ და ემბორ“ დ. ჩიხულის, „ცეკვა ბებუთით“ ს. ერთაწმინდელის, „ჯანყი გურიაში“ ეგ. ნინოშვილის, „სამანიშვილის დედინაცვალი“ დ. კლდიაშვილის, „დეზერტირკა“ ნ. აზიანის, „კომისარი მოსკოვიდან“ გ. ბუხნიკაშვილის. ნათარგმნი პიესებიდან დაიდგმება „ღლევა“, „იღრიალე ჩინეთო“ და სხვ.

მხატვარ კონსტრუქტორად მოწვეულია მოსკოვის კამერულ თეატრის მხატვარი მედუნეცკი.

სეზონი გაიხსნება ნოემბრის დამლევს „ღლევით“.

—:—

ხელოვნების ქრონიკა

ცეკვის სკოლა

15 ოქტომბრიდან ხელოვნების მთავარმმართველობის მეთვალყურეობით თბილისში გაიხსნება ორი ცეკვის სასწავლებელი.

—:—

კვირას 14 ოქტომბერს — ხელოვანთა სასახლეში (მაჩაბლის ქ. 13) შესდგება პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის გაერთიანებული სხდომა; კომკავშირელ მწერალთა, გაზ. „კომუნისტთან“ და „მუშასთან“ არსებულ ლიტერატურულ წრეებთან ერთად. დღის წესრიგში სდგას მოხსენება შემდეგ თემაზე: „მემარჯვენე საშიშროება ლიტერატურაში“, მომხ. ბენ. ბუაჩიძე.

კინო

ნატა ვაჩნაძე მიწვეულია მოსკოვში ახალ სურათში მონაწილეობის მისაღებათ. სურათს სდგამენ „მეჟრაბპომ-ფილმი“ და გერმანიის ფირმა „პრომეტეუსი“. სურათს ეწოდება „კანონიერი ქორწინება“ და იდგმება ლ. ტოლსტოის პიესა „ცოცხალი ლეში“ მიხედვით. სურათის გადაღება იწარმოებს როგორც რუსეთში, ისე გერმანიაში. ნატა ვაჩნაძის გარდა სურათში მონაწილეობას მიიღებენ გერმანიის მსახიობები ვიოლა გარდენი გუსტავ დისსელი, მარია იაკობინი, რუს მსახიობებიდან—ვ. პუდოვკინი და სხვა. სურათს სდგამს რეჟისორი ფ. ოცეპი.

სახკინმრეწვის ახალი სურათი. რეჟისორი გ. მაკაროვი შეუდგა ახალ მხატვრულ სურათის დადგმას. სურათს ეწოდება „ჩქარი მატარებელი № 2“. სცენარი შედგენილია შ. ხუსკივაძისა და პ. მორსკოის მიერ. სურათის შინაარსი ამოღებულია ამიერ-კავკასიის რკინის გზელების დღევანდელ ყოფა-ცხოვრებიდან და ეხება ქალთა დაწინაურების საკითხს. სურათის გადაღება იწარმოებს თბილისსა და ბაქოში.

ზარალი ნიაღვრისაგან

გორი, 10 ოქტომბერი. ნიაღვრებმა დააზიანეს ხიდი ლიახვზე. ნაპირებიდან გადასულმა მდინარე ფშანმა გაარღვია ელექტრო-სადგურის ჯებირი. ამის გამო ქალაქის ნაწილი უსინათლოდ დარჩა. სწრაფი მუშაობაა ხიდისა და ელექტრო-სადგურის აღსადგენად.

ქუთაისი, 10 ოქტომბერი. უკანასკნელმა ნიაღვრებმა დიდი ზარალი მიაყენეს სასოფლო სამეურნეო კულტურას. ნაპირებიდან გადმოსულმა მდინარეებმა გააფუჭეს პატრიკეთის თემში 87 ჰექტარი სიმინდი, გამოჩინებულის თემში—100 ჰექტარი, დიდ-ჯიხაიშში—55 ჰექტარი სიმინდი და ბამბა, გუბის თემში—5 ჰექტარი და კუხისაში—5 ჰექტარი, სულ 252 ჰექტარი (ადს).

ოდონტოლოგიურ (კბილის სნეულებათა) ინსტიტუტში მიღების წესები

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტთან მიმდინარე სამოსწავლო წლიდან არსდება ოდონტოლოგიური (კბილის სნეულებათა) ინსტიტუტი სამწლიანი კურსით. ინსტიტუტში შესვლისათვის საჭიროა გამოცდების ჩაბარება შემდეგ საგნებში: ქართული წერა, რუსული ზეპირი, ალგებრა, ტრიგონომეტრია, გეომეტრია, ფიზიკა, პოლიტიკური ეკონომია, კლასთა ბრძოლის ისტორია და საბჭოთა კონსტიტუცია.

მსურველებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები: საშუალო სასწავლებლის დამთავრების მოწმობა, საბუთი სამხედრო ბეგარასთან დამოკიდებულების შესახებ, სოციალური მდგომარეობის, დაბადების, თითეული ორ ცალად და შემოწმებული ანკეტა. საბუთებთან ერთად წარმოდგენილი უნდა იქნას საგამოცდო ჰონორარი 5 მანეთი.

განცხადებები მიიღება 12 ოქტომბრიდან 20 ოქტომბრამდე.

გამოცდები იწარმოებს 21 ოქტომბრიდან 28 ოქტომბრამდე.

ინსტიტუტში განძრახულია 250 კაცის მიღება.

ჩაის ახალი ფაბრიკები

ჩაის ახალი ფაბრიკა ჩაქვში

საზოგადოება „საქართველოს ჩაი“-ს გამგეობამ ჩაის ახალი ფაბრიკის აგება ჩაქვში იჯარით ვადასცა გერმანულ საკონცესიო საზოგადოება „ალტებაუმაგს“.

ხელშეკრულების თანახმად „ალტებაუაგ“-მა იკისრა 150 სამუშაო დღეში ააგოს ახალი ფაბრიკა. ფაბრიკის ასაგებად მუშაობა უკვე დაიწყო.

ჩაის ფაბრიკა აცანაში

საზოგადოება „საქართველოს ჩაი“-მ საქართველოს ლითონტრესტთან დასდო ხელშეკრულება აცანაში (ოზურგეთის მაზრა) ჩაის ახალი ფაბრიკის აგების შესახებ.

ფაბრიკა იქნება მოძრავი ტიპის. ფაბრიკას ააგებენ თბილისში საქართველოს ლითონტრესტის ქარხანაში. ლითონტრესტმა იკისრა ვალდებულება 8 თვის განმავლობაში დაამთავროს ფაბრიკის აგება. ამრიგად ჩაის ფოთლის აკრეფის მომავალი სეზონისათვის ახალი ფაბრიკა უკვე მუშაობას დაიწყებს.

საზოგადოება „საქართველოს ჩაი“-ს ამ ფაბრიკას მოსაწყობათ შეძენილი აქვს უახლესი უცხოეთის მანქანები და აპარატები. მთელი ფაბრიკის აგება დაჯდება 175.000 მანეთი.

თათბირი ცემენტის მომარაგების შესახებ

ამიერ-კავკასიის ვაჭრობის სახალხო კომისარიატში შესდგა თათბირი ცემენტის მომარაგების შესახებ.

თათბირს დაესწრნენ: საკავშირო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის წარმომადგენელი, ჩრდ. კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის, საქართველოს სახელმწიფო ვაჭრობის საპაიო ამხანაგობის და სომხეთის სახელმწიფო ვაჭრობის წარმომადგენლები.

თათბირმა გადასწყვიტა მიიღოს სასწრაფო ზომები, რათა ოქტომბრის განმავლობაში ამიერ-კავკასიაში შემოზიდულ იქნას 30.000 კასრი ცემენტი. წლით დანარჩენი ნაწილი (დაახლოვებით ასეთივე რაოდენობით) შემოზიდულ უნდა იქნეს ნოემბრის პირველ ნახევარში.

ცემენტის შემოზიდვის 1928-29 წლის გეგმასთან დაკავშირებულ საკითხების, საქონლის შემოზიდვის და სხვა საკითხების გადასაწყვეტად ა-წ. 12 ოქტომბერს მოწვეულია გაფართოებული თათბირი, საკავშირო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის და სხვა დაინტერესებულ ორგანიზაციათა წარმომადგენლების მონაწილეობით.

აგურის დამზადების გაფართოება

თბილისის აღმასკომის საგეგმო კომისიამ დაამტკიცა თბილისის აგურის ქარხნების საწარმოო გეგმა 1928—29 წლისათვის. ადგილობრივ მრეწველობის განყოფილების განკარგულებაში ამჟამად იმყოფება 7 აგურის ქარხანა.

დამტკიცებულ გეგმის მიხედვით წელს შვიდივე ქარხანა დაამზადებს 25.000.000 ცალ აგურს. თუ საჭიროებამ მოითხოვა, ეს რაოდენობა გადიდებული იქნება 30—32 მილიონამდე.

გასულ წელს აგურის ქარხნები ამზადებდენ 2 ხარისხის აგურს პირველი ხარისხის აგური 1.000 ცალი ღირდა 30 მანეთი, მეორე ხარისხის 28 მანეთი, საშუალოდ კი—29 მ. და 90 კაპ.

საწარმოო გეგმით გათვალისწინებულია მთელი რიგი ღონისძიებები პროდუქციის ღირსების გასაუმჯობესებლად.

წელს ყველა ქარხნებში თიხის გაცრა და მოზელა იწარმოებს მექანიკურად. გარდა ამისა ჩვეულებრივ წვიმიან დღეებში მუშაობის შეუფერხებლად წარმოების მიზნით მოეწყობა მოძრავი გადახურული ფარდულები და ღუმელებამდე კალაპოტში ჩასხმულ აგურების მისატანად და გამომწვარ აგურების გადმოსაზიდათ, გაყვანილი იქნება ვიწრო ლიანდაგიანი რკინის გზა.

ამ ღონისძიებების ჩასატარებლად სულ გადადებულია 140.000 მანეთი.

წელსავე დაიწყება ღრმა-ღელეში არსებულ აგურის ქარხნების რეკონსტრუქცია, რომლის გეგმა უკვე დაამტკიცა საკავშირო სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს საამშენებლო კომიტეტმა.

ამ ქარხნების რეკონსტრუქცია დაჯდება 382.000 მანეთი.

რეკონსტრუქციის შემდეგ ღრმა-ღელეში არსებული 2 აგურის ქარხანა წლიურად დაამზადებს 10 მილიონზე მეტ აგურს და 1.000 ცალი აგური ეღირება 24 მანეთი.

ქარხნების რეკონსტრუქციის გეგმა შედგენილია ინჟ. მელიქ-ნუბაროვის მიერ.

ახალი კოოპერატივები

საქართველოს ეკონომსაბჭოსთან არსებულმა საკოოპერაციო სამმართველომ თავის უკანასკნელ სხდომაზე დაამტკიცა შემდეგი ახალი კოოპერატივები:

თბილისის მაზრის სოფ. თოხლიაურის სატყეო-სამრეწველო კოოპ. ნადი „სოფლის მუშა“, ზუგდიდის მაზრის სოფ. ფახულანის ფეხსაცმელების მკერავთა სარეწაო კოოპ. ნადი „ჩიოლდანი“, ქუთაისის ხარაზთა სარეწაო კოოპ. ნადი „სიმართლე“, ხაშურის მეჭურჭლეთა სარეწაო კოოპ. ნადი „სიმართლე“, ქუთაისის ბამბუკიდან ავეჯის დამამზადებელი სარეწაო კოოპ. ნადი „ახალი გზა“, ბათომის მიდამოების ხეზე მომუშავეთა სარეწაო კოოპ. ნადი „ხეზე მომუშავე“, ოზურგეთის მაზრის სოფ. ჩოხატაურის მეჩექმეთა სარეწაო კოოპ. ნადი „პირველი ნაბიჯი“, შორაპნის მაზრის დაბა ჩხარის მეჩექმეთა სარეწაო კოოპერატიული ნადი „პროლეტარი“ სენაკის მაზრის მეეტლეთა სარეწაო კოოპ. ნადი „მომარაგება“, სიღნაღის ფეხსაცმელების დამამზადებელთა კოოპ. ნადი „სიმართლე“, ქუთაისის მაზრის სოფელ ვანის ხარაზთა სარეწაო კოოპ. ნადი „სიმტკიცე“, თელავის მენახშირეთა სარეწაო კოოპ. ნადი „განთიადი“, სენაკის მაზრის დ. ბანძის ევროპიულ ფეხსაცმელების მკერავთა სარეწაო კოოპერ. ნადი „წითელი ვარსკვლავი“, ოზურგეთის მაზრის ჯურყვეთის თემის აგურ-კრამიტის საწარმოო ნადი „კრამიტ-სანგური“, გორის მაზრის წითელ ქალაქის მეთუნუქეთა სარეწაო კოოპ. ნადი „თანხმობა“, თბილისის ლოგინის მოწყობილობათა და საბნების მკერავთა სარეწაო კოოპ. ნადი „ლოგინი“, ქუთაისის ეტლების შემკეთებელი სარეწაო კოოპ. ამხანაგობა „იმედი“, თბილისის საშაქარლამო სარეწაო კოოპ. ნადი „შუქნება“, თბ. ტკბილეულობის მკეთებელთა კოოპერატიული ნადი „იმედი“, ახალციხის შალეულის დამამზადებელი სარეწაო კოოპ. ნადი „8 მარტი“, ქუთაისის მაზრის ხრესილის რაიონის ფეხსაცმელების მკერავთა სარეწაო კოოპერატ. ნადი „საიმედო“, თბ. ტყავის დამამზადებელი სარეწაო კოოპ. ნადი „კოჯ-კოჯიორი“, თბ. სამრეწველო კოოპერ. ნადი „ზვენო“, თბილისის ტყავების დამმუშავებელი სარეწაო კოოპ. ნადი „მეხშუბა“ და „მეტყევე შინამრეწველი“, საგარეჯოს მეწაღეთა სარეწაო კოოპ. ნადი „საერთო შრომა“, თბილისის ფანერის დამამზადებელი სარეწაო კოოპ. ნადი „საქართველოს ფანერა“, ქუთაისის მაზრის, ხონის ხარაზთა სარეწაო კოოპ. ნადი „წითელი სინათლე“, თბილისის მაზრის სოფ. კონსტანტინოვკის ხის ავეჯის დამამზადებელი კოოპ. ნადი „ისკრა“, თბილისის ძეხვების დამამზადებელი კოოპ. ნადი „ძეხვის პროდუქტი“, თბილისის ხე-ტყის დამმუშავებელი სარეწაო კოოპ. ნადი „მრეწველი“, თბილისის მეძროხეთა არტელი „შრომა“, კახეთის მაზრის სოფ. ყანდაურის მერძევეთა არტელი „პირველი ნაბიჯი“, სოფ. ახალ-ბოგდანოვკის მერძევეთა არტელი „უკრაინა“, თბილისის მაზრის სოფ. ღრმა-ღელეს მერძევეთა არტელი „ღრმა ღელე“, სენაკის მაზრის სოფელ ზანის სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობა „მომავალი“, თბილისის სამრეწველო კოოპ. ნადი „შტამპო მეტალი“, თბილისის მეწისქვილეთა სარეწაო კოოპ. ნადი „მელნიკი“, თბილისის მეშაქარლამეთა სარეწაო კოოპერატიული ნადი „8 მარტი“, გორის საშაქარლამო სამრეწველო კოოპ. ნადი „შრომა“, საჯავახოს ფეხსაცმელების მკერავთა სარეწაო კოოპ. ნადი „ფეხსაცმელი“, ოზურგეთის ტყავის დამამზადებელი სარეწ. კოოპ. ნადი „მოდი-მნახე“.

ჭადრაკი

მუშათა საჭადრაკო და საშაშო საკავშირო ტურნირი

10-დან 18 ნოემბრამდე მოსკოვში ჩატარდება მუშათა საჭადრაკო და საშაშო საკავშირო ტურნირი, რომელიც ეწყობა საკავშირო პროფსაბჭოს ინიციატივით.

ავიაქიმში

ავიაქიმის ლაშქრობა

შაბათს, 13 ოქტომბერს, საქ. ავიაქიმის სამტრედიის ორგანიზაცია აწყობს სამხედრო ლაშქრობას, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებს ავიაქიმის 300 წევრი.

ლაშქრობას ხელმძღვანელობენ წითელი ჯარის მეთაურები.

საზღვაო სექცია

საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმს თავის საზამთრო მუშაობის გეგმაში შეტანილი აქვს საზღვაო სექციის ორგანიზაცია თბილისში და ზღვის ნაპირას მდებარე ქალაქებში, როგორიც არის ბათომი, ფოთი, ოჩემჩირე და სოხუმი.

საზღვაო სექციის ორგანიზაციის მიზანია გაცნობა წითელი ფლოტისა და მისი პოპულარიზაცია მშრომელთა შორის.

სამხედრო ცოდნათა წრეების პროგრამა

იბეჭდება და მოკლე ხანში გაეგზავნება ადგილებს სამხედრო ცოდნათა წრეების პროგრამა.

სამხედრო-საჰაერო სკოლების შევსება

საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმი ამჟამად აწარმოებს სამხედრო საჰაერო სკოლებში გასაგზავნ კანდიდატების საექიმო შემოწმებას.

ყველა ახალგაზრდა, რომელსაც სურს შესვლა სამხედრო საჰაერო სკოლებში, უნდა გამოცხადდეს შაბათობით დღის 2 საათზე საქართველოს ავიაქიმში ჰეროდრომზე საექიმო კომისიაში გადასაგზავნად. საექიმო შემოწმება სწარმოებს მხოლოდ ორშაბათობით.

რკინის გზებზე

სამაგალითო მემანქანეები

თბილისის უბნის მემანქანეებს **ქებულაძეს და ყარამანოვს**, რომლებიც მუშაობდენ № 41 და 52 ორთქლმავლებზე, 2 სექტემბერს მიჰყავდათ სამგზ. მატ № 10. ძეგამი-კოვლიარის გადასარბენის მე-483 კილომეტრზე პირველ ორთქლმავალს (№ 41) მარჯვენა მხარეზე მოსწყდა „კრეიცკოფი“-ს თავი, რაც გამოიწვია ლითონის კარგათ გადაუხარშველობამ.

საერთო წესის მიხედვით დაზიანებული ორთქლმავალი უნდა მოეხსნათ და მის ადგილზე დაეყენებინათ რომელიმე საბარგო მატარებლის ორთქლმავალი.

ქებულაძე და ყარამანოვი ასე არ მოქცეულა. ახალი ორთქლმავლის გამოთხოვის ნაცვლად, 35 წუთის განმავლობაში დაზიანებული ორთქლმავლის მარჯვენა ნაწილი დაშალეს და მატარებელი დაიძრა ადგილიდან. მგზავრების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, რადგანაც რამოდენიმე საათის ლოდინის ნაცვლად, რამოდენიმე წუთში მატარებელი უკვე თბილისისკენ მიჰქროდა. გზაზე მყოფ სადგურების მორიგეები გაკვირვებით უყურებდენ ამ ფაქტს.

ორთქლმავლები ოთხი ცილინდრის ნაცვლად მუშაობდენ სამი ცილინდრით. ასეთი წესით მემანქანეებმა მატარებელი მშვიდობიანათ მოიყვანეს თბილისში და ამასთან გარდა, დაკარგულ დროიდან 11 წუთიც აინაზღაურეს.

რა სარგებლობა მისცა ამით რკინის გზას ყარამანოვმა და ქებულაძემ?

პირველ რიგში მოხდა საწვავ მასალის ეკონომია, რომელიც საჭირო იყო ახალი ორთქლმავლისათვის 135 კილომეტრის მანძილზე, მეორე: დაზიანებული ორთქლმავლის ბრიგადას არ დაუკარგავს ტყუილა უბრალოდ თავისი სამუშაო საათები და ამასთან გზაზე არ იქნა დაკავებული შემხვედრი საბარგო მატარებლები.

ახალი წყლის საქაჩავი

ამიერ-კავკ. რკ. გზების გამგეობამ დანიშნა კომისია სადგ. სამტრედიისათვის საჭირო წყლის საქაჩავის დასადგმელად.

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშა-ხელზე

დღეს, 12 ოქტომბერს, თბილისის შრომის ბირჟიდან სამუშაოზე იგზავნებიან შემდეგი უმუშევრები: **კვალიფიციურ მუშათა სექციიდან:** გერასიმე გიორგიშვილი, სტანისლავ სივიაკი, სარქის იუზბაშევი, კვიროსი მშვიდობაძე, ნიკოლოზ კიკნაძე, მიხეილ ჩახჩაბიანი, მიხეილ ბლანკი, გრიგოლ მირიმანოვი; **გონებრივ მუშაკთა სექციიდან:** გრიგოლ დოჟვირი, ბარბალე კალამკაროვი, მიხეილ ხომიაშვილი, ვასილ ემიკოვი, ოლღა მაჩაბელი, ანასტასია პოლოვცევა, ოგანეს მკირტუმოვი, არტემ მარგალიტაძე, ერისტო ტყემალაძე, თამარ ფირაძე, გიორგი ზარულავა, ვასილ საყვარელიძე, სკანდაროვი—პარებოვი, თამარ ხაჟომია, ნინო სულამანიძე, რიფსიმე გაბელაშვილი, ნინო ფალავა, ალექსანდრე სულაქველიძე, თინა ჟორდანია, ბიქტორ მგელაძე. **რკინის გზელთა სექციიდან:** არშაკ ზალიევი, ვასილ პატარძლიშვილი, ვასილ ხუციშვილი, ვასილ გუსეინაშვილი, ნიკოლოზ ბებიაშვილი. **მედსექციიდან:** ნიკოლოზ გძელაძე, სურენ დილბანდოვი, დარია კელჩევსკი, არტემ ავაქოვი.

იურიდიული რჩევა-დახმარება

ალექსი კახიანს

კითხვა:

8 თვის განმავლობაში ვმსახურობ გორის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორაში „სოფლების ფოსტალიონად“. გთხოვთ ახსნა-განმარტებას: 1) მეკუთვნის შვებულება თუ არა. არ ვარ შტატში, ყოველივე საწევრო გადასახადებს ვიხდი. 2. ვარ 1906 წელში დაბადებული და მიწვევენ წითელ ჯარში: დაბრუნებისას დაუბრუნდები სამსახურს თუ არა? ჯარში ყოფნის დროს მომეცემა რაიმე დახმარება დამზღვევ სალაროდან თუ არა?

პასუხი:

თუ თქვენ ფოსტის ჩვეულებრივი მოსამსახურე ხართ, თქვენზე გავრცელდება ყველა ის წესები, რაც გათვალისწინებულია მუშა-მოსამსახურეთათვის, მაგრამ თუ თქვენ ხართ „სოფლად წერილების დამტარებელი და ფოსტის აგენტი და თქვენი სამუშაო ვერ ავსებს სამუშაო საათების თვიურ ნორმას, იმ შემთხვევაში თქვენზედ ვრცელდება განსაკუთრებული დებულება სოფლად წერილების დამტარებლების და ფოსტის აგენტების შრომას პირობების შესახებ“. (ა. კ. შრომის კანონმდებლობის მოამბე № 2—1928 წ. გვ. 4) და თქვენი შრომის პირობები განისაზღვრება იმ დებულებით და იმ ხელშეკრულებით, რომელიც თქვენთან უნდა იყოს დადებული. თუ ხელშეკრულებით არ არის გათვალისწინებული შვებულება, იმ შემთხვევაში თქვენ შვებულება არ მოგეცემათ. მოგეცემათ თუ არა სამხედრო სამსახურში ყოფნის დროს რაიმე დახმარება და შეგენახებათ თუ არა თქვენი ადგილი, ეს გათვალისწინებული უნდა იყოს თქვენთან დადებულ ხელშეკრულებაში. თუ ხელშეკრულებით ეს არ არის გათვალისწინებული, არც ადგილი შეგენახებათ და არც ხელფასი.

—:—

ვერა, ივლიტა და ნატალია ფიფიებს

კითხვა:

ვიყავით სამი და და სამი ძმა—მამამ, თავის სიცოცხლეში ყველას თავის წილი მისცა. ქალიშვილებს მზითევი—ვაჟიშვილებს თავის წილი. უკანასკნელნი ცალკედ ცხოვრობდენ. წელს მამა მოგვიკვდა და მას დარჩა ქონება. ამ ქონებას ისაკუთრებენ ძმები. გვერგება თუ არა ჩვენ წილი. ჩვენ დები ღარიბად ვართ—მამას, სიცოცხლეში სამივე უწყობდით ხელს. გთხოვთ გვიპასუხოთ გვერგება რამე თუ არა და თუ გვერგება, ვის მივმართოთ?

პასუხი:

თუ თქვენი მამა ცხოვრობდა ქალაქში და ის ქონება, რაც მამას დარჩა ქალაქის ქონებაა, ამ ქონებიდან წილი გერგებათ ყველას, როგორც ქალებს ისე ვაჟებს, როგორც შვილებს, ისე შვილიშვილებსაც. ხოლო თუ თქვენი მამა სოფლად სცხოვრობდა და შეადგენდა ცალკე კომლს და მისი სიკვდილის შემდეგ კომლში არავინ დარჩენილა, მიწა გადაირიცხება ფონდში, ხოლო დანარჩენი ქონება უნდა განაწილდეს ყველა შვილებსა და შვილიშვილებს შორის.

მაგრამ თუ თქვენი მამა შეადგენდა ცალკე კომლს და მისი სიკვდილის შემდეგ მის კომლში დარჩა ვინმე ამ კომლის წევრი, მთელი ქონება და მიწაც დარჩება ამ კომლის წევრს და შვილებს არავითარი უფლება ქონებაზე არ აქვს.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

სახ. უნივერსიტეტის პედ. ფაკულტეტთან არსებული ა.ლ.კ.კ. უჯრედის ბიურო აცხადებს, რომ დღეს, 12 ოქტომბერს, საღ. 6 საათზე მოწვეულია უჯრედის დახურული სხდომა. წევრ-კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა.

—:—

სახ. უნივ. სოც.-ეკ. ფაკულტ. 1-ლ და მე-2 კურსთან არსებულ ა.ლ.კ.კ. უჯრედის ახალი ბიურო აცხადებს, ამჟამად 1-ლ და მე-2 კურსის მსმენელ კომკავშირელთა საყურადღებოდ, რომ დღეიდან სამი დღის განმავლობაში იწარმოებს კომკავშირელთა საერთო აღრიცხვა 10-დან 1-ლ საათამდე ამხ. მეტრეველთან. აღრიცხვაზე გატარება სავალდებულოა.

—:—

დღეს, 12 ოქტომბერს, საღამოს 7 საათზე, მუშათა სასახლის საინჟინერო-ტექნიკურ კლუბში ინჟ. **ი. დ. ბერიძე** გააკეთებს მოხსენებას შემდეგ თემაზე: „ქიმიური მრეწველობა საქართველოში“.

—:—

დღეს, 12 ოქტომბერს, საღამოს 5 საათზე მოწვეულია საქართველოს სახელმწიფო პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ა. ლ.კ.კ. უჯრედის გაერთიანებული დახურული კრება. დასწრება წევრების და კანდიდატების დაუგვიანებლივ სავალდებულოა.

—:—

საქართველოს ლენ. კომკავშირის თბილისის კომიტეტთან არსებული სამხედრო-ფიზკულტურული კომისია იუწყება, რომ, კვირას, 14 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე, პროფსაბჭოს მცირე დარბაზში შესდგება კომკავშირელ ფიზკულტურელების საქალაქო კრება. ყველა ფიზკულტურელების დასწრება სავალდებულოა. დღის წესრიგში სდგას საკითხი: ფიზკულტურული თავისუფალი საზოგადოების შესახებ.

სამხ.-ფიზკ. კომისიის თავმჯდომარე: სააკიანი.

—:—

საქართველოს ლენ. კომკავშირის თბილისის კომიტეტთან არსებული საკონფლიქტო კომისია წინადადებას აძლევს ქვემოდ დასახელებულ ამხანაგებს, გამოცხადდენ შაბათს, 13 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე, კომკავშირის თბ. კომიტეტის შენობაში (რუსთაველის პრ. № 20): ს. ტრიანდაფილიდი, მ. კალანდაძე, პ. კალანდაძე, ვ. ბარათელია, ა. მამუკაშვილი, ნ. ანდღულაძე, ი. ურუშაძე, ა. მამისაშვილი, გ. ბეჟიაშვილი, მ. გოზალოვი, ი. ავაზოვი, კ. კრასნოვი, ვ. მახარაძე (სახ. უნივ.), ლ. ბახტაძე, ი. კალანდაძე, მ. ბეჟანიშვილი, გ ჰიჭინაძე, ნ. ქუთათელაძე, ე. ბეჭკალაძე, ვ. კერესელიძე, ს. ცანავა, ვ. მდივანი, კ. კობახიძე.

—:—

დღეს, 12 ოქტომბერს, საღამოს 8 საათზე, მოწვეულია ამხ. მ. კახიანის სახელობის ქართ. მუშათა ფაკულტეტის პარტუჯრედების გაერთიანებული დახურული სხდომა. წევრ-კანდიდატების დასწრება სავალდებულოა.

ღრმა მწუხარებაში მყოფნი მეუღლე—ანეტა, შვილები: ლუბა (კორია), დარეჯანა და კიკა, დები: მართა და მენიკო, ძმა ნოე, რძალი ბაბინე ჩიჩუები აუწყებენ საზოგადოებას, რომ მათთვის დაუვიწყარი

თეოფილე ბექანის ძე ჩიჩუას

ხსოვნის აღსანიშნავად, კვირას 14 ოქტომბერს 1-ლ საათზე გადახდილ იქნება სამოქალაქო პანაშვიდი ვერის ახალ სასაფლაოზე. 2—1 4479

ღრმად დამწუხრებულნი იულია იოსების ასული და პავლე გიორგის ძე თურქძეები მთელი ოჯახის შემადგენლობით, აუწყებენ ნაცნობ-ნათესავებს, რომ 10 ოქტომბერს ტრაგიკულად გარდაიცვალა

იოსებ პეტრეს ძე ლომიძე

გამოსვენება ხაშურში საკუთარ ბინიდან 13 ოქტომბერს დღის 3 საათზე. 4485

ღრმათ დამწუხრებულნი: დედა მართა, მამა სოფრომი, დები: ეპრასი, ანეტა, ძმები: ვარლამ, სიმონ, ვასილი, საული, რძალი მარიამი და ძმისშვილები: გორგი, თამარა, ირაკლი ბიბილეიშვილები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ დღეს 12 ოქტომბერს ნაშუადღევის 1 საათზე სოფელ ვანში გადახდილი იქნება პანაშვიდი უდროოდ დაკარგულ და დაუვიწყარ

ქეთო სოფრომის ასული ბიბილეიშვილის

ხსოვნის აღსანიშნავათ. 4491

საქ. უნივერ. სტუდენტთა აღმასბიურო და განათლების მ. კ. პროფკომი ღრმა მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას სახ. უნ. პედაგოგიური ფაკ. მათემატიკური დ. მე-2 კ. სტუდ.

იასონ ნესტორის-ძე გრიგოლიას

უდროოდ გარდაცვალებას. 4492

ამ დღეებში
საუკეთესო კინოებში
განსაკუთრებული ფილმი დადგმის და სიუჟეტის მხრივ
„ზღვის ტყვეები“
წყალქვეშა ნავის № 13 უფროსის
ფილიპოვის როლში
არტისტი შტრაუხი
თვალყური ადევნეთ დადგმის დღეს
ნ. 1694

ჭიათურის შავი-ქვის ტრესტისათვის
საჭიროა:
1. სამაღარო რელსები 65—80 მ/გ. პროფილისა
2. ზედები და ჭანჭიკები მათთვის.
3. გადმოსაპირქავებელი მაღაროს რონოდანები; ტევადობა: 1/3—1/2 კუბიკური მეტრი, ლიანდი: 500—600 მ/გ.
4. ცენტრიდამსრბოლი და დგუშიანი ტუმბოები, ორ-სამ დიუმიანი, წნევების სიმაღლისათვის 25 მეტრამდე.
განცხადება უნდა წარედგინოს ტრესტის კანტორას: თბილისი, რუსთაველის პრ. № 22. ნ. 1689

ქ. თბილისის მე-2 რაიონ. სასამართ. აღმასრულებელი თ. გოგია ამით აცხადებს, რომ ის 19 ოქტომბერს 1928 წ. დღის 1 საათზე სახლში № 12 იერუსალიმის შესახვევი საჯარო ვაჭრობით გაყიდის ბინო აბრამის ძე ბაღაშვილის მოძრავ ქონებას: კედლის საათს, ბუფეტს, კომოდს, პიანინოს „ოტოშის“ ფირმის საკერავი მანქანას ფეხის, ტანისამოსის შკაფს, ნიკელის ტახტებს და სხვ. საოჯახო ნივთებს. შეფასებულს 754 მან., კარაპეტ ბაღდასაროვის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის მაზრა ქალაქის სასამართლოსაგან 10 მაისის 1298 წ. თარიღით, № 121 | 2 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა.

სახქინმრეწვის კინოები	
განთიადი	მხატვრული სურათი უცხოეთის ნაწარმოები ლურჯი სისხლი
პალასი სოლეი მინიონი	ლ. ნ. ტოლსტოის დაბადებიდან 100 წლის თავისათვის ყაზახები რეჟისორი—ვ. ბარსკი ოპერატორი ფ. გეგელე სურათშია სანდრო ინაშვილი, მ. ჩერქასკაია, ა. შირაი,
არფასტო	მხატვრული სურათი უცხოეთის ნაწარმოები მოჯადოებული კუნძული
აპოლო	ბეტი ბალფური ორიგინალურ კომედიაში მოსამსახურე ყველაფრისათვის
დარბაზი	სასიკვდილო ნახტომი სპორტსმენ ტრიუკისტის ა. ბოკოლინის მონაწილეობით.
პროლეტარი ავლაბარი	უნერვო კაცი

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის სამკურნალო საწოლებით
ელექტრონით და სინათლით სამკურნალო კაბინეტი
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—1

კბილის ექიმი
დ. ს. რიჟინაშვილი
კბილების და პირის სნეულებათა მკურნალობა. პლომბები, კბილების უმტკივნეულოდ ამოღება, ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა, ავადმყოფთა მიღება: 10—3 საათ. და 5—7 საათ. საღ.—მისამართი: გრიბოედოვის ქუჩა № 34 რუსთაველის გამზირის კუთხე. ტელ. 10—14 25—2

ექიმი
გ. ო. ზანდუკელი
შინაგანი და ნერვიული ავადმყოფობანი. ელექტრო-სინათლით სამკურნალო კაბინეტი.
ავადმყოფების მიღება გარდა შაბათისა და კვირა უქმე დღეებისა საღამოს 7-დან 8 საათამდე. ლენინის ქ. (ყოფილი ოლღას ქ.) № 11. ტელ. 4—82. 25—1

ექიმი
ი. პ. მჭედლიშვილი
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. შინაგანი ავადმყოფობა. სპეციალურად კუჭის და ნაწლავების სნეულებათა გამოკვლევა და მართი მკურნალობა. ღებულობს 5—6 ს. სანაპირო ქუჩა (ყოფილი ნაპერეჟნაია) № 7—ვერის ხიდთან. ტელეფონი № 15—02

ექიმი
ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 ს. ქალებისათვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას“ (ყოფ. „ნოეს“) პირდაპირ ჩოდრიშვილის და პლეხანოვის შესახვევი № 8. 25—

ექიმი
ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება
პლეხანოვის პროსპ. № 116. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ. მიღება დილის 9—12—საღ. 7 ნახ.—8 ნახ. საათ ტელეფ.—1267. 25—1

ექიმი
ქ. ს. ფონ-ირტელი
სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება) ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილისს და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობას (სიმსივნე. ბუასილი) ელექტრომკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 12 საათამდე და საღ. 4 ნახ. საათ.—7 საათამდე. ქალების მიღება დღის 10—12 საათამდე.
პლეხანოვის პროსპ. №10

კბილის ექიმი
ა. გ. სოლოღაშვილი
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება
დილ. 9—3 საათ. და საღ. 6—7 ს. რუსთაველის გამზირი, № 12. 25—1

ექიმა
ს. ი. ვოლოხა
განაახლა ავადმყოფთა მიღება (ქალთა სნეულებანი და მეანობა) ყოველ დღე, გარდა ხუთშაბათისა, 5 ს.-დან 7 ს.-მდე. ბელგიის ქ., № 5, მთავარ საავადმყოფოს (ყოფ. მიხეილის) მახლობლად. ტელ. 10—80. 25—1

ლოგოპედი
ა. ა. კაიშაური
ყოფილი გამგე მოსკოვის მეორე უნივერსიტეტთან არსებულ ლოგოპედიის კაბინეტისა
ასწორებს
ლოგოპათებს: ენაბლუებს, ენაჩლუნგებს, აფატიკებს და მეტყველების ყოველგვარ დეფექტებს
იღებს: საღამოს, 5—7 საათ.
კლარა ცეტკინის ქ., № 132.

თვალის ექიმი
მალაევი
ღებულობს ავადმყოფებს
დილით 8—9 საათ., საღ. 6—7 ს. მისამართი: თვალის საავადმყოფო, კლ. ცეტკინის ქ. (ყოფ. ელისაბედის) № 47, ტელეფონი № 5—90. 25—1

ექიმი
ვ. ი. ჯალალოვი
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფთა (კანისა და ვენერიული სნეულებანი) მიღება. სიფილისი, შეშხაპუნება „914“. ტრიპერისა და მისი შედეგების მკურნალობა.
მამაკაცთა მიღება: დილით—7—8 ს. საღ.—5—8 ს. ქალები და ბავშვების მიღება: დილის—8—9 ს. 4—საღ.—5 ს. მისამართი: კამოს ქ., № 19 ყოფ. დიდი მთავრის ქ., კარლ მარქსის მოედნის მახლობლად. ტელეფონი 1—90. 25—1

ექიმა
ი. ვ. ხანდამოვა
განაახლა სიფილისით, კანისა და ვენერიული ავადმყოფობით დაავადებულთა მიღება. დღის 1—3 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე.
ძნელაძის ქ. № 35, (ყოფ. საპიორის) ქ.), კადეტთა კორპუსის უკან. (25—1

ექიმი
ტერ-ოვაკიმოვი
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. სპეციალურად: სქესობრივი ფუნქციონალური აშლილობა და სიფილისი. (ფსიხოტერაპია)
ავადმყოფების მიღება: დილაობით: 11—1 საათ; საღამოობით 5—8 საათ საბჭოთა (ყოფ. ჩერქეზიშვილის) ქ., № 48, ჟორესის (ყოფ. კირკის) ქუჩის კუთხე. 25—1

ნ. გ. კანტოროვიჩისა
მიღებულია საზღვარგარეთიდან ახალი საშუალებები თმების სამკურნალოთ და ფერის მჭამელას, მუწუკების, ჭორფლის, ტალის, მეჭეჭის და სხვ. გასაქრობათ. ვაძლევ საექიმო რჩევა-დარიგებას პირის კანის მოვლისა და თვითმასაჟის შესახებ საზღვარ-გარეთის მეთოდების მიხედვით. ფრეილინის ქ. № 1. პაციენტების მიღება 11-დან 3-მდე და საღამოს 6-დან 8 საათამდე. 25—1

ექიმი
გიორგი ნიკოლოზის-ძე
ონანოვი
სიფილისი, ვენერიულ და კანის ავადმყოფობანი. სქესობრივი ნევრასტენიის მკურნალობა. ავადმყოფების მიღება დილის 8—10 ს—დე და საღამოს 4—5 ნახ. ს—დე. ქალების საღამოს—7-დან 8 საათამდე. კლარა ცეტკინის ქუჩა (ყოფ. ელისაბედის) № 3. 25—1

ექიმი
გ. მ. ფხალაძე
გადავიდა მარტის ქუჩაზე № 6 (ყოფ. ბოგოლსოვის) ჩასახვევი ოლღას ქუჩიდან. სპეციალ. სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი.
იღებს: დილის 7—8 საათამდე
საღამოს 6—8 კაცებს, 5—6 ქალებს.
25—1

ექიმი
ა. ს. ვადაჭკორია
დაბრუნდა აგარაკიდან და ღებულობს ქალთა და შინაგან სნეულებათა ავადმყოფთ. დილის 9—12—ს.—მდე და საღამოს 4—6—ს—მდე (ყოფილი ოლღას) ლენინის ქ., № 35 13—2

ექიმი ივ. გველესიანის
პარაზიტოლოგიური
კაბინეტი
იღებს გამოსაკვლევად ყოველგვარ მასალას სპეციალურად სისხლის პარაზიტებზე (მალარია, სპიროხეტოზი და სხვა) და ნაწლავების პარაზიტებზე (amoeba, trichomonas, giardia intestinalis და სხვა protozoa: ჭიებზე) მასალა გამოსაკვლევად მიიღება: დილის 8—9, საღამოს 5—7 საათ. ლენინის (ყოფ. ოლღას) ქუჩა 38 ელ. 6—22 4364 25—1

ა. ვ. მიქაბერიძე
პარიზში 1923 წელს დაამთავრა
„სილამაზის ინსტიტუტი“
მასაჟი სახის, კისრის, ხელების და სხვ. ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ.
ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 იღებს დილით 10-დან 3-მდე და საღამოს 5—8-დე შესასვლელი შესახვევიდან. 25—1

ქუთაისში
ექიმი
დ. ა. ჩეჯლაშვილი
დაბრუნდა. იღებს შინაგან ავადმყოფებს სპეციალ. ფილტვების ექიმობა.
ჭავჭავაძის ქ., № 4, ცეცხლის მქრობელ რაზმის გვერდით, მიღება დილის 8—11 საათ. 4261. 13—1

ექიმი
ანასტასი ლევის ძე
ორლოვსკი
დაბრუნდა და განაახლა შინაგან და საბავშო სნეულებით ავადმყოფთა მიღება. (სპეციალურად მალიარია) ღამის ქუჩა (ყოფ. ქსენიევის ქუჩა) მიღება დილით 1—2 საათამდე და საღამოთი 6—7 საათამდე. 25—1

ექიმი—ვენეროლოგი
ნინო მირიანაშვილი
იღებს კანის და ვენერიულ ავადმყოფებს
(ქალებს და ბავშვებს)
დღის 2—3 საათ. და საღამოს 6—8 საათამდე მოსკოვის ქუჩ. № 4 ტელ. 14—23.

კბილის ტექნიკოსთა
კურსებზე
შეღავათიან ფასებში
სწარმოებს ყოველგვარ ხელოვნურ კბილების ჩასმა და პროტეზების მომზადება.
მიღება ავადმყოფების ყოველდღე კვირა უქმის გარდა საღამოს 4—6 საათ მდე.
მისამართი: პლეხანოვის პროსპექტი № 126. 25—1

ექიმი
დარეჯან გ. თაყაიშვილი-კაკუბერი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება სემიონოვის (ვარდციხის ქ.) მე-9-რე უბანი, № 16,
მიღება დილის 8—9 საათ. საღამ. 5—8 საათ. 25—1

ექიმი
ნ. ა. ჯანდიერი
ბავშვთა, შინაგანი და ქალთა ავადმყოფობანი მიღება დილით 8—9 ს. საღამოზედ 5—7 ს. სომხის ბაზარი № 3. 25—1

დაკარგვები: მეტრიკული ამონაწერი გოროდეცკინა გენიას სახელზე, ჩ. გ. 4483

დაკარგვები: აღმასრულებელი ფურცელი № 423 მათე გეიშიანის სახელზე, ჩ. გ. 4484

დაკარგვები: სამხედრო წიგნაკი № 1001 გაცემული ზესტაფონის სამხედრო კომისარიატისაგან გერვასი კაპანაძის სახელზე, ჩ. გ. 4484

დაკარგვები: პირადობის უვადო მოწმობა მოცემული მე-7 რაიონის თბ. კომისარიატისაგან და სამხედრო აღრიცხვის ფურცელი, საჩხერის თემაღმასკომის მიერ მოცემული ესტატე იაგორისძე დუშუაშვილის სახელზე, ჩ. გ. 4484

დაკარგვები: საწევრო წიგნაკი № 29329 განათლების კავშირის თ. ნიკოლეიშვილის სახელზე, ჩ. გ. 4477

დაკარგვები: პირადობის მოწმობა, გაცემული მოლითის თემაღმასკომის მიერ № 2254, ნიკოლოზ მერაბისძე შატბერაშვილის სახელზე, ჩ. გ. 4482

დაკარგვები: დამზღვევ სალაროს წიგნაკი № 512 და კავშირის წიგნაკი № 1295 მინადორა ნასიძის სახელზე, 4480

დაკარგვები: სალექციო წიგნაკი ალექსანდრე ძოძუაშვილის სახელზე, ჩ. გ. 4481

დაკარგვები: კოოპერ. წიგნაკი № 18827 ვასილი ფილიპეს ძე გოგელაშვილის სახელზე, ჩ. გ. ნ. 1693

დაკარგვები: მეტრიკული ამონაწერი ივლიანე ფალავას სახელზე, ჩ. გ. 4490

დაკარგვები: საპენსიო წიგნაკი ნინო ჭეიშვილის სახელზე, ჩ. გ 4489

დაკარგვები: ლომბარდის ქვითარი № 051,143 და პასპორტი ანასტასია ვთარაძის სახელზე, ჩ. გ. 4488

პოლიგრაფტრესტის მე-5 სტამბა, ყამის ქუჩა № 68.
მთავლიტი № 904.